

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
საქართველოს ისტორიის წყაროების კომისია
КОМИССИЯ ПО ИСТОЧНИКАМ ИСТОРИИ ГРУЗИИ

საქართველოს ისტორიის წყაროები

ИНОСТРАННЫЕ ИСТОЧНИКИ ПО ИСТОРИИ ГРУЗИИ
XIII

ИСКАНДЕР МУНШИ

ПРОДОЛЖЕНИЕ МИРОУКРАШАЮЩЕЙ
ИСТОРИИ АББАСА

(Сведения о Грузии)

Персидский текст исследованием, грузинским переводом, примечаниями и указателями снабдила

Н. Г. Гелашвили

საქართველოს ისტორიის უცხოური წყაროები
XIII

ისქანდარ ვუნში

აბასის ქვეყნის დამამუშვენებელი
ისტორიის გაბრძელება

ცნობები საქართველოს შესახებ

სპარსულ ტექსტს გამოკვლევა, ქართული თარგმანი.
შენიშვნები და საძიებლები დაურთო

ნ ა ნ ა გ ე ლ ა შ ვ ი ლ მ ა

9 (C 41)

633 (2 Γ) + 63 (5 21 p11)

9 (47,922) (001) + 90 (55)

• 85

ნაშრომში წარმოდგენილია XVII საუკუნის სპარსელი ისტორიკოსის ისქანდერ მუნშის თხზულების „ზეილ-ე თარიხ-ე ალამარაი-ე აბასის“ (აბასის ქვეყნის დამამშვეენებელი ისტორიის გაგრძელება) ცნობები საქართველოსა და აგრეთვე ირანში მოღვაწე ქართველების შესახებ. ხსენებული თხზულებიდან ამოკრეფილი ცნობები შედარებულია სხვა წყაროთა მონაცემებთან, რის საფუძველზე გაშუქებულია საყურადღებო მომენტები ირან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVII საუკუნის 30-იან წლებში,

В труде представлены сведения о Грузии и деятельности грузин в Иране из сочинения персоязычного историка XVII века Искандера Мунши «Зейл-и тарих-и аламарай-и Аббаси» («Продолжение мироукрашающей истории Аббаса»). Извлеченный из неё материал сравнен с данными других источников. На основе их сличения в настоящей работе освещены отдельные важные моменты из истории ирано-грузинских взаимоотношений 30-ых годов XVII века.

მთავარი სარედაქციო კოლეგია

ზ. ალექსიძე, ვ. ვაბაშვილი, ი. დოლიძე, რ. კინაძე, (მთ. რედაქტორის მოადგილე), გ. მელიქიშვილი, ე. მეტრეველი, ს. ყაუხჩიშვილი, შ. ძიძიგური (მთ. რედაქტორი), ე. ხოშტარია, ნ. ჭანაშია (მთ. რედაქტორის მოადგილე).

სერიის რედაქტორი ხ. უაუხჩიშვილი
ტომის რედაქტორი ღ. კაციტაძე

ГЛАВНАЯ РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

З. Н. Алексидзе, В. Н. Габашвили, Н. С. Джанашиа, (зам. главного редактора), Ш. В. Дзидзигური (главный редактор), И. С. Долидзе, С. Г. Каухчишвили, Р. К. Кикнадзе (зам. главного редактора), Г. А. Мелкишвили, Е. П. Метревели, Э. В. Хоштария.

Редактор серии С. Г. Каухчишвили

Редактор тома Д. В. Кацитадзе

საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიის
გავოცემები

1. შაჰ-თამაზის საუბარი ოსმალეთის ელჩებთან, სპარსული ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, თარგმნა, შენიშვნები და წინასიტყვაობა დაურთო კ. ტაბატაძემ, თბ., 1976.
2. აბრაამ ერევანცი, ომების ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. დავლიანიძემ, თბ., 1976.
3. სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ქართული თარგმანი და წინასიტყვაობა დაურთო ვლ. ფუთურიძემ, თბ., 1977.
4. სტეფანოს ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთა“-ს ძველი ქართული თარგმანები, ქართულ-სომხური ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, თბ., 1978.
5. გ. აბრამიშვილი, სტეფანოზ მამფალის ფრესკული წარწერა ატენის სიონში, თბ., 1977.
6. ზ. ალექსიძე, ატენის სიონის სომხური წარწერები, თბ., 1978.
7. ტბეთის სულთა მათიანე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ენუქიძემ, თბ., 1977.
8. სომხურ ხელნაწერთა XIV—XV საუკუნეების ანდერძების ცნობები საქართველოს შესახებ, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარები და შენიშვნები დაურთო ა. აბდლაძემ, თბ., 1978.
9. „სამყაროს საკვირველებათა“ ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავალითა და შენიშვნებით გამოსცა რ. კიკნაძემ, თბ., 1978.
10. ქათბ ზელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თურქულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ, თბ., 1978.
11. Якоб Цуртавели, Мученичество Шушаник, Перевод В. Д. Дондуа. Введение и примечания З. Н. Алексидзе, Тб., 1978.

12. Помятник Эриставов. Русский перевод, вступительная статья и комментарии С. С. Какабадзе, Тб., 1979.
13. Сумбат Давитис-дзе. История и повествование о Багратионах. Перевод, введение и примечания Я. Д. Лордкипанидзе, Тб., 1979.
14. მუსტაფა ნაიმა, ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თურქულიდან თარგმნა, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო ნ. შენგელიამ, თბ., 1979.
15. ზაქარია აგულეცი, დღიური, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. დავლიანიძემ, თბ., 1979.
16. ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი, თურქული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსაცემად მოამზადა ც. აბულაძემ, გამოკვლევა დაურთო მ. სვანიძემ, თბ., 1979.
17. არსენი საფარელი, განყოფისათვის ქართველთა და სომეხთა, ტექსტი კრიტიკულად დაადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ზ. ალექსიძემ, თბ., 1980.
18. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, IV, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1980.
19. ქართული წარწერების კორპუსი, (ლაპიდარული წარწერები, I) აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო, V—X სს., შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980.
20. ქართული წარწერების კორპუსი, II, ლაპიდარული წარწერები, II, გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ, თბ., 1980.
20. ქართული წარწერების კორპუსი, (ლაპიდარული წარწერები, II), დასავლეთ საქართველოს წარწერები, IX—XIII სს., შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ, თბ., 1980.
21. ცხოვრება საქართველოსა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ, თბ., 1980.
22. Законы Вахтанга VI, Перевод, Введение, примечания, глоссарий и указатели Д. Л. Пурцеладзе, Тб., 1980.
23. კ. კობისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გერმანულიდან თარგმნა შესავალი და კომენტარები დაურთო ლ. შამაცაშვილმა, თბ., 1981.
24. წინამდებარე წიგნი.

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი	9
ისქანდერ მუნში და მისი „ზეილ-ე თარიხ-ე ალამარაი-ე აბასი“	12
„ზეილ-ე თარიხ-ე ალამარაი-ე აბასის“ ცნობები საქართველოს შესახებ	19
„ზეილ-ე თარიხ-ე ალამარაი-ე აბასი“ (ქართული თარგმანი)	49
შენიშვნები	66
რეზიუმე (რუსულ ენაზე)	81
საძიებლები	89
სპარსული ტექსტი	112

შენსავალი

XVII საუკუნის 30-იანი წლები მეტად საინტერესო პერიოდია ირან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიაში. ამ დროს შაჰ ჯეფი I (1629—1642), რომელიც შაჰ აბას I-ის (1587—1629) პოლიტიკას აგრძელებდა საქართველოსთან დამოკიდებულებაში, ატარებდა ე. წ. „კომპრომისის პოლიტიკას“. მართალია, ქართლ-კახეთი კვლავ ირანელთა ხელში რჩებოდა, მაგრამ მტერმა თავის ძირითადი მიზნის ქართველთა გაულებლისა და აყრა-გადასახლების განხორციელება მაინც ვერ შეძლო. შაჰ აბასის ამ განზრახვის ჩაშლაში უდიდესი როლი შეასრულა გიორგი სააკაძის მიერ ორგანიზებულმა მარტყოფის აჯანყებამ 1625 წელს, აგრეთვე იმ დიდმა ზარალმა, რომელიც ყიზილბაშებს მარაბდისა და ქსნის ბრძოლების შედეგად მოუვიდათ. ქართველმა ხალხმა სამარადისოდ დაამტკიცა, რომ მას არ ეწერა მოსპობა-გადაშენება.

ყოველივე ამის შედეგად, შაჰ აბასი იძულებული გახდა ხელი აეღო თავისი საზარელი გეგმის განხორციელებაზე. ამით აიხსნებოდა, რომ მან მეფე თეიმურაზთან მოლაპარაკება გამართა და ფაქტურად იგი ქართლ-კახეთის მეფედ სცნო. თუმცა არაოფიციალურად, რადგან სიმონ-ხანი არ გადაუყენებია¹. სამაგიეროდ, თეიმურაზმა თავი ირანის ვასალად აღიარა. მაგრამ მისმა მორჩილებამ დიდხანს არ გასტანა; ნაცვლად იმისა, რომ თავი ირანის ერთგულად მოეჩვენებინა და ქვეყნის საშინაო მდგომარეობაზე ეზრუნა, იგი შაჰის წინააღმდეგ შეტევაზე გადავიდა, დაუკავშირდა განჯა-ყარაბაღის ბეგლარბეგს — დაულ-ხან უნდილაძეს და მათ აჯანყება მოაწყვეს ირანის შაჰის წინააღმდეგ. ირანის ტახტზე ამ დროს უკვე შაჰ სეფი იყო, რომელიც შაჰ აბასის „კომპრომისულ“ პოლიტიკას აგრძელებდა საქართველოს მიმართ. ეს კომპრომისი იმაში გამოიხატებოდა, რომ ირანი უკულოლად ტოვებდა ქართულ სოციალურ-ეკონომურ წყობას, ტახტი ქართველ

¹ ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII სს., თბილისი, 1958, გვ. 361—362.

მეფეთა ხელში რჩებოდა, მხოლოდ მაჰმადიანობისა და „ვალის“ ტიტულის მიღების პირობით².

ირან-საქართველოს ურთიერთობის ამ ახალმა ფორმამ ყველაზე მეკაფიო გამოხატულება ჰპოვა ქართლის ვალის³ როსტომ-ხანის (1632—1658) მოღვაწეობასა და პოლიტიკაში. იგი გამაჰმადიანებული ქართველი იყო ირანის შაჰის კარზე აღზრდილი შაჰ სეფის მიერ ქართლში წარგზავნილ როსტომის მრავალი ბრძოლის გადატანა მოუხდა, ვიდრე ქართული ფეოდალური საზოგადოების უმეტეს ნაწილს გადაიბირებდა, მაგრამ ქართველ დიდებულთა მეორე ნაწილი, რომელსაც მეფე თეიმურაზი ედგა სათავეში, არ სცნობდა როსტომის მეფობას და ბრძოლას განაგრძობდა სრული დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. მიუხედავად ამისა, როსტომმა, რომელიც დიდი ნიჭით, ენერგიულობითა და გამჭირაობით გამოირჩეოდა, მალე ყველა წინააღმდეგობა გადალახა და ქართლის სრულუფლებიანი მეფე გახდა, მაგრამ ფეხის უფრო მტკიცედ მოსაკიდებლად მას შემკვიდრე სჯირედებოდა. ამ მიზნით როსტომმა გადაწყვიტა ოდიშის მთავართან ლევან დადიანთან დამოყვრება და მისი და ცოლად შეერთო. ამ არჩევანს პოლიტიკური მოსაზრება ედო საფუძვლად; ჭერ ერთი დადიანთან კავშირს დიდი მნიშვნელობა ექნებოდა თეიმურაზის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელიც მაშინ იმერეთში აფარებდა თავს. დადიანისა და როსტომის დამოყვრება მეტად ხელსაყრელი იყო აგრეთვე ირანის პოლიტიკური მიზნებისათვის, რადგან ირანს ამ შემთხვევაში გზა გაუხსნებოდა დასავლეთ საქართველოსკენაც. ამიტომ ირანის შაჰი სიხარულით შეხვდა როსტომის გადაწყვეტილებას. თეიმურაზ მეფემ კი, რომელმაც თანდათან დაკარგა როსტომის თავიდან მოშორების იმედი, მასთან შერიგება არჩია და თავისი ერთგულების დასამტკიცებლად, შაჰის კარზე ქალიშვილის გაგზავნას შეჰპირდა.

ზემოხსენებული ამბების შესახებ ცნობები მოიპოვება ქართულ, სომხურ, რუსულ, იტალიურ, თურქულ და სპარსულ წყაროებში, რომელთა ურთიერთშემდარება და კრიტიკული განხილვა საშუალებას მოგვცემს უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ იმდროინდელი ირან-საქართველოს ურთიერთობის ცალკეული მომენტი.

² გ. ჯ ა მ ბ უ რ ი ა, საქართველოს პოლიტიკური ვითარება XVII საუკუნის 30—90-იან წლებში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, თბილისი, 1973, გვ. 312.

³ ვალის შესახებ იხ. ვ. გა ბ ა შ ვ ი ლ ი, სპარსული დისტურლამალი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XXXV, 1949, გვ. 218; მისივე, ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII საუკუნეებში, გვ. 375; ქ. კ უ ც ი ა „თახჩიართ ალ-მულუქის“ ცნობები საქართველოს შესახებ, ქართული წყაროთმცოდნეობა, III, თბილისი, 1971, გვ. 264.

ხსენებული პერიოდის ირან-საქართველოს ურთიერთობას შესწავლისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა XVII საუკუნის სპარსელი ისტორიკოსის ისქანდერ მუნშის საისტორიო თხზულება „შეილ-ე თარხ-ე ალაშაჩაი-ე აბასი“ (აბასის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორიის გაგრძელება).

წინამდებარე ნაშრომის მიზანია ხსენებული თხზულებიდან ირან-საქართველოს ურთიერთობისა და ირანში მოღვაწე ქართველთა შესახებ არსებულ ცნობათა ამოკრება, მათი შედარება სხვა წყაროთა მონაცემებთან და სათანადო ანალიზი, ყოველივე ამის საფუძველზე კი, შეძლებისდაგვარად, XVII საუკუნის 30-იანი წლების ირან-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობის სრული სურათის წარმოდგენა.

ისქანდერ მუნში და მისი „ზაილ-ი თარიხ-ი ალაშარაი-ი აბასი“

XVII საუკუნის სპარსულ ისტორიოგრაფიაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია ისქანდერ-ბეგ თორქემანს, რომელიც მუნშის სახელითაა ცნობილი. მისი ბიოგრაფიიდან ცოტა რამ ვიცით; ცნობილია, რომ ისქანდერი დაიბადა 1560 — 1561 წელს. იგი წარმოშობით ყიზილბაშური თორქემანის ტომიდან იყო. ახალგაზრდობაში ისქანდერს საკმაოდ კარგი განათლება მიუღია. შაჰ მოჰამედ-ხოდაბანდეს დროიდან მოყოლებული (1577—1587) იგი დაკავშირებული იყო სეფიანთა სამეფო კართან: 1592/3 წელს ისქანდერი დაინიშნა სახელმწიფო დივანის მუნშის (მდივანი) თანამდებობაზე, შემდეგ მსახურობდა დიდვეზირის ხელქვეით. მას, როგორც შაჰის კარზე დაახლოებულ პირს, ხელი მიუწვდებოდა მნიშვნელოვან ოფიციალურ დოკუმენტებზე, სახელმწიფო არქივზე, გარდა ამისა, იგი უშუალო მონაწილე და თვითმხილველი იყო მრავალი ღირსშესანიშნავი მოვლენისა⁴.

შეგროვილი მასალებისა და დოკუმენტების საფუძველზე ისქანდერ მუნშიმ დაიწყო თავისი ცნობილი ნაშრომის „აბასის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორია“ (تاریخ آرای آصفی)⁵ შედგენა, რომელიც დაასრულა შაჰ აბასის სიკვდილის წელს (1629).

როგორც სათაური გვიჩვენებს, ნაშრომში ძირითადად მოთხრობილია ის ამბები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა შაჰ აბას I-ის დროს. ნაშრომი შედგება წინასიტყვაობის, შესავლისა და ორი ტომისაგან. შესავალი კომპილაციას წარმოადგენს. აქ მე-16 საუკუნის წყაროების (ძირითადად ჰასან რუმლუს „აჰსან ათ-თავარიხ“-ის) საფუძველზე მოთხრობილია პირველი სეფიანი შაჰინშაჰების მეფობის წლების ისტორია. პირველ ტომში მოთხრობილია ამბები შაჰ აბას I-ის დაბადებიდან მის ტახტზე ასვლამდე (1571—1587 წწ). მეორე ტომი შედგება

⁴ А. Рахмани, «Тарих-и Алам Арай-и Аббаси» как источник по истории Азербайджана, Баку, 1960, ст. 13—15.

⁵ И. Петрушевский, Очерки по истории феодальных отношений в Азербайджане и Армении в XVI—начале XIX вв., Ленинград, 1949, с. 32.

ორი ნაწილისაგან: პირველი ნაწილი მოიცავს შაჰ აბასის პირველი ოცდაათი წლის მეფობის მოვლენათა თხრობას (1587—1616 წწ), ხოლო მეორე ნაწილში გადმოცემულია 1616—1629 წლების ამბები⁶.

„თარხი-ე-ალამარაი-ე აბასი“ უძვირფასესი პირველწყაროა არა მარტო საეკთრივ ირანის ისტორიისათვის, არამედ ირანთან პოლიტიკური ურთიერთობით დაკავშირებული სხვა ქვეყნების, განსაკუთრებით საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ისტორიისათვისაც. შეიძლება ითქვას, რომ XVII საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის ცნობების სიუხვითა და სიზუსტით ისქანდერ მუნშის ნაშრომს ვერცერთი სხვა სპარსული წყარო ვერ შეედრება⁷. რასაკვირველია, ეს აიხსნება იმ განსაკუთრებული მნიშვნელობითაც, რაც საქართველოს XVI—XVII საუკუნეების ირანის ისტორიაში ენიჭებოდა.

ისქანდერ მუნშის თხზულებას, როგორც პირველწყაროს, საკუთრივ ირანის, აგრეთვე ამიერკავკასიის ქვეყნების ისტორიისათვის მეტად მაღალ შეფასებას აძლევენ ცნობილი ორიენტალისტი-ისტორიკოსები. აკადემიკოსი ვ. ვ. ბარტოლდი ხსენებულ ნაშრომს მიიჩნევდა ერთ-ერთ საუკეთესო პირველწყაროდ ამიერკავკასიის ქვეყნების ისტორიისათვის⁸.

ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა: „ისქანდერ მუნშის ისტორია შესანიშნავი და საუცხოო თხზულებაა. ისქანდერ მუნშისთანა ისტორიკოსი იშვიათია და მის თხზულებასაც დიდი ღირსება და მნიშვნელობა აქვს“⁹.

ი. პეტრუშევსკი წერდა, რომ ისქანდერ მუნში სეფიანთა ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელია¹⁰.

ვ. გაბაშვილი აღნიშნავს: XVI საუკუნის დამლევისა და XVII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოს ისტორიისათვის, ცნობების სიუხვის მხრივ ისქანდერ მუნშის თხზულება განუმეორებელი წყაროა“¹¹.

⁶ И. В. Петрушевский, гл. 32.

⁷ ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი თარგმანითა და შესავლითურთ ვლ. ფუთურძის, შენიშვნები დ. კაციტაძის, თბილისი, 1969, გვ. 9.

⁸ В. В. Бартольд, Место прикаспийских областей в истории мусульманского мира. Сочинения, II, часть I, М., 1963, с. 171.

⁹ ივ. ჯავახიშვილი, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ დაახლა, წიგნი I, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V—XVIII სს), თბილისი, 1945, გვ. 297.

¹⁰ И. П. Петрушевский, указ. труд. с. 32.

¹¹ ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII სს., გვ. 32.

ისქანდერ მუნშის ნაშრომმა მაღალი შეფასება და აღიარება ჰპოვა ავტორის სიცოცხლეშივე (მის პოპულარობაზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ თხზულების ხელნაწერები მრავლადაა შემონახული სხვადასხვა ქვეყნის წიგნსაცავებსა და სიძველეთსაცავებში: თეირანში, ლონდონში, ლენინგრადში, თბილისში და სხვ.)¹² ამიტომ მან მიიღო ოფიციალური წინადადება, რომ დაეწერა თხზულების გაგრძელება, რომელშიც აღწერილი იქნებოდა შაჰ სეფი I-ის ზეობის ხანის ისტორია. მცირე ყოყმანის შემდეგ, რაც გამოწვეული იყო ისქანდერ მუნშის ხანდაზმულობით, იგი შეუდგა ახალი ნაშრომის წერას, რომელსაც უწოდა „ზეილ-ე თარიხ-ე ალამარაი-ე აბასი“ („აბასის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორიის გაგრძელება“). მაგრამ ავტორმა ვერ მოასწრო ახალი თხზულების დასრულება (მოვლენათა თხრობა მოტანილია 1634 წლამდე). როგორც ჩანს, იგი ამ წელს გარდაიცვალა და ამის გამო ნაშრომი დაუსრულებელი დარჩა.

შემდგომ შაჰ სეფის ზეობის ხანის ისტორიის შევსება-დასრულების მიზნით, ისქანდერ მუნშის ამ ნაშრომს დაერთო რამდენიმე თხზულება. მაგალითად, „ზეილ-ე თარიხ-ე ალამარაი-ე აბასი“ 1939 წლის თეირანის გამოცემა სუჰეილი ხანსარის რედაქციით¹³ წარმოგვიდგენს საკუთრივ ისქანდერის ნაშრომს, რომელიც მოიცავს 1629—1634 წლებს (პუბლიკაციის I—146 გვ.) და მასზე დართული მოჰამედ იუსუფის ნაშრომის „ხულდ-ე ბარინ“-ის („სამოთხე“) ნაწილს, რომელიც გადმოგვცემს შაჰ სეფის ზეობის ბოლო პერიოდს 1642 წლამდე (პუბლიკაციის 146—292 გვ.).

ისქანდერ მუნშის იგივე ნაშრომის სხვა ხელნაწერი აღმოაჩინა აკად. ბ. დორნმა (ЛГПБ, დორნი, № 303), რომელსაც დართული აქვს მოჰამედ მა'სუმის¹⁴ ნაშრომის („ხულასათ ას-სიიარ“) ნაწილი და მირზა მოჰამედ თაჰერ ვაჰიდ ყაზვინის „აბას-ნამე“, სადაც თხრობა მოტა-

¹² Ч. А. С т о р и, Персидская литература, библиографический обзор перевел с английского, переработал и дополнил Ю. Э. Брегель, II, М., 1972, с. 874.

¹³ წინამდებარე ნაშრომში გამოყენებულია ეს პუბლიკაცია *ذیل تاریخ عالم آرای عباسی، تالیف اسکندر بک ترکمان شہیر بمنشی و محمد یوسف اورخ، بتصحیح سہیلی خوانساری، تہران، ۱۳۱۷*.

¹⁴ შაჰ აბას I-ისა და შაჰ სეფის დროს მოჰამედ მა'სუმი იყო შაჰის საჯინიზოს გამგებელი, ხოლო შაჰ აბას II-ის დროს (1642—1666) იგი გახდა განჯა-ყარაბაღის ბეგლარბეგის მორთაზა ყული-ხან ზიად ოღლი ყაჯარის ვეზირი (იხ. Материалы по истории туркмен и Туркмени, II, М—Л, 1938, с. 12; О. А к и м у ш к и н, «Продолжение» Искандера Мунши и «Краткая суть жизнеописаний» Мухаммад Ма'сум, Иран. Экономика, история, историография, литература, М., 1976, с. 100).

წილია 1663—1664 წლამდე. ეს კრებული ინახება ლენინგრადის მ. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში¹⁵.

როგორც თვითონ მოჰამედ მა'სუმი გვამცნობს, მას შეუდგენია შაჰ სეფის ზეობის ათი წლის ისტორია ამ შაჰის სიკვდილამდე. გამოდის, რომ მას წერა დაუწყია შაჰ სეფის გამეფებიდან ოთხი წლის შემდეგ, ხოლო პირველი ოთხი წლის ისტორია კი, როგორც ისტორიოგრაფიაშია მიღებული, დაწერილია ისქანდერ მუნშის მიერ¹⁶. X^{VII} საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში უცნობ შემდგენელს უბრალოდ მექანიკურად გაუერთიანებია ეს თხზულებები. როგორც ჩანს, მას უპირველეს ყოვლისა, აინტერესებდა მოვლენათა თხრობის თანმიმდევრობა, და არა ავტორთა ვინაობის საკითხი¹⁷. როგორც ისტორიკოსი თ. აკიმუშინი აღნიშნავს, ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ „ზეილ“ ეკუთვნის ისქანდერ მუნშის და რომ მოჰამედ მა'სუმს კი არ გაუგრძელებია მისი ნაშრომი, არამედ იგი დამოუკიდებელი თხზულების ავტორია, რომლის ნაწილიც უცნობ შემდგენელს „ზეილთან“ შეუერთებია¹⁸.

ისქანდერ მუნშის „ზეილ-ე“..., ისევე როგორც მისი ძირითადი თხზულება, შეიცავს მრავალ საინტერესო ცნობას საქართველოსა და ორანში მოღვაწე ქართველების შესახებ. მაგალითად, გიორგი სააკაძის ოსმალეთში გაქცევა და მისი მოკვლა (1629 წ.), სიმონ მეფის (1619—1632) მოკვლა ზურაბ ერისთავის მიერ, თეიმურაზ მეფის (1606 — 1663) მოღვაწეობასთან დაკავშირებული ამბები; კერძოდ, მის მიერ ზურაბ ერისთავის მოკვლა, მისი აჯანყება ირანის შაჰის წინააღმდეგ დაუღ-ხან უნდილაძესთან ერთად. აღსანიშნავია აგრეთვე უნდილაძეთა საგვარეულოს ირანში მოღვაწეობის ბოლო პერიოდის აღწერა; ქართლის ვალის როსტომ-ხანის ამბები; მისი დაწინაურება ირანის შაჰის კარზე, მისი ქართლში გამოგზავნა სპასალარ როსტომ-ხან სააკაძესთან ერთად და შემდგომი ამბები, რომლებსაც ქვემოთ

¹⁵ დორნის ხსენებული ხელნაწერი, რომელსაც ლენინგრადში გავეცანით, შეიცავს სულ 278 ფურცელს. თხზულებათა თანმიმდევრობა ასეთია: ფურცლები 1 ბ—72 ბ—წარმოადგენს უშუალოდ ისქანდერ მუნშის „ზეილ“-ის, რომელიც მთლიანად ემთხვევა სუპეილი ხანსარის პუბლიკაციის 1—146 გვერდებს; ფურცლები 73 ბ—127 ა—შეიცავს მოჰამედ მა'სუმის ნაშრომს ამ ნაწილში აღარ ვხვდებით იმ ცნობებს, რომლებიც სუპეილი ხანსარის პუბლიკაციის ბოლო ნაწილშია; 128 ბ ფურცლიდან ბოლომდე კი—მოჰამედ თაქერის აბას ნაშე.

¹⁶ Материалы по истории туркмен и Туркменин, с. 12.

¹⁷ О. А к и м у ш к и н, «Продолжение» Искандера Мунши и «Краткая суть жизнеописаний» Мухаммад Ма'сума, с. 98—99.

¹⁸ იქვე.

ჯანციხილავთ. ბოლოს ნაშრომში მოთხრობილია (როსტომ მეფისა და ლევან დადიანის) დამოყვრების შესახებ, მაგრამ ეს უკვე ეკუთვნის არა ისქანდერს, არამედ—მოჰამედ იუსუფს.

„ზეილ“-ში მოთხრობილი ზემოხაზოთელი ამბები დასტურდება სხვადასხვა წყაროთა ცნობებით. ქართულ საისტორიო თხზულებებსა და პოემებში (ფარსადან გორგიჯანიძის „ისტორია“, „სწავლულ კაცთა“ თხზულება, ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომი, ე. წ. „პარიზის ქრონიკა“, მეფე არჩილის პოემა „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა“ და სხვ.) მოიპოვება მასალა, რომელიც ადასტურებს, ხოლო ზოგ შემთხვევაში ავსებს ზემოხსენებული სპარსული წყაროს ცნობებს.

✓ სპარსულ თხზულებაში მოთხრობილი ზოგიერთი ამბავი დასტურდება რუსი ელჩების — ვოლკონსკის, ხვატოვის, მიშეცკის, კლუჩარევის მონაცემებით (მაგალითად, თეიმურაზის აჯანყება, როსტომის გამეფება ქართლში).

✓ ხსენებული პერიოდის ირან-საქართველოს ურთიერთობასთან დაკავშირებითა და ირანში მოღვაწე ქართველების შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული XVII საუკუნის იტალიელი მისიონერებისა და სხვა ევროპელ ისტორიკოსთა (ჯუდიჩე მილანელის ბართლომეო ფეროს, ჟან ბატისტ ტავერნიეს, პიეტრო დელა ვალეს, არქანჯელო ლამბერტის) თხზულებებში. ასეთებია, მაგალითად, თეიმურაზისა და დაუდხანის აჯანყება ირანის შაჰის წინააღმდეგ, უნდლიაძეთა საგვარეულოსთან დაკავშირებული ამბები, როსტომის ქართლში გამეფება და სხვა.

ქართული საისტორიო თხზულებებიდან, უპირველეს ყოვლისა, უნდა შევეჩხოთ (ფარსადან გორგიჯანიძის ნაშრომს. მისი თხზულების გარკვეული ნაწილი ავტორის სიცოცხლეში მომხდარი მოვლენების აღწერას წარმოადგენს. ფარსადან გორგიჯანიძე 1656 წლიდან მოყოლებული, როდესაც როსტომ მეფემ იგი ტარულად გაგზავნა ისფაჰანში, 1696 წლამდე ირანში ცხოვრობდა¹⁹. რადგან ფარსადანს საკმაოდ მაღალი თანამდებობა ეკავა ირანში, ცხადია, მას ხელი მიუწვდებოდა ოფიციალურ დოკუმენტებზე, სხვადასხვა ისტორიულ საბუთსა თუ სიგელზე. აქედან გამოდინარე, მას ზედმიწევნით უნდა სცოდნოდა ირან-საქართველოს ურთიერთობის ამბები. ამიტომ ფარსადან გორგიჯანიძის თხზულებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ერთი მხრივ, საქართველოს ისტორიის შესწავლისათვის, ხო-

¹⁹ იე. ჯ ა ე ა ხ ი შ ე ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, 1945, თბილისი, გვ. 284.

ლო, მეორე მხრივ, ირან-საქართველოს ურთიერთობის ცალკეული საკითხების გაშუქებისათვის.

რაც შეეხება სპარსული წყაროების გამოყენებას ფარსადან გორგიჯანიძის თხზულებაში, ამის თაობაზე სამეცნიერო ლიტერატურაში ძირითადად აზრთა ერთიანობა არსებობს. მაგალითად, ივ. ჯაფახიშვილი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ „ერანის ხელმწიფეების ამბავში“ ფარსადანი ნამდვილად ისქანდერ მუნშის თხზულებით სარგებლობდა²⁰. ასეთივე აზრისაა ვლ. ფუთურიძე. მისი გამოკვლევიდან ჩანს, რომ ფარსადან გორგიჯანიძეს ისქანდერის გარდა, მოჰამედ თაჰერის ცნობებითაც უსარგებლია²¹.

ვ. გაბაშვილის აზრითაც, ფარსადანი სარგებლობდა ისქანდერ მუნშისა და მოჰამედ თაჰერის თხზულებებით²².

ამრიგად, ქართველ ისტორიკოსთა შეხედულებით, XVI საუკუნის მოვლენათა აღწერისას, ფარსადან გორგიჯანიძის ძირითადი წყარო ისქანდერ მუნშის ნაშრომი იყო. იგივე შეიძლება ითქვას XVII საუკუნის 30-იან წლებზეც, მხოლოდ აქ უკვე ისეთ მსგავსებას ვეღარ ვხვდებით. დ. კაციტაძის აზრით, სავარაუდებელია, რომ ფარსადან გორგიჯანიძე იყენებდა ისქანდერის თხზულების „გაგრძელებას“, რომელშიც შესანიშნავადაა აღწერილი XVII საუკუნის 30-იანი წლები. იგივე ამბებს მოგვითხრობს ფარსადანიც, ოღონდ უფრო მოკლედ, ზოგჯერ კი ისეთ რამეს უმატებს, რაც სპარსულ წყაროში არ არის. მიუხედავად ამ განსხვავებისა, გორგიჯანიძეს სწორედ ამ წყაროთი უნდა ესარგებლა²³.

ჩვენი აზრით, ფარსადან გორგიჯანიძის მიერ „ზეილ-ე თარის-ე ალაშარი-ე აბასის“ გამოყენებაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ ორივე თხზულებაში მოვლენათა თანმიმდევრობა ერთნაირადაა დაცული (თეიმურაზისა და დაუდ-ხანის მიერ განჯა-ყარაბაღის დარბევა, ალა-ეზრდი-ხანი საგვარეულოს ამოწყვეტა, როსტომ-ხან სააკაძისა და ხოსრო-მირზას გამოგზავნა საქართველოში, თეიმურაზის იმერეთში გაქცევა და სხვა).

²⁰ ივ. ჯაფახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 295.

²¹ ვლ. ფუთურიძე, მოჰამედ თაჰერის ცნობები საქართველოს შესახებ, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვ. 30, თბილისი, 1954, გვ. 378.

²² ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება. XVI—XVII სს. გვ. 27.

²³ დ. კაციტაძე, ფარსადან გორგიჯანიძის თხზულებისა და „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელებათა XVI—XVII სს. სპარსული წყაროები, „მოამბე“ თბილისი 1960, № 2, გვ. 129

ქართული წყაროებიდან უნდა აღვნიშნოთ აგრეთვე „სწავლულ კაცთა კომისიის“ ნაშრომი, რომელიც მოიცავს XIV—XVII საუკუნეთა საქართველოს ისტორიას. ჩვენი ქვეყნის ისტორიის ეს ვრცელი პერიოდი დიდხანს ბურუსით იყო მოცული. კომისიამ შეკრიბა ყოველგვარი მასალა; ქართული და არაქართული, წერილობითი თუ ზეპირი და შეადგინა საკმაოდ საინტერესო, თუმცა არა უნაკლო, ისტორია. ჩვენთვის საინტერესო პერიოდის აღწერისას, „სწავლულ კაცებს“ სპარსული ნაწარმოებით აღარ უსარგებლიათ, რადგან მათ უკვე ვააჩნდათ შესანიშნავი მასალა ქართული საისტორიო პოემების სახით, როგორცაა იოსებ თბილელის „დიდმოურავიანი“, თეიმურაზ მეფის „წამება ქეთევან დედოფლისა“, მეფე არჩილის „თეიმურაზიანი“²⁴.

„სწავლულ კაცთა“ ნაშრომს კრიტიკულად მიუღდა ვახტანგ VI-ის შვილი, სახელოვანი ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი ბატონიშვილი. მიუხედავად ამისა, თავისი თხზულების შედგენისა, იგი ძირითადად მინც „სწავლულ კაცთა“ ნაშრომს ეყრდნობოდა. გარდა ამისა, ვახუშტი ბატონიშვილს სამეფო კარის „გარიგების წიგნიც“ ჰქონია და ვახტანგ VI-ის „დასტურლამალიც“, ზოგ შემთხვევაში სიგელ-გუჯრებითა და სხვაგვარი საბუთებით უსარგებლია²⁵.

ვახუშტის კრიტიკის გავლენით აიხსნება ის გარემოება, რომ უცნობ ისტორიკოსს „ქართლის ცხოვრების გაგრძელება“ გადაუკეთებია. ეს თხზულება ცნობილია „პარიზის ქრონიკის“ სახელით. მის ავტორს უსარგებლია სხვადასხვა ქართული წყაროებით, ზოგ შემთხვევაში თითქმის სიტყვასიტყვით, ამიტომ ნაშრომი ძირითადად კომპილაციურია²⁶.

„ზელი“-ში მოთხრობილ ამბებთან დაკავშირებით აღმოსავლური წყაროებიდან აღსანიშნავია XVII საუკუნის სპარსელი ისტორიკოსის ჰაჯი მეჰდი-ყული ყაჯარის თხზულება „უკეთესთაგანი უკეთესი (ისტორია)“, რომელშიც მოტანილია ცნობები თეიმურაზისა და დაუდხანის მიერ განჯა-ყარაბაღის დარბევის, როსტომ-ხანის ქართლში ჩამოსვლისა და შაჰ სეფის მიერ უნდილაძეთა საგვარეულოს ამოწყვეტის შესახებ. ამ პერიოდის მოვლენათა აღწერისას, ავტორს ისქანდერ მუნშის ნაშრომით უსარგებლია²⁷.

საყურადღებოა XVII საუკუნის ოსმალთა ისტორიკოსები: იბრა-

²⁴ დ კ ა ც ი რ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 140.

²⁵ ივ. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 246.

²⁶ იქვე.

²⁷ ვლ. ფ უ თ უ რ ი ძ ე, „უკეთესთაგანი უკეთესი (ისტორია)“ ჰაჯი მეჰდი-ყული ყაჯარისა, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვ. 2, თბილისი. 1942, გვ. 85.

პიმ ფეჩევი, ქათიბ ჩელები, მუსტაფა ნაიმა, რომლებიც საინტერესო ცნობებს გვაწვდიან როგორც ირან-საქართველოს, ისე ოსმალეთ-საქართველოსა და ირან-ოსმალეთის ურთიერთობათა შესახებ.

საინტერესო მასალა მოიპოვება აგრეთვე XVII საუკუნის სომეხი ისტორიკოსების — არაქელ დავრიჟეცისა და ზაქარია კანაკერცის — თხზულებებში, რომელთა შესწავლა საშუალებას გვაძლევს თვალი ვადევნოთ ირან-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობის ცალკეულ მომენტებს.

„ზეილ-ე თარიხ-ე ალამარაი-ე აბასის“ ცნობები საქართველოს შესახებ

„ზეილ-ე თარიხ-ე ალამარაი-ე აბას“ — ში მოტანილი ჩვენთვის საინტერესო ცნობებიდან, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია (გიორგი სააკაძის ოსმალეთში გაქცევისა და მოკვლის ამბავი. როგორც თვით ავტორი აღნიშნავს, გიორგი სააკაძის ოსმალეთში წასვლის შესახებ მის ძირითად თხზულებაშია მოთხრობილი²⁸, ხოლო მისი მოკვლის ამბავი მხოლოდ „ზეილ“ — შია გადმოცემული: ოსმალეთში ჩასული მოურავი რუმის ხონთქარმა²⁹ დიდი პატივით მიიღო, შემდეგ კი სარდალ ხოსრო ფაშასთან ერთად ბაღდადს გაგზავნა ყიზილბაშთა წინააღმდეგ საომრად. სხვადასხვა მიზეზების გამო, შენიშნავს ავტორი, მოურავსა და ხოსრო ფაშას შორის უთანხმოება ჩამოვარდნილა, რის შემდეგაც მოურავმა ბრძოლაში მოპოვებული ნადავლი, აქლემებს აჰკიდა და საქართველოს ციხის — ალთუნყალასკენ (ოქროს ციხე) გაგზავნა, მაგრამ ოსმალეებმა შეიტყვეს ეს ამბავი, მოურავი შეიპყრეს და სარდალთან გაგზავნეს. ხოსრო ფაშამ მის საქციელში გაქცევის განზრახვა დაინახა და ამიტომ მოურავი, მისი უფროსი ვაჟი და რამდენიმე ქართველი, რომელიც თან ახლდა, დახოცა.

გიორგი სააკაძის ოსმალეთში გაქცევისა და მისი დაღუპვის ამბავი მოთხრობილია სხვადასხვა (ქართულ, სომხურ, თურქულ...) წყაროებში.

²⁸ تاريخ عالم آرای عباسی، تأليف اسکندر بیگ ترکمان، II، تهران،

გვ. 1061، 1330

²⁹ იგულისხმება ოსმალეთის სულთანი მურად IV (1623—1640).

³⁰ ზეილ-ე თარიხ-ე ალამარაი-ე აბასი, გვ. 35.

ვიწყებთ ფარსადან გორგიჯანიძის თხზულებით. მისი სიტყვით, ოსმალეთის სულთანმა ხოსრო ფაშა და მოურავი დიდი ლაშქრით ზალდადს გაგზავნა ყიზილბაშთა წინააღმდეგ საბრძოლველად, სადაც მათ ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს. ამ გამარჯვების შედეგად გიორგი სააკაძემ დიდი სახელი მოიხვეჭა ოსმალეთში. ეს კი ვერ აიტანა სულთნის დამ, რომელიც ხოსრო ფაშას ცოლი იყო და შურით აღესილმა ქმარს ასეთი წერილი მისწერა: „მოურავის ქების ანბავი მოღეს და თქვენი არაო. ამისთვის ხოსროვ ფაშამ მოვრავი, მისი შვილი, მუხრანის ბატონი და ან ვინც ქართველები იყვნენ, ყველა დახოცა“³¹.

აღნიშნულ ამბავს ფარსადან გორგიჯანიძის მსგავსად მოგვითხრობენ ვახტანგ VI-ის „სწავლულნი კაცნი“ და ვახუშტი ბატონიშვილი, მხოლოდ იმ ცნობის დამატებით, რომ ოსმალეთში ჩასვლისას გიორგი სააკაძემ „ჰგმო სჯული თვისა და იქმნა მაჰმადიან“³².

დიდი მოურავის მოკვლას მოკლედ ეხება მეფე არჩილიც თავის პოემაში. მის მიხედვით, გიორგი ხონთქარს ეახლა, რომელმაც იგი დიდი პატივით მიიღო, მაგრამ მალე ვეზირის ქიშპისა და შურის გამო მოკლულ იქნა³³.

ამრიგად, სპარსელი ისტორიკოსისაგან განსხვავებით, ყველა ქართული წყარო ერთხმად აღნიშნავს, რომ გიორგი სააკაძე ლალატის გამო კი არ მოუკლავს ხოსრო ფაშას, არამედ შურით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, სხვა ქართული წყაროებისაგან განსხვავებით, ფარსადან გორგიჯანიძეს მოაქვს მეტად საყურადღებო დეტალი, რომელიც, მ. სვანიძის აზრით, არის გასაღები სააკაძის სიკვდილის მიზეზის ამოსახსნელად. კერძოდ, ის, რომ ხოსრო ფაშას მოურავის მოკვლას მიზეზად დაუთხარებელია: რაფუზი იყო და მოვაკვლევი-ნო. რაფიზი არაბული სიტყვაა და ნიშნავს ერეტიკოსს. ასე უწოდებდნენ სუნიტები (ოსმალები) შიიტებს (სპარსელებს). ამრიგად, დიდმა ვეზირმა იძის გამო დასაჯა გიორგი სააკაძე, რომ იგი იყო რაფიზი, ე. ი. სპარსელი. ამ შემთხვევაში სააკაძის სპარსელობა კი უნდა გავიგოთ, როგორც სპარსელთა მომხრე და მხარდამჭერი³⁴.

³¹ ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, ს. კაკაბაძის გამოცემა, საისტორიო მოამბე, II თბილისი, 1925, გვ. 237.

³² ბ ე რ ი ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი, ახალი ქართლის ცხოვრება, ქართლის ცხოვრება, II, თბილისი, 1959, გვ. 412; ვ ა ხ უ შ ტ ი ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, თბილისი, 1973 წ. გვ. 236.

³³ გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა, არჩილიანი, II, თბილისი, 1937, გვ. 81.

³⁴ მ. ს ვ ა ნ ი ძ ე, კიდევ ერთხელ გიორგი სააკაძის უკანასკნელი დღეების შესახებ ოსმალეთში, მნათობი, 1979, 2, გვ. 178.

გიორგი სააკაძის ირანთან კავშირი სხვა წყაროებითაც დასტურდება. კერძოდ, 1661—1679 წწ. სტამბოლში მყოფი ინგლისის ელჩის რიკოტის ცნობით, დიდგვარმა იმის გამო მოკვება თავი მოურავს, რომ იგი სპარსეთის შაჰის ინტერესებს ემსახურებოდა³⁵. ამრიგად, ინგლისის ელჩიც ადასტურებს ფარსადან გორგიჯანიძის ცნობას.

გიორგი სააკაძის ოსმალეთში დაღუპვის შესახებ განსხვავებულ ცნობებს გვაწვდიან ოსმალთა ისტორიკოსები. იბრაჰიმ ფეჩევი აღნიშნავს ხოსრო ფაშას მიერ გიორგი სააკაძის მოკვლის ფაქტს, მაგრამ მიზეზს არ ასახელებს. უფრო მეტიც, ავტორი თითქოს გაკვირვებულია ამ ამბით. იბრაჰიმ ფეჩევი მოგვითხრობს: საოცარია, რომ ხუსრევმა მოურავი, მისი შვილი და (მოურავის მხლებლები) ორმოცამდე კაცი ერთბაშად დახოცა³⁶.

მეტად საინტერესოა მომდევნო ოსმალთა ისტორიკოსთა (ქათიბ ჩელები, მუსტაფა ნაიმა) ცნობები. მუსტაფა ნაიმა, რომელიც ოსმალეთში მოურავის საქმიანობისა და მისი მოკვლის შესახებ თხრობისას ქათიბ ჩელების ცნობებს ეყრდნობა³⁷, მოგვითხრობს, რომ როდესაც გიორგი სააკაძე კონიის გამგებლად დაინიშნა, იგი თურმე ძალმომრეობასა და მჩაგვრელობას აქვლავებდა მოსახლეობის მიმართ. უკმაყოფილო მოსახლეობას დიდგვარისათვის შეუჩივლია. მოურავს კი შეშინებია და გაქცეულა. ნაიმას გადმოცემით, გაქცეული მოურავის ჯგუფს ხოსრო ფაშას მღებრები დაეწივნენ. მათ გიორგი სააკაძე, მისი შვილი და მხლებლები შეიპყრეს და სიკვდილით დასაჯეს³⁸. საყურადღებოა თვით ავტორის დამოკიდებულება ამ ფაქტისადმი. ნაიმას სიტყვით: მხოლოდ იმიტომ, რომ სისხლის დაღვრა ეწადა, მან (ხოსრო ფაშამ) ხონთქრისათვის შეუტყობინებლად; ვითომდა (მოურავი) საქართველოში წავაო, მოკლა ასეთი გმირი მოხუცი, რომელსაც ეგოდენ დიდი დამსახურება ჰქონდა, „რომელმაც თავისი მცდარი სჯული უარყო და მაჰმადიანობა მიიღო“³². ამრიგად, ოსმალთა ისტორიკოსს არ სჯერა, რომ გიორგი სააკაძეს რაიმე უსამართლობა ჩაედინოს კონიის მოსახლეობის მიმართ და მას უდანაშაულოდ თვლის. რაც შეეხება მო-

³⁵ მ ს ვ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 178.

³⁶ იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, ს. ჭიჭიას გამოცემა, თბილისი, 1964, გვ. 85.

³⁷ გ. ა ლ ა ს ა ნ ი ა, საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი ქათიბ ჩელების ცნობათა შუქზე, მაცნე, ისტორიის სერია, 1973, 2, გვ. 125.

³⁸ მ უ ს ტ ა ფ ა ნ ა ი მ ა, ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და შენიშვნებით გამოსაცემად მოამზადა ნოდარ შენგელიამ, თბილისი, 1979 გვ. 66.

³⁹ ს. ჭიჭია, ცნობა დიდი მოურავის უკანასკნელი დღეების შესახებ ოსმალეთში, ვენიციის მოამბე. XIII, თბილისი, 1942, გვ. 213.

ურავის გაქცევის მიზეზს, სავსებით დასაშვებია, რომ თითქოს სამი წლის ლოდინის შემდეგ მას იმედი გადაწყვეტოდა ოსმალეთის მთავრობის მხრიდან რაიმე დახმარებაზე და საქართველოში დაბრუნება ეცადა, რათა საკუთარი ძალებით მაინც განეხორციელებინა თავისი ჩანაფიქრი — საქართველოს გაერთიანება⁴⁰.

გიორგი სააკაძის საქართველოში დაბრუნების განზრახვა რომ რეალურია, ეს ჩანს აგრეთვე თეიმურაზ I-ის 1658 წელს მოსკოვში წარმოებული მოლაპარაკების ჩანაწერებიდან (რუსეთის მეფის ალექსი მიხეილის ძის მოხელეები მოლაპარაკებლას აწარმოებდნენ თეიმურაზთან). თეიმურაზს უთქვამს რუსებისათვის, რომ ოსმალეთში გაქცეულ ვიოგრი სააკაძეს საქართველოში დაბრუნება გადაუწყვეტია და როდესაც ეს სულთნის ვეზირმა შეიტყო, იგი სიკვდილით დასაჯა⁴¹.

ზემოთ განხილული ცნობების სანდოობა სხვა მხრივაც მტკიცდება; როგორც ცნობილია, 1629 წლის 19 იანვარს გარდაიცვალა გიორგი სააკაძის დაუძინებელი მტერი შაჰ აბას I და ირანის საქმეები ერთბაშად მოექცა ხოსრო-მირზას (როსტომის) ხელში. როგორც მ. სვანიძე აღნიშნავს, მოურავმა გადაწყვიტა ირანში შექმნილი ვითარებით ესარგებლა და მან შეიმუშავა საქართველოს გაერთიანების ახალი გეგმა, რომლის განხორციელებას აპირებდა ირანში აღზევებული ქართველების დახმარებით. ამ მიზნით მოურავმა მათთან კონტაქტი დაამყარა, ექვემდებარებოდა, ოსმალეთის დიდგვზირის დაუკითხავად. საფიქრებელია, რომ სწორედ ეს გახდა გიორგი სააკაძის სიკვდილით დასჯის მიზეზი⁴². აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება: ოსმალეთის მთავრობამ, რომელმაც შაჰ აბასის სიკვდილით ისარგებლა, შეტევა წამოიწყო ირანის წინააღმდეგ ხოსრო ფაშას სარდლობით. სწორედ ამ ლაშქრობის დროს დაისაჯა გიორგი სააკაძე სიკვდილით. როგორც ჩანს, მან არ ისურვა ირანის ახალი ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა, სადაც თავის დროზე მისი წყალობით აღზევებული ხოსრო-მირზა პირველი კაცი გამხდარიყო⁴³.

ჩვენს მიერ განხილული ცნობების ურთიერთშედარებისა და ანალიზის საფუძველზე, აგრეთვე საქართველოს, ირანსა და ოსმალეთს შორის იმ დროს შექმნილი კონკრეტული ვითარების შუქზე ბუნებრი-

⁴⁰ გ. ჯ ა მ ბ უ რ ი ა, ბაზალეთის ტრაგედია, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, გვ. 291.

⁴¹ ვ. შ ა ჯ ა რ ა ძ ე, ჩანაწერები თეიმურაზ I-ის მოლაპარაკებისა მოსკოვში, 1658 წელს, თსუ შრომები, ტ. 113, თბილისი, 1965, გვ. 97.

⁴² მ. ს ვ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 180.

⁴³ ი. ა ნ თ ე ლ ა ვ ა, გ. სააკაძის უკანასკნელი დღეების შესახებ ოსმალეთში, მნათობი, 1977, 10, გვ. 191.

ვად წარმოგვიდგება მოურავის საქართველოში დაბრუნების მცდელობა, რაც მას, საუბედუროდ, აღარ დასცალდა. უცხოობაში დაიღუპა სახელოვანი ქართველი სარდალი, რომელმაც მთელი სიცოცხლე საქართველოს დამოუკიდებლობისა და ქართველი ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლას შესწირა.

როგორც აღნიშნული იყო, შაპ აბასის გარდაცვალებისთანავე, ოსმალეთმა შეტევა წამოიწყო ირანის წინააღმდეგ. ირან-ოსმალეთს შორის ურთიერთობის გამწვავება თეიმურაზ I-მა თავის სპარაგებლოდ გამოიყენა და სიმონ II, რომელიც ფაქტიურად სომხით-საბარათიანოს მეფე იყო, ზურაბ ერისთავის დახმარებით თავიდან მოიცილა, ხოლო შემდეგ მან განდიდებული არაგვის ერისთავიც მოაკვლევინა.

სიმონ მეფისა და ზურაბ ერისთავის მოკვლის შესახებ საინტერესო ცნობები მოიპოვება „ზეილ-ე თარიხ-ე ალამარაი-ე აბასი“-ში. ზურაბი თურმე შაპ აბასის დაახლოებულ პირთა რიცხვში იყო და მისი დიდი ნდობით სარგებლობდა. მოურავის ლალატის შემდეგ კი, ზურაბიც მისი მოკავშირე გახდა და მოურავთან ერთად ყარაღილა-ხანისა და იუსუფ-ხანის მოკვლაში მიიღო მონაწილეობა. ამის შემდეგ ზურაბი და გ. სააკაძე თეიმურაზ I-ს დაუკავშირდნენ, რომელიც შაპისაგან განდგომილი იყო. მათ დასაჩქელად შაპ აბას I-მა დიდძალი ლაშქარი გამოგზავნა ყორჩიბაშ ისა-ხანის მეთაურობით. ყაზალბაშთა ბრავალრიცხოვან ჯართან ბრძოლაში⁴⁴ ქართველები დამარცხდნენ. ძალე მოურავსა და თეიმურაზს შორის უთანხმოება ჩამოვარდა, რის გამოც საქართველოში დარჩენა აღარ შეეძლო და ოსმალეთს შეაფარა თავი, სადაც თავისი დანაშაულის საზღაური მიიღო. ზურაბი კი საქართველოში დარჩა. მან ცბიერებითა და თვალთმაქცობით სიმონ მეფესთან დაახლოება მოახერხა და „მთელი სახელმწიფო მარაგის სრულუფლებიანი გაშვებულად გახდა“. მეფის სრული ნდობის მოპოვების შემდეგ, ზურაბმა მისი მოკვლა განიზრახა და ამ მიზნით სიმონი თავის ადგილ-მამულში მიიპატიჟა. ბევრი უშალეს ახლობლებმა მეფეს, რომ არ წასულიყო, მაგრამ სიმონი, რომელიც „ახალგაზრდობისა და გამოუცდელობის გამო პირფერობით მოტყუვდა“, მაინც ეწვია ზურაბს, სადაც ამ უქანასკნელმა ლალატით მოკლა იგი. ამის შემდეგ ზურაბმა გადაწყვიტა თეიმურაზ მეფეს დაახლოებოდა და მისი საშუალებით ქართლის ბატონობა ხელთ ეგდო, მაგრამ თეიმურაზს იმ დროს თავისი წარსული საქმეები მონანიებული ჰქონდა შაპის წინაშე და არ ისურვა მასთან კავშირის დამყარება. პირიქით, მისი უდიდებულესობის წინაშე ერთგულების დასამტკიცებლად თეიმურაზმა შესაფერისი დრო შეარჩია და არაგვის ერისთავი მოკლა. ირანის შაჰმა მოუწონა

⁴⁴ იგულისხმება 1625 წლის მარაბდის ბრძოლა.

თეიმურაზს ეს საქციელი და ჯილდოდ „საქართველოს ქართლის“ ბატონობა მის ვაჟს გურგენ-ხანს უბოძა.

უფრო ვრცლად და ცოტა განსხვავებულად გადმოგვცემს ლიონ მუფის მოკვლის ამბავს ფარსადან გორგიჯანიძე. მისი სიტყვებით, როცა მეფე თეიმურაზი მიხვდა, რომ სიმონისათვის ქართლი უომრად უნდა დაეთმო, გაეცალა მას და კახეთში გადავიდა. იქიდან კი ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ სიმონისათვის ქართლი წარეთმია. ამ მიზნით თეიმურაზმა მას ზურაბ ერისთავის სიძე მიუჩინა მკვლელად, ზურაბს კი სამაგიეროდ „თავის ქალისა და თიანეთის მიცემას დაჰპირდა“⁴⁵. ერისთავი დათანხმდა და მძინარე სიმონი მოლაღატურად მოაკვლევინა, რის შემდეგაც მან დანაპირები მიიღო, თეიმურაზი კი ქართლში გაბატონდა. მიუხედავად ამისა, განაგრძობს ფარსადანი, თეიმურაზისა და ზურაბის კავშირმა დიდხანს არ გასტანა, რადგან თეიმურაზი მას აღარ ენდობოდა. ახლობლებმაც შთააგონეს მეფეს, რომ თავისი „მეგვიდრე ბატონის“ მკვლელი არც მას დაინდობდა. ამიტომ თეიმურაზმა ზურაბის თავიდან მოცილება არჩია და იგი მოაკვლევინა, მისი თავი შაჰს გაუგზავნა და შეუთვალა, მე იგი სიმონის ღალატის გამო მოკვალყო. შაჰს მეტად ესიამოვნა და ჯილდოდ „ქართლიცა და კახეთიც ბატონს თეიმურაზს მისცეს და ხალათი და რაყამი გამოუგზავნეს“⁴⁶.

არჩილ მეფის აღწერით ზემომოთხრობილი ამბავი ცოტა სხვაგვარად წარმოგვიდგება. მისი თქმით, ზურაბისათვის თეიმურაზის ქალიშვილის მიცემა სიმონის სიკვდილამდე მომხდარა (ამას როსტომ მეფეც ადასტურებს თავის 1648 წლის სიგელში. მაშასადამე, ფარსადან გორგიჯანიძის ეს ცნობა უსაფუძვლოა)⁴⁷, სიმონის მკვლელობაში კი თეიმურაზს არავითარი ბრალი არ მიუძღვოდა. თავის პოემაში არჩილი თეიმურაზს ათქმევინებს: სიმონ მეფე „მოკლა მან (ზურაბმა) ჩემად უგრძნობლად“⁴⁸. ზურაბ ერისთავის მოკვლის ამბავს არჩილი ფარსადან გორგიჯანიძის მსგავსად მოგვითხრობს. მაგრამ აქაც იგი ცდილობს როგორღაც გაამართლოს თეიმურაზი ზურაბის მკვლელობაში. მეფე — პოეტი ასე ათქმევინებს თეიმურაზს:

„ვირე ცოცხალ ვარ ვინანი...

რად მოვკალ, ვით შემოვიკალ შვილის უმჯობე, ძმისა და, ნამსახური და კვალვ სიძე, სიკეთე აქუს მოდგმისადა ლუთისა მეშინის, კაცთაგან მრცხუნენის ამისა მყოფელსა“⁴⁹.

⁴⁵ ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, დასახ. ნაშრ., გვ. 236.

⁴⁶ იქვე, გვ. 238.

⁴⁷ ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, IV, თბილისი, 1967, გვ. 354.

⁴⁸ გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა, არჩილიანი, II, გვ. 81.

⁴⁹ იქვე, გვ. 84.

რადგანაც არჩილის პოემა თეიმურაზ მეფის „მნახავთა და თანა-
ნახალ“ თანამედროვეთა ცნობებზეა დამყარებული, ამიტომ, ცხადია,
რომ ზემომოტანილი ცნობა თეიმურაზის მომხრე წრის თვალსაზრი-
სად და შეხედულებად უნდა ჩაითვალოს⁵⁰.

არჩილ მეფის მონათხრობს ემთხვევა „სწავლულ კაცთა“ ცნო-
ბა; მათი აზრითაც სიმონის მოკვლის დროს ზურაბი უკვე იყო თეიმუ-
რაზის სიძე და თეიმურაზს არავითარი ბრალი არ მიუძღოდა ამ
მკვლელობაში. „სწავლულნი კაცნი“ მოგვითხრობენ, რომ ზურაბი გა-
ნუდგა თავის სიმამრს თეიმურაზს და სიმონ მეფეს დაუახლოვდა. ამის
ნიშები კი ის იყო, რომ თეიმურაზი მეტ დამოუკიდებლობა იჩინდა
და უფლებამოყვარული ზურაბი მას ველარ შეეწყო. ზურაბის განდგო-
მის შემდეგ თეიმურაზმა სპარსეთს წასვლა დააპირა თავისი საქმეების
ნოსაგვარებლად. ეს გარემოება ზურაბმა თავის სასარგებლოდ არ მიიჩ-
ნია, ამიტომ გადაწყვიტა სიმონის მოკვლა და მართლაც „მძინარე სა-
რეცელსა ზედა დალატით მოკლა იგი, წარკუეთა თავი და წარსცა ბა-
ტონს თეიმურაზს...და მოიყვანა ბატონი თეიმურაზ და უფალყო
ქართლსა და კახეთსა ზედა“⁵¹. მიუხედავად ამისა, თეიმურაზი მაინც
ვერ ენდობოდა ზურაბს და მისი თავიდან მოშორება არჩია: მიუჩინა
მას კაცნი და შოაკვლევიანა.

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობა სიმონის მოკვლის თაობაზე არ-
ჩილ მეფისა ემთხვევა: ისიც თეიმურაზს უდანაშაულოდ თვლის, მხო-
ლოდ ერთ ახალ ცნობას უმატებს: „შაჰთან მიმავალმა თეიმურაზმა
თურქმე ზურაბს შეუთვალა: „შეუგვანებელ არს განწირვად სიძისაგან
სიმამრისა“. ზურაბს სურდა, რომ თეიმურაზი კახეთის მეფე ყოფილი-
ყო, სიმონი — ქართლისა და ორივენი მისი ხელშემყურენი ყოფილიყ-
ვნენ. მაგრამ, როდესაც თეიმურაზის საყვედურის წერილი მიიღო, მან
„აწ განიზრახა ბოროტი“ და „ცხვილოსს მდგომის სვიმონ მეფესთანა
შევიდა და მოკლა იგი ქ-სა ჩ-ქეთ (1629) ქრ. ტიზ“⁵². მოკლულის თა-
ვი კი ზურაბმა თეიმურაზს გაუგზავნა, რომელიც მაშინვე დაბრუნდა
და ქართლ-კახეთს დაეპატრონა. ზურაბის მოკვლის ამბავსაც ვახუშტი
ბატონიშვილი ზუსტად არჩილ მეფის მსგავსად მოგვითხრობს.

სხვაგვარადაა აღწერილი ეს ამბები ე. წ. „პარიზის ქრონიკაში“. მისი ავტორი ხაწილობრივ ფარსადან გორგიჯანიძის ცნობას იმეო-
რებს, რომლის თანახმად, თეიმურაზი სიმონის მოკვლის უშუალო
მონაწილე იყო, მაგრამ, ფარსადან გორგიჯანიძისაგან განსხვავებით,

⁵⁰ ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 356.

⁵¹ ბ ე რ ი ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი, ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 413.

⁵² ვ ა ხ უ შ ტ ი ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, გვ. 437.

⁵³ იქვე.

„პარიზის ქრონიკის“ ავტორს მიაჩნია, რომ ზურაბი უკვე იყო თეიმურაზის სიძე⁵⁴, როგორც ეს სხვა ქართულ წყაროებშია მითითებული.

ამრიგად, ქართულ საისტორიო მწერლობაში აზრთა სხვადასხვაობაა სიმონის მოკვლაში თეიმურაზის მონაწილეობის შესახებ. სპარსულ წყაროში კი, როგორც ვნახეთ, თეიმურაზი საერთოდ არაა ნახსენები ამ ამბავთან დაკავშირებით.

ისტორიკოს თ. ნატროშვილის მიერ მოხმობილი ცნობით, ზურაბ ერისთავისა და თეიმურაზის ურთიერთობას ახალი მასალებით ავსებს ერთი უცხოური წყარო, რომელიც დაფუძნებულია საქართველოში მყოფ კათოლიკე მისიონერთა რელაციებზე. ესაა იტალიელი ისტორიკოსის ბართლომეო ფეროს წიგნი „თეათინელ მისიონერთა ისტორია“. რომელიც გამოცემულია რომში 1704 წელს. მისი ცნობით, უთანხმოება თეიმურაზსა და ზურაბს შორის თეიმურაზის წყალობით ჩამოვარდნილა. ამ უკანასკნელს თურმე ეთაკილებოდა, რომ თავისივე ქვეშევრდომი ჰყავდა სიძედ და ამიტომ მისი თავიდან მოშორება სურდა. მაგრამ ზურაბმა გადაწყვიტა დაესწრო თეიმურაზისთვის და ქართლის მეფობა წაერთმია მისთვის. ამ მიზნით იგი სიმონს დაუკავშირდა, რომელიც ქართლს ბაგრატიონთა ჩამომავალი იყო. ზურაბმა ისარგებლა თეიმურაზის კახეთში ყოფნით და ქართლის მეფედ სიმონი გამოაცხადა. ზურაბმა საწადელი აისრულა: მადლიერი სიმონი მას მამას უხმობდა და მის დაუკითხავად ნაბიჯსაც არ დგამდა.

როგორც უკვე ვიცით, ზურაბი სიმონთან დიდხანს აღარ დარჩებოდა. ბართლომეო ფერო მოგვითხრობს, რომ ზურაბმა თბილისში მყოფი სიმონი ქართლში მიიპატიჟა, რომელიც სიამოვნებით ესტუმრა მას. სტუმრობის პირველსავე ღამეს ზურაბის ბრძანებით სიმონი მოკლეს. მოკლული მეფის თავი კი ზურაბმა თეიმურაზს გაუგზავნა და შესთავაზა, რომ ხელახლა დაუფლებოდა წართმეულ სამეფოს. თეიმურაზს თურმე სიბრალული აღუძრა ქართლის ახალგაზრდა მეფის მოკვლამ და გულწრფელად დაიტირა იგი. შემდეგ კი ქართლის სამეფო ტახტი დაიკავა⁵⁵.

ამრიგად, ზურაბ ერისთავი კვლავ თავისი სიმამრის ერთგული გახდა. მაგრამ თეიმურაზი მას ეჭვით უყურებდა და არ ენდობოდა. გარდა ამისა, იგი უკმაყოფილო იყო ზურაბის უზომო განდიდებითა და მედიდებობით. ყოველივე ამის გამო მან ზურაბი მოაკვლევინა. ახლა თეიმურაზის გამარჯვება სრული იყო, რადგან მან საბოლოოდ ჩამოიცილა ურჩი და ქედმაღალი არაგვის ერისთავი.

⁵⁴ პარიზის ქრონიკა, ზ. კიკინაძის გამოცემა, თბილისი, 1903, გვ. 49.

⁵⁵ თ. ნ ა ტ რ ი შ ვ ი ლ ი, მამრჩივით მალბაზდე, თბილისი, 1974, გვ. 121,

ბართლომეო ფერო აღნიშნავს, რომ ამიერიდან საქართველოში მშვიდობა დამყარდა თეიმურაზის ბრძნული პოლიტიკის წყალობით, ქვეშევრდომები მამად მიიხნევდნენ თავიანთ მეფესთან⁵⁶.

შაჰ აბასის გარდაცვალების შემდეგ ისფაჰანის ტარულას ხოსრო-შირვას გამჟრიახობითა და ენერგიული მოქმედებით ტახტზე აიყვანეს საამ შირვა (შაჰ სეფი I) — შაჰ აბასის შვილიშვილი. სეფიანთა ტახტის ახალ მფლობელს ფიქრიც კი არ შეეძლო ირანის ოდინდელ უფლებებზე საქართველოს მიმართ, მით უმეტეს, რომ მას არც ნიქა და ენერგია გააჩნდა თავის პაპისა. ახალ ვითარებაში ქართველები ირანის პოლიტიკური ბატონობისგან მთლიანად განთავისუფლებასაც შეეცადნენ. ამის ნათელი გამოხატულება იყო თეიმურაზ I-ის და დაუღბან უნდილაძის ერთობლივი აჯანყება (1632 წ.) ირანის მმართველობის წინააღმდეგ.

ამ აჯანყების შესახებ ვრცლად მოგვითხრობს ისქანდერ მუნში. როგორც „თარიხ-ე ალამარა“-ში იყო მოთხრობილი, შენიშნავს ავტორი, შაჰმა მოურავის აჯანყებასთან დაკავშირებით, ყარაბაღის ბეგლარბეგი მოჰამედ ყული-ხან ზიად-ოღლი გადააყენა და მის ადგილას დაუღბანის დახიშნა. ისიც აღწერილი იყო, რომ შაჰისაგან განდგომილი თეიმურაზი მოურავს დაუკავშირდა. მაგრამ ამ უკანასკნელის დამარცხებისა და ოსმალეთში გაქცევის შემდეგ, თეიმურაზი „უმეტრების ძილიდან გამოფხიზლდა“ და შაჰთან შერიგებაზე დაიწყო ფიქრი. ამ მიზნით იგი დაუღბანს დაუკავშირდა. მართლაც, ამ უკანასკნელია ძუაძავლობითა და მცდელობით შაჰმა თეიმურაზს ცოდვები შეუნდო და პატიების სიგელიც გაუგზავნა⁵⁷.

ამის შემდეგ, განაგრძობს ისქანდერ მუნში, თეიმურაზი თავის სამფლობელოში დაბრუნდა და ნელ-ნელა იმ ხსლხის შეგროვებას შეუდგა, როჰელნიც „ისლამის ძლევა მოსილი ჯარის შიშით“ ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებში იყვნენ მამალულნი. შაჰის წინაშე ერთგულები დასამტკიცებლად, თეიმურაზს თავისი ქალიშვილი უნდა გაეგზავნა მასთან, მაგრამ პირობის შესრულებას რატომღაც აყოვნებდა, თუმცა გარეგნულად შაჰის მორჩილად მოჰქონდა თავი. სამაგიეროდ თავისი ერთგულების დასამტკიცებლად შაჰს მოახსენა, რომ მან ზურაბ ერისთავი მოაკვლევინა სახელმწიფოს ღალატისა და სიმონის მოკვლის გამო. აქვე ისქანდერი დასძენს, რომ „თეიმურაზმა სინამდვილე ტახტის ზღურბლზე შეცდომით მოახსენა“⁵⁸. როგორც ზემოთ აღვნიშ-

⁵⁶ თ. ნატროშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 129.

⁵⁷ თარიხ-ე ალამარაი-ე აბასი, II, გვ. 1062.

⁵⁸ ზეილ-ე თარიხ-ე ალამარაი-ე აბასი, გვ. III.

ნეთ, შაჰმა თეიმურაზს ეს საქციელი მოუწონა და ჯილდოდ მის ვაჟს ქართლი უბოძა⁵⁹.

სპარსელი ისტორიკოსი განაგრძობს, რომ ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, თეიმურაზის სამეფო შაჰის წყალობით „სამოთხის ბაღად“ იქცა, სადაც თეიმურაზი სრულუფლებიანი გამგებელი იყო. ამასთანავე იგი განაგრძობდა დაუღ-ხანთან მეგობრობას: ისინი ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს ივრისა და ალაზნის პირას. ნადირობდნენ ყარაბაღისა და საქართველოს სანახებში. ეს შეხვედრები გრძელდებოდა მანამ, სანამ ოსმალთა სარდალი ზოსრო ფაშა ბაღდადისკენ წამოვიდოდა და დაუღ-ხანი ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში შაჰს ეახლებოდა.

ამის შემდეგ ისქანდერ მუნში გვიხასიათებს დაუღ-ხანს, როგორც პიროვნებას და გვიხსნის, თუ რამ აიძულა იგი, რომ შაჰის წინააღმდეგ აჯახებულყო; ყაჯარ დიდებულებს თურმე დაუღ-ხანი სძულდათ და ეშინოდათ კიდევ მისი უსამართლობისა და ცუდი ხასიათის გამო. აშიტომ ხშირად უჩიოდნენ მას შაჰთან და მალე საწადელსაც მიაღწიეს: ერთ საღამოს შაჰმა დაუღ-ხანი მეჯლისიდან გააძევა. მაგრამ მისი შაჰისა და ძმის დიდი დამსახურების გამო, დასძინს ისქანდერი, შაჰმა ის მეტად აღარ დასაჯაო. მიუხედავად ამისა, დაუღ-ხანი, რომელსაც ეს შეურაცხყოფა მოსვენებას არ აძლევდა, უნებართვოდ ყარაბაღს გაემართა და თეიმურაზს შეუთანხმდა, რომ ნადირობის საბაბით ივრის ნაპირას შეხვედროდნენ ერთმანეთს, შემდეგ კი ყაჯართა თავკაცები დაეხოცათ. ამ მიზნით დაუღ-ხანმა ყაჯარი დიდებულები სანადიროდ მიიწვია, რომლებიც სიამოვნებით ეახლნენ. დაუღ-ხანმა ისინი თავის-ზე წინ გაგზავნა, ვითომცდა თეიმურაზის შესაგებებლად. თეიმურაზმა, თავის მხრივ, ასამდე ქართველი აზნაური დააწინაურა მათთან შესაბრძოლებლად, რომლებმაც „მყისვე მთელ ღაზიებს მოწამებრივი სიკვდილის შარბათი აგემეს და მათი ურიცხვი ქონება ხელთ იგდეს“. სპარსელი ისტორიკოსი იმოწმებს ამ ბრძოლაში სასწაულებრივ გადარჩენილი ერთი შოლას ნაამბობს: „როდესაც ველზე ქართველთა ძკრელი ხმლები აელვარდა, საჩქაროდ დავბრუნდი, რომ დაუღ-ხანისათვის მეუწყებინა, რომ გილალატეს, ხალხს ჩოცავენ-მეთქი. აღლევ-ბულმა ვურჩიე საკუთარ თავზე მაინც ეზრუნა დათუ შეიძლებდა უბედურებას განრიდებოდა. დაუღ-ხანმა გაიცინა და მომიგო: მოლაგ, ნუ ღელავ, უბედურება არ მომხდარა, ეს ჩხოლოდ თამაშაა (წარმოდგენაა), ამის მსგავსს კიდევ ბევრს იხილავ“⁶⁰.

⁵⁹ ქართულ წყაროებში კი ნათქვამია, რომ შაჰმა თეიმურაზის ვაჟს კი არა, თვით თეიმურაზს უბოძა ქართლი.

⁶⁰ ზეილ-ე თარიხ-ე ალაშარაი-ე აბასი, გვ. 113.

დაუდ-ხანის ძუქარა მოკლე ხანში განხორციელდა: იგი თეიმურაზთან ერთად გახვის დასარბევად გაემართა. ისინი რამდენიმე დღის განმავლობაში ძარცვავდნენ და აწიოკებდნენ ამ მხარეს, მაგრამ რადგან დიდი ლაშქარი ახლდათ თან, დარჩენის შეეშინდათ და საქართველოში დაბრუნდნენ ხალხის შესაგროვებლად. როდესაც თეიმურაზი და დაუდ-ხანი ასალი ძალებით ხელმეორედ შეიჭრნენ განჯაში, სასტიკად დაარბიეს მთელი ის მხარე და ახლა ყარაბაღის აწიოკება განიზრახეს.

როდესაც ეს ამბები შაჰ სეფის მოახსენეს, იგი სასტიკად განრისხდა და უმკაცრესი ზომები მიიღო აჯანყებულთა წინააღმდეგ, განსაკუთრებით კი დაუდ-ხანის საგვარეულოს მიმართ. უპირველეს ყოვლისა, შაჰმა დაუდ-ხანს ყარაბაღი ჩამოართვა და მის ძველ მფლობელს მოჰამედ ყული-ხან ზიად-ოღლის დაუბრუნა, ხოლო ქაროლის ტახტი ზოსრო-მირზას უბოძა. ისქანდერ მუნში იქვე გვაცნობს, თუ ვინ იყო ზოსრო-მირზა: იგი ბაგრატ-ხანის ძმაა, რომელიც გარდაცვლილი ლუარსაბ-ხანის შვილიშვილია. შაჰ სეფის ზეობის დროს ზოსრო-მირზამ როსტომ-ხანის სახელი და ყულარაღასობა მიიღო. ირანის მბრძანებელმა სწორედ მისი გაგზავნა გადაწყვიტა საქართველოში ესოდენ დაძაბულ ვითარებაში, როგორც ყველაზე ერთგული და სანდო პიროვნებისა. როსტომთან ერთად საქართველოსკენ გაემართა ყიზილ-ბაშთა ურიცხვი ლაშქარი სპასილარ როსტომ-ბეგის (როსტომ-ხან სააკაძის) მეთაურობით, რომელსაც აჯანყებულთა დასჯა ევალებოდა.

შემდეგ ისქანდერი კვლავ დაუდ-ხანსა და თეიმურაზ მეფეს უბრუნდება: იგი მოგვითხრობს, რომ დაუდმა ცბიერებითა და მოტყუებით თეიმურაზი გზას ააცდინა და დაარწმუნა, რომ შაჰი მის მიმართ გულწრფელი არაა. გარდა ამისა, მან თეიმურაზს გაუმხილა, რომ შაჰ ჯბასის ვაჟი მის უფროს ძმასთან — იმამყული-ხანთან იმყოფება ფარსში და ახლა ამ უკანასკნელის შვილად ითვლება. დაუდ-ხანმა აღუთქვა თეიმურაზს, რომ ახლა, როდესაც სინამდვილის გამოძევა ევალება უამრავი დადგა, ისინი იმამყული-ხანის ერთგული მეომრების დახმარებით, იმ უფლისწულს ირანის სამეფო ტახტზე აიყვანდნენ. თეიმურაზმა დაუჯერა დაუდ-ხანს და ამიტომ განჯა-ყარაბაღის დალაშქვრაზე დათანხმდა. ლაშქრობის წინ მან შირვანის, ჩუხურსაადისა⁸¹ და ახალციხის ამირებს წერილები მისწერა, რომლებშიც მათ მორჩილებსააყენ

⁸¹ ჩუხურსაადი სიტყვისიტყვით ნიშნავს კეთილდღეობის, ბედნიერების მხარეს. ამ სახელწოდებით იხსენიება ერევნის ოლქი აღმოსავლურ წყაროებში (იხ. ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 12; نصرالله فلسفی، زندگانی

شاه عباس اول، جلد اول، تهران، ۱۳۳۳، ص. 187

მოუწოდებდა. მაგრამ ამირებმა იგი შაჰთან დააბეზლეს. განრისხებულმა შაჰ სეფიმ იმიმყული-ხანი გამოიძახა. შეშინებულმა იმამყული-ხანმა კუნძულ ჰორმუზზე პორტუგალიელთა მოსვლა მოიმიზეზა და შაჰთან თავისი ვაჟი სეფიყული-ხანი გაგზავნა, მაგრამ გამოძახების განმეორების შემდეგ იძულებული გახდა თავად ხლებოდა შაჰს⁶².

როგორც ჩანს, ისქანდერ მუნში დაუდ-ხანის განაწყენების მიზეზად ყაჯართა წყალობით მის მეჯლისიდან გაძევებას თვლის. ეს მოსაზრება უსაფუძვლოდ არ გვეჩვენება: როგორც ცნობილია, დაუდ-ხანი განჯა-ყარაბაღის ბეგლარბეგი გახდა ყაჯარი მოჰამედ ყული-ხან-ის ან თახაძდებობიდან გადაყენების შედეგად. მანამდე კი ეს თანამდებობა ყაჯართა ამ საგვარეულოს მემკვიდრეობით ეკუთვნოდა. ასე რომ, გამოირცხული არაა ყაჯარ დიდებულთა შური და მტრობა დაუდ-ხანის მიმართ, რასაც შედეგად ზემოთ აღწერილი ამბები მოჰყვა.

დაუდ-ხანისა და თეიმურაზის აჯანყების ამბავს ისქანდერის მსგავსად გადმოგვცემს ფარსადან გორგიჯანიძე. მის თხრობაში ყურადღებას იქცევს ავტორის მტრული დამოკიდებულება დაუდ-ხანის მიმართ. მისი აზრით დაუდ-ხანი „უქვეუო და ამაყი კაცი იყო“. როსტომ მეფის ერთგულსა და მომხრე ქართველ ისტორიკოსს ალბათ დაუდ-ხანსა და როსტომს შორის არსებული სიძულვილი ალამარაკებდა ასე მკაცრად. ხოსრო-მირზასა და უნდილაძეთა დაპირისპირება გამოიწვია სეფიანთა სამეფო კარზე გავლენისათვის ბრძოლამ. გარდა ამისა, როსტომს, როგორც ქართლის ტანტის პრეტენდენტს, არ მოსწონდა ქმები უნდილაძეების ახლო ურთიერთობა ქართლ-კახეთის მეფესთან⁶³. როგორც გახუსაზღვრელი ნდობითა და უფლებებით აღჭურვილს შაჰის კარზე, მას თავისი წადილი აუსრულებია და „ყაენსაც როსტომ მეფის გულისათვის მეჯლისიშიდამენ გაეგდებინა დაუდ-ხანი“⁶⁴. აღსანიშნავია, რომ ისქანდერ მუნში არაფერს ამბობს როსტომის მონაწილეობაზე ამ გაძევებაში.

შეძღვომ შოვლენებს ამ საკითხთან დაკავშირებით, ფარსადან გორგიჯანიძე სპარსელი ისტორიკოსის მსგავსად მოგვითხრობს: შეურაცხყოფილმა დაუდ-ხანმა თეიმურაზ მეფესთან დაიწყო მოლაპარაკება აჯანყების შესახებ, რადგან კარგად იცოდა მისი სულისკვეთება. წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით, თეიმურაზმა და დაუდ-ხანმა ჯერ ყაჯართა თავკაცები დახოცეს, შემდეგ კი განჯა-ყარაბაღის

⁶² ზეილ-ე თარბი-ე ალამარაი-ე აბასი, გვ. 113—115.

⁶³ ვ. გაბაშვილი, უნდილანთ ფეოდალური სახლი XVI—XVII სს. ირანში (ქართული წყაროების მიხედვით), მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, 11, თბილისი, 1972, გვ. 76.

⁶⁴ ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 238.

დარბევას მიჰყევს ხელი და ნადავლით სავსე, საქართველოში — გორ-ში დაბრუნდნენ. როცა ეს ამბები შაჰ სეფიმ შეიტყო, განაგრძობს თხრობას ფარსადანი, განრისხებულმა ჭერ დაუდ-ხანის უდანაშაულო ძმაზე — იმიმყული-ხანზე იძია შური: მოიხმო იგი თავის შვილებით და დახოცა, დაუდ-ხანის შვილები დაასაქურისა. ამის გამგონე დაუდ-ხანი მიხვდა, რომ მას აღარც საქართველოში ედგომებოდა და ოსმალეთს შეაფარა თავი. დაუდ-ხანის ხელიდან გასხლტომამ კადევ უფრო გააბოროტა შაჰი და ახლა თეიმურაზის დასჯა გადაწყვიტა. ამ ნიზნით მან ყიზილბაშთა დიდი ლაშქარი საქართველოში გამოუშვა სპასალარ როსტომ-ხან სააქაძის სარდლობით, ყარაბაღში მოჰამედ ყული-ხანი დანიშნა დაუდ-ხანის ნაცვლად, ქართლის სამეფო ტახტი კი როსტომის უბოძა⁶⁵.

სპარსელი ისტორიკოსისაგან განსხვავებით, ფარსადან გორგიჯანიძე არ შიიხსენიებს შაჰის ვაჟს, რომელიც ვითომდა იმიმყული-ხანთან იზრდებოდა და რომლის ტახტზე აყვანასაც ძმები უნდალაძეები აპირებდნენ⁶⁶. როგორც ვნახეთ, იგი მოკლედ ეხება საერთოდ უნდლიაძეთა ამოწყვეტის აზრს.

სხვაგვარად ხსნიან „სწავლულნი კაცი“ დაუდ-ხანის აჯანყებას: თავდაპირველად ისიხი ცნობებს გვაწვდიან დაუდ-ხანისა და მისი საგვარეულოს შესახებ: „იყვნენ ძმანი და სახლელუნი მისნი მრავალგუარად ნამსახურნი და ცნობილნი შააბაზ ყაენისა“. მაგრამ შემდეგ „სძლია ჩვეულებამან მიუნდობლობისა მათისამან და სიბოროტისაძახ, ვითარცა თქმულ არს, ჩვეულება საჭულსა უმტკიცეს არსო“⁶⁷. ამის შემდეგ ავტორი აღნიშნავს, რომ შაჰ სეფიმ შეიპყრო დაუდ-ხანის ძმა, შვილები და დახოცა. ამაზე დაუდ-ხანს გული მოუვიდა და ყაჯარ დიდებულთა თანხლებით განჰიდან კახეთს გაემართა თეიმურაზთან. შაჰ სეფი განრისხდა დაუდ-ხანის თავხედობაზე და მის დასასჯელად დიდი ლაშქარი გაგზავნა სპასალარ როსტომ სააქაძის წიხამძღოლობით, „რომელიც იყო კაცი გამოჩენილი და დიდად პატივცემული ყიზილბაშთაგან“. ქართლში გასამეფებლად კი მან ხოსრომირზა გამოგზავნა⁶⁸.

⁶⁵ ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია. გვ. 239.

⁶⁶ აღსანიშნავია, რომ ამ ცნობას ადასტურებენ XVII საუკუნის იტალიელი მისიონრები არქანჯელო ლამბერტი (იხ. თ. ნატროშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 154) და დონ პიეტრო ავიტაბილე (იხ. დონ პიეტრო ავიტაბილე, ცნობები საქართველოზე (XVII ს), შესავალი, თარგმანი და კომენტარები ბ. გიორგაძის, თბილისი, 1977, გვ. 43).

⁶⁷ ბ ე რ ი ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი, გვ. 416.

⁶⁸ იქვე.

ძრიგად, „სწავლულ კაცთა“ აზრით, დაუღ-ხანის განაწყენების ძიზეზი ის იყო, რომ შაჰმა მისი საგვარეულო ამოწყვიტა, ფარსადან-თან და ისქანდირ მუნშისთან კი ეს მოვლენა პირიქითაა ახსნილი: სწორედ დაუღ-ხანის განდგომისა და აჯანყების შედეგად ამოწყვიტა შაჰ სეფიმ უნდილაძეთა საგვარეულო. თუმცა ისიც ცნობილია, რომ იგი ტახტზე ასვლისთანავე შაჰ აბასის კარზე დაწინაურებულ და აღ-ზეცებულ მოხელეთა მოშორებას ცდილობდა. დაუნდობელი შაჰი აღარ არჩევდა მართალსა და მტყუანს, მტერსა თუ მოყვარეს. იგივე უნდა ითქვას ძმები უნდილაძეების მიმართ, რომლებმაც ხსენებულ პერიოდ-ში განსაკუთრებულ აღზევებას მიაღწიეს. ამიტომაც შაჰ სეფი უბრა-ლო შემთხვევასაც კი არ გაუშვებდა ხელიდან, რომ ისინი თავიდან მოეშორებინა. სწორედ ასეთი შემთხვევა იყო დაუღ-ხანის განდგომა და მისი თეიმურაზთან დაკავშირება, რითაც შაჰ სეფიმ ისარგებლა და თავისი საწადელი აისრულა — ეს საგვარეულო აღგავა პირისაგან მი-წისა.

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობა ზემომოთხრობილი ამბის შესა-ხებ ძთლიანად ემთხვევა „სწავლულ კაცთა“ მონათხრობს. მისი ლიტყ-ვით, „მიზეზითა ცუდითა შაჰ-სეფიმ შეიპყრა დაუღ-ხანის ძმა და მოკ-ლა იგი და ძეთა მისთა აღმოხადნა თულანი“⁶⁹. შეშინებულმა დაუღ-ხანმა ყაჯარი თავკაცების თანხლებით, თეიმურაზთან შეაფარა თავი. შაჰ სეფიმ თეიმურაზს მოსთხოვა დაუღ-ხანი. მაგრამ თეიმურაზმა „არა მისცა, არამედ ევედრა, რათა შეიწყალოს და მიუტეოს შეცოდებანი“. ასეთ პასუხზე შაჰ სეფი განრისხდა და როსტომ-ხან სააკაძე დიდა ლაშქრით საქართველოში გავზავნა მათ დასასჯელად, ქართლში გაამე-ფებლად კი ხოსრო-მირზა⁷⁰.

ამ ამბების შესახებ მოკლე ცნობა აქვს აგრეთვე არჩილ მეფეს. მისი ლიტყვით, განჯის ბეგლარბეგი დაუღ-ხან უნდილაძე თეი-მურაზთან შესახვედრად მდინარე იორთან დაბანაკდა. მას თან ახლდხენ ყაჯარი წარჩინებულები, რომლებიც შემდეგ დაუღ-ხანმა თეიმურაზის მეთმართა დახმარებით ერთიანად გაუღცტა. როცა ეს ამ-ბავი შაჰ სეფიმ გაიგო, თეიმურაზს შეუთვალა: „დასწყნარდი, მამეც დაუღ-ხან“ და არამცთუ შენს დანაშაულს გაპატიებ, პირიქით, „წყა-ლობა გიყო მრავალი“⁷¹. მაგრამ თეიმურაზმა არ შეისმინა თურმე შაჰის რჩევა და არ გასცა დაუღ-ხანი, რადგან ეს უკანასკნელი მას ძველი ქართული რაინდული წესისამებრ „კრმალზედ მინდობია“ და ასეთი ხმაღზე დადებული ფიცის გატეხვას ვერცერთი ნამუზიანი ვაჟ-

⁶⁹ ვ ა ხ უ შ ტ ი ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 594.

⁷⁰ იქვე.

⁷¹ არჩილიანი, II, გვ. 85.

კაცი ვერ იკადრებდა. ასეთი საქციელის საპასუხოდ შაჰ სეფიმ, როგორც უკვე ვიცით, დიდძალი ლაშქარი გამოგზავნა საქართველოში როსტომ-ხან სააკაძისა და ხოსრო-მირზას წინამძღოლობით.

იმავე საკითხთან დაკავშირებით აღსანიშნავია ჰაჯი მეჰდი-ყული ყაჯარის ცნობა. იგი ქ. განჯის ბეგლარბეგის ოლურლუ-ხანის სამსახურში იმყოფებოდა და მის მიერ ხშირად იგზავნებოდა შაჰთან სხვადასხვა დავალებებით. სეფიანთა ისტორიის თხრობისას, ჰაჯი მეჰდი-ყულის ისქანდერ მუნშის ნაშრომით უსარგებლია⁷². ამიტომ მისი ცნობები მთლიანად ემთხვევა ისქანდერის მონათხრობს.

ჰაჯი მეჰდი-ყული ყაჯარის გადმოცემით, დაუდ-ხანის მეშვეობით შაჰმა თეიმურაზ-ხანს ცოდვები შეუწდო. მაგრამ 1041 წელს (1631 — 1632) თვით დაუდ-ხანმა „წმინდა ზღურბლიდან პირი იბრუნა“. იგი თეიმურაზს დაუკავშირდა და მათ ყაჯარ წარჩინებულთა ერთა ჯგუფი დახოცეს, შემდეგ განჯა-ყარაბაღს შეესივნ და ჯასტიკად ააოხრეს. დაუდ-ხანის ასეთი საქციელის გამო, ასრულებს თხრობას ავტორი, მის ძმას შვილებითა და ახლობლებით თავს დაატყდა შაჰის რისხვა: მთელი საგვარეულო ამოწყვეტილ იქნა⁷³.

დაუდ-ხანის შაჰისაგან განდგომას მოკლედ ეხება XVII საუკუნის სომეხი ისტორიკოსი ზაქარია კანაკერი. მის ცნობაში ახალი ის არის, რომ ავტორი აღნიშნავს დაუდ-ხანისა და გიორგი სააკაძის ახლო ურთიერთობის შესახებ. თურმე მას შემდეგ, რაც დაუდ-ხანი განჯის გამგებელი გახდა, იგი ხშირად ზვდებოდა მოურავს, დროს ერთად ატარებდნენ. როდესაც გიორგი სააკაძემ აჯანყება მოაწყო, შაჰმა მის წინააღმდეგ ყორჩიბაში ისა-ხანი გამოგზავნა და დაუდ-ხანსაც უბრძანა, რომ მას ხლებოდა თახ. მაგრამ დაუდ-ხანს არ შეუხმენია შაჰის ბრძანება. ხოლო როდესაც მან გაიგო, რომ მოურავი ოსმალეთში გაიქცა, მიხვდა, რომ აღარც მას ედგომებოდა საქართველოში და ოსმალეთს გაეშურა, იქ დაუდ-ხანმა „იპოვა მოურავი და ზიკვდილამდე ოსმალეთში დარჩა“⁷⁴.

ამრიგად, ქართული წყაროებისაგან განსხვავებით, სომეხი ისტორიკოსი დაუდ-ხანისა და გიორგი სააკაძის ახლო მეგობრობას აღნიშნავს. რაც შეეხება მის ცნობას მოურავისა და დაუდ-ხანის ოსმალეთში შეხვედრის შესახებ, უკვე სიმართლეს არ შეესაბამება. დაუდ-ხანი ოსმალეთში წავიდა 1632 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ,

⁷² ვ. ფ უ თ უ რ ი ძ ე, „უკეთესთაგან უკეთესი (ისტორია)“ ჰაჯი მეჰდი-ყული ყაჯარისა, გვ. 85.

⁷³ იქვე, გვ. 98.

⁷⁴ З а к а р и й К а н а к е р ц и, Хроника. Перевод с армянского предисловие и комментарий М. О. Дарбинян-Меликян, М., 1969, с. 57.

გიორგი სააკაძე კი დაიღუპა 1629 წელს. ამიტომ, ბუნებრივია, ისინი ერთმანეთს ვერ შეხვდებოდნენ ოსმალეთში.

უნდილაძეთა ამოწყვეტის საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა თანამედროვე ირანელი ისტორიკოსის ნასროლა ფალსაფის შეხედულება, რომელიც ძირითადად „ზეილ“-ის ცნობებს ეყრდნობა. ავტორი ვრცლად მოგვითხრობს უნდილაძეთა შესახებ ალავერდი-ხანიდან ძოყოლებული: მათ დაწინაურებაზე შაჰ აბას I-ის კარზე, დაუდ-ხანისა და იმამყული-ხანის მოღვაწეობაზე, ბოლოს კი ისტორიკოსი მათი სიცოცხლის უკახსკნელ დღეებს ეხება. ჩვენ სწორედ უნდილაძეთა მოღვაწეობის ამ ბოლო პერიოდზე ვამახვილებთ ყურადღებას.

ნასროლა ფალსაფი მოგვითხრობს, რომ შაჰ აბას I იმამყული-ხანს, როგორც ყველაზე დაახლოებულსა და საყვარელ ადამიანს, ქალებს უგზავნიდა ხოლმე თავის ჰარამხანიდან. ერთ-ერთი ქალი ფეხმძიმედ აღმოჩნდა და მალე მას ვაჟი შეეძინა. შაჰ აბასის გარდაცვალების შემდეგ, შაჰ სეფიმ იმის შიშით, რომ შაჰ აბასის შვილად ცნობილი ის ვაჟი იმამყული-ხანს ტახტზე არ აეყვანა, ალავერდი-ხანის მთელი საგვარეულო ამოწყვეტა⁷⁵.

შეორეგან კი ნასროლა ფალსაფი იგივე ამბავს ცოტა სხვაგვარად ჯადმოგვცემს: შაჰ სეფი თურმე ტახტზე ასვლისთანავე მიზეზს ეძებდა იმამყული-ხანის თავიდან მოსაშორებლად. მაგრამ რადგან ეს უკანასკნელი ერთგულად და უანგაროდ ემსახურებოდა, შაჰიც მოთმინებით ელოდა ხელსაყრელ შემთხვევას. ერთ საღამოს მან ყველა მზარეთა ამირები იხმო მეჭლისზე. მხოლოდ დაუდ-ხანი არ გამოცხადებულა, რადგან იცოდა შაჰ სეფის დამოკიდებულება მისი ძმის მიმართ და თითონაც ეშინოდა შაჰის. იგი თეიმურაზ მეფეს დაუკავშირდა და განჯა-ყარაბაღის დარბევა შესთავაზა. ასე ამბობდნენ, თითქოს დაუდ-ხანი თეიმურაზს არწმუნებდა, რომ მის ძმასთან არის შაჰის ვაჟი, რომელსაც ისინი მალე გაამეფებდნენ. დაუდ-ხანის განდგომა სწორედ კარგი საბაბი იყო იმამყული-ხანის დასასჯელად და შაჰ სეფიმაც არ დააყოვნა: იმამყული-ხანი თავისი შვილებითურთ დახოცა. მათი თავები კი შაჰმა თავის დედას გაუგზავნა, რომელიც განსაკუთრებით დაინტერესებული ყოფილა იმამყული-ხანის მოკვლით. შაჰ სეფიმ ფარსის სამეფო ეშიყადასიბაშ ოღურლუ-ხანს უბოძა და მას დაავალა იმამყული-ხანის დარჩენილი ნათესავების ამოწყვეტა, აგრეთვე დაუდ-ხანის ვაჟის მოკვლა, რომელიც გორგანს მართავდა⁷⁶.

ამრიგად, ნასროლა ფალსაფის მიხედვით გამოდის, რომ უნდი-

⁷⁵ ნ ა ს რ ო ლ ა ფ ა ლ ს ა ფ ი , დასახ.ნაშრ., გვ. 101.

⁷⁶ იქვე, გვ. 394.

ლაძეთა ამოწყვეტის მთავარი მიზეზი იყო შაჰ სეფის შიში, რომ უნდოდა დაეპყრობა შაჰ აბასის უკანონო ვაჟი არ გაემეფებინათ. თუმცა იგი იმასაც შენიშნავს, რომ შაჰ სეფი განმეფებისთანავე მიზეზს ეძებდა ამ საგვარეულოს თავიდან მოსაცილებლად. ე. ი. იგი საერთოდ მტრულად იყო განწყობილი მათ მიმართ.

ჩვენი აზრით, ეს უკანასკნელი ვერსია უფრო შეესაბამება სიძართლეს; შაჰ სეფის, რომელსაც თავის მარჯვენა ხელად როსტომი ჰყავდა, ქართველთა მეორე დაჯგუფება იმამყული-ხანის მეთაურობით მოსვენებას უკარგავდა. შაჰმა ვერაფერი მოუხერხა თავის მოწინააღმდეგეს, ხოლო როდესაც საქართველოდან დაუდ-ხანის ლალატის ცნობა მიიღო, იმამყული-ხანი განუკითხავად ცოლ-შვილიანად ამოაწყვეტინა.

მიუხედავად იმისა, რომ შაჰ სეფიმ ერთიანად გაულიტა უნდილაძეები, მათი სახელი დავიწყებას არ მისცემია ირანში. მათ უამრავ დამსახურებათა და კეთილ საქმეთა ჩამოთვლა ძალზე შორს წაგვიყვანდა. მაგრამ ფაქტია, რომ უნდილაძეების მრავალმხრივ მოღვაწეობას ირანში, უკვალოდ არ ჩაუვლია. ამის ნათელი დადასტურებაა ჩვენ მიერ განხილული წყაროები⁷⁷.

შემდეგ ისქანდერ მუნში იწყებს ახალ თავს: „ძღვეამოსილი ჯარის გამოსვლა დედაქალაქ ისფაჰანიდან საქართველოს მემამბოხეთა დასასჯელად“. როგორც აღნიშნული იყო, ის წერილები, რომლებიც თეიმურაზმა და დაუდ-ხანმა მეზობელ მხარეთა ამირებს გაუგზავნეს, გამოძვლავნდა. მათი შინაარსი ასეთია: „ჩვენი აჯანყების მიზანია მეფისწულის ტახტზე აყვანა, რომელიც იმამყული-ხანთან იმყოფება ფარსში“. ამ წერილებმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვიეს, თუმცა, დასძენს ისქანდერ მუნში, მათი შინაარსი სინამდვილეს არ შეესაბამებოდა. გაბოროტებულმა შაჰ სეფიმ დაუდ-ხანის ახლობლებზე იძია შური: ჯერ იმამყული-ხანის სამი ვაჟი მოაკვლევინა, თვით იმამყული-ხანის მოსაკლავად კი მისივე სიძეები გაგზავნა. მათ მოტყუებით გარეთ გამოიყვანეს და ააძინებლად მომზადებული ხანი და მოკლეს, მის ურიცხვ ქონებას კი თვითონ დაეპატრონენ. ფარსის ბეგლარბეგობა შაჰ სეფიმ ეშიყალასიბაშ ოღურლუ-ხანს უბოძა.

ერთი სიტყვით, განაგრძობს თხრობას სპარსელი ისტორიკოსი,

⁷⁷ გარდა ამისა, საყურადღებო და უხვი ცნობები გვხვდება უნდილაძეთა შესახებ ევროპელ მისიონერთა ნაწერებში, როგორებიც არიან: პიეტრო დელა ვალე, თომას პერბერტი, არქანჯელო ლამბერტი, დონ პიეტრო ავიტაბილე, ჟან ბატისტ ტავერნიე, ჯარტოლოგო ფერო და სხვა (იხ. ვ. გაბაშვილი, უნდილაძეთა ფეოდალური სახლი..., გვ. 68, 72; თ. ნატროშვილი..., გვ. 146; დონ პიეტრო ავიტაბილე, ცნობები საქართველოზე, გვ. 43).

ალავერდი-ხანის საგვარეულო, რომელიც წლების მანძილზე „ისფაპა-ხიდან ომანის სანაპირომდე, ერთი თვის სავალ გზაზე ბატონობდა, წყეული დაუდის უკადრისი საქციელის გამო, არარაობის ქარს მიეცა“. როდესაც იმამყული-ხანის მოკვლის ამბავმა თეიმურაზსა და დაუდ-ხანამდე მიალწია, ისინი შეშინდნენ და ყარაბაღიდან საქართველოში დაბრუნდნენ. ამასობაში მოჰამედ-ყული-ხანმა დაუდ-ხანის თანამდებობა დაიკავა განჯაში, როსტომ-ხანი თბილისში შევიდა და თბილისის ციხეში გამაგრდა. შაჰის ბრძანების თანახმად, მას ქართველი აზნაურები და დიდებულები შემოეგებნენ, რომელთაც მორჩილება და ერთგულება აღუთქვეს ახალ მეფეს. მართოდ დარჩენილი თეიმურაზი მიხვდა, რომ როსტომს ვერ შეებრძოლებოდა და იმერეთს მიაშურა.

სპასალარმა როსტომმა, შაჰის ბრძანებით, ორი ციხე დაიკავა: კახეთში — ალავერდი და ქართლში — გორის ციხე⁷⁸. შაჰ აბასმა თავის დროზე აქ ორ ციხეს ჩაუყარა საფუძველი, ხოლო მან შეაკეთა, ლაპარულა და შიგ მცველები დააყენა. ამის შემდეგ, სპასალარმა თურქე ამ მხარის აწიოება დაიწყო. შეშინებულმა დადიანმა და გურიელმა, რომელთაც სპასალარის უძლეველობაზე ბევრი სმენოდათ, მას მორჩილება აღუთქვეს და შეჰფიცეს, რომ არავითარ შემთხვევაში თეიმურაზს არ დაუჟავებდნენ, რომელიც მაშინ იმერეთში „დაეხეტებოდა წყეულ დაუდთან ერთად“. ერთი სიტყვით, დასკვნის იქნა, სპასალარმა თავისი შორსმჭვრეტელობით, გამჭირახობით, ისეთი წესრიგი დაამყარა საქართველოში, როგორსაც „ბრძენთა გონებაში არ გაუვლია და არც არასოდეს ყოფილაო“. ამ დროს შაჰის ბრძანება მოსულა, რომ სპასალარი ენის ციხისაჲენ წასულიყო ოსმალებისა და იმ მხარის ქურთების წინააღმდეგ საბრძოლველად, რომლებმაც შაჰის სამფლობელოები ხელყვეს⁷⁹.

ვნახოთ, თუ რა ცნობები მოიპოვება ქართულ წყაროებში ამ ამბების თაობაზე. ფარსადან გორგიჯანიძე მოგვითხრობს, რომ როდესაც თეიმურაზმა ყიზილბაშთა ლაშქრის მოახლოება შეიტყო, იმერეთში გაცლა არჩია, მით უმეტეს, რომ მომხრეებიც შემოეცალნენ. თბილისში შემოსულმა როსტომმა, რომელსაც „უფროსი ერთნი თავადნი მიეგებნეს“ და „თეიმურაზის ულაშქრობა მოახსენეს“, მასწრაფოდ ჰმდევარი დაადევნა თეიმურაზს, მაგრამ ეს უკანასკნელი რუკვე შორს იყო. ამიტომ მდევრებს მხოლოდ თეიმურაზის „უკან დავარდნილის კაცი-

⁷⁸ გორის ციხის აგების შესახებ საინტერესო ცნობას გვაწოდის დონ-პიეტრო აიტიბილე (იხ. დონ პიეტრო აეიტაბილე, ცნობები საქართველოზე, გვ. 53, 56).

⁷⁹ „ზეილე თარხ-ე ალამარი-ე აბასი, გვ. 118.

სა და ბარგისა ეშოვნათ“ და ეს მცირე ნადავლი გორში მეფეს მობარ-
თვეს⁸⁰.

ქართლის დაკავების შემდეგ, როსტომის მორიგი საზრუნავი ამ
კუთხეში ფეხის მტკიცედ მოკიდება იყო. უპირველეს ყოვლისა, მან
ქართლის შუაგულში მდებარე მთავარი ზღუდე — გორის ციხე, რომე-
ლიც დანგრეული იყო, აღადგინა და შიგ მცველები ჩააყენა⁸¹. როდესაც
ქართველი დიდებულები დარწმუნდნენ, რომ გორის ციხე უკვე მტკი-
ცედ ეპყრათ ხელში სპარსელებს, მაშინ „ქართველთა თავადნი და აზ-
ნაურნი სრულ მოუვიდნეს და როსტომ მეფეს ფეხს აკოცეს“⁸².

როსტომ მეფის ქართლში შემოსვლის ამბავს ისქანდერ მუნშისა
და ფარსადან გორგიჯანიძის მსგავსად მოგვითხრობენ „სწავლულნი
კაცნი“. ქართლში მომავალი როსტომ სააქაძე და როსტომ-ხანი ხუ-
ხანს დაბანაკებულან, „რომელ არს გატეხილი ხიდი“. მათ თან ახლ-
დათ სელიმ-ხანიც, რომელსაც ყაენმა კახეთი უბოძა. ამის გამგონე
თეიმურაზმა იმერეთს მიაშურა. როგორც უკვე ვიცით, როსტომმა მას
მღვეარი დაადევნა, მაგრამ თეიმურაზი იმ დროს უკვე შორს იყო.
ამის შემდეგ როსტომი ქართლის შემომტკიცებას შეუდგა და ამ მიზ-
ნით „აღაშენეს ციხე გორისა და შეაყენეს მცველნი, და კულად შეა-
ყენეს მცველნი სურამის ციხეშიაცა“. თითონ როსტომი კი მტკერის
პირას დასახლებულა „ანჯის საყდარსა და სიონს შუა“⁸³.

„სწავლულ კაცთა“ მონათხრობს ზუსტად ემთხვევა ვახუშტის
ცნობა. მისი სიტყვით, ქართლში მომავალი როსტომის ლაშქარი ხუ-
ხანს დაბანაკებულა. ამის გამგონე თეიმურაზი, რომელსაც ყველა გა-
ნუდგა, იძულებული გახდა იმერეთში გაქცეულიყო. ამის შემდეგ ვა-
ხუშტი აღნიშნავს, რომ როსტომმა ააშენა გორის ციხე, რომელშიც
„შეაყენეს მცველნი ყიზილბაშნი, აგრეთვე სურამის ციხესა შინა“⁸⁴.

აღნიშნულ ამბავს მოკლედ ეხებიან მეფე არჩილი და „პარი-
ზის ქრონიკის“ ავტორი, რომლებიც მხოლოდ იმას აღნიშნავენ, რომ
როსტომი დიდძალი ლაშქრით საქართველოსკენ წამოვიდა, შეშინე-
ბულმა თეიმურაზმა კი იმერეთს შეათარა თავი⁸⁵.

როგორც ვნახეთ, როსტომის ქართლში გამეფებისა და თეიმურა-
ზის გაქცევის ამბავს, ყველა ქართული წყარო ძირითადად ერთნაი-

⁸⁰ ფარსადან გორგიჯანიძე, გვ. 240.

⁸¹ განსხვავებით ისქანდერ მუნშისაგან, აქ ფარსადანს არ მოიხსენიებს ალავერ-
დის ეკლესიას.

⁸² ფარსადან გორგიჯანიძე, გვ. 240.

⁸³ ბერი ეგნატაშვილი, გვ. 417.

⁸⁴ ვახუშტი ბატონიშვილი, გვ. 438.

⁸⁵ არჩილიანი, II გვ. 85; პარიზის ქრონიკა, გვ. 50.

რად მოგვეთხრობს(მხოლოდ ზოგი უფრო ვრცლად, ზოგი უფრო მოკლედ) და ისქანდერ მუნშის მონათხრობს იმეორებს.

შაჰ სეფის მიერ როსტომის ქართლში გამეფების შესახებ მოკლედ მოგვეთხრობენ რუსი ელჩები თ. ვოლკონსკი, ა. ხვატოვი, რომლებიც 1638—1640 წლებში კახეთში იმყოფებოდნენ და აგრეთვე ე. მიშეცკი და ი. კლუჩარევი, რომლებიც 1641—1643 წლებში მოლაპარაკებას აწარმოებდნენ თეიმურაზ მეფესთან კახეთში⁸⁶.

ხსენებულ ამბავთან დაკავშირებით აღსანიშნავია XVII საუკუნის იტალიელი მისიონერის დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელის ცნობა, რომელიც იმ პერიოდში ლევან II დადიანთან იმყოფებოდა სამეგრელოში. იგი მოგვეთხრობს, რომ „მეფე თეიმურაზი დაუღ-ხან განჯელთან ერთად კვლავ აუჯანყდა შაჰს. ამიტომ შაჰმა მათ დასასჯელად დიდი ლაშქარი გამოგზავნა, რომელმაც საშინლად ააოხრა კახეთი, ქართლს კი დიდი ზიანი არ მოსვლია, რადგან როსტომ-ხანი, რომელიც შაჰმა ამ მხარეში გასამეფებლად გამოგზავნა, იცავდა მას“. ჯუდიჩე მილანელი განაგრძობს, რომ შაჰ სეფი როსტომისაგან დიდად დავალებული ყოფილა, რადგან მისი წყალობით ავიდა ტახტზე. „სპარსელებს არ სურდათ შაჰ სეფის გამეფება, რადგან მას დედა ქართველი ჰყავდა და მხოლოდ ქართველთა რაზმის დახმარებით დაეპატრონა იგი ტახტს“⁸⁷.

მსგავსად მოგვეთხრობს თეიმურაზ-დაუღ-ხანის აჯანყებისა და როსტომის გამეფების შესახებ დონ პიეტრო ავიტაბილე⁸⁸. მის თხრობაში ყურადღებას იქცევს ავტორის დიდი სიმპათიები დაუღ-ხანისა და თეიმურაზის მიმართ, რომელთაც იგი ახლოს იცნობდა. როსტომთან დაკავშირებით კი, ისევე, როგორც ჩვენ მიერ განხილული სხვა წყაროები, ავიტაბილე აღნიშნავს იმ მაღალი მდგომარეობის შესახებ, რომელიც როსტომს ირანის შაჰის კარზე ეკავა, განსაკუთრებით კი შაჰ სეფის გამეფების შემდეგ⁸⁹.

მართლაც, შაჰ აბასის გარდაცვალებთანავე მთელი ირანის სახელმწიფოებრივი საქმიანობა როსტომის განკარგულებაში გადავიდა. მან თავისი ძალაუფლება გამოიყენა იმისათვის, რომ ირანის

⁸⁶ Материалы по истории грузино-русских взаимоотношений 1615—1640 гг., документы к печати подготовил и предисловием снабдил М. Полиевктов, Тбилиси, 1937, с. 333; Посольство князя Мышецкого и дьяка Ключарева в Кахетию 1640—1643 гг., документы издал и введением снабдил М. Полиевктов, Тбилиси, 1928, с. 158.

⁸⁷ დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, წერილები საქართველოზე, XVII საუკუნე, თარგმანი და გამოკვლევა ბ. გიორგაძის, თბილისი, 1964, გვ. 32.

⁸⁸ დონ პიეტრო ავიტაბილე, ცნობები საქართველოზე, გვ. 43—44.

⁸⁹ იქვე, გვ. 46.

ტახტზე აეყვანა შაჰ აბასის შვილიშვილი სეფი მირზა. მიუხედავად იმისა, რომ შაჰ სეფი ქართველად იყო ცნობილი (რადგან დედა ქართველი ჰყავდა) და სახელმწიფო დიდებულთა უმეტესობას არ სურდა მისი გაშეფება, როსტომმა მაინც მიაღწია საწაღელს. ამიერიდან როსტომი უფრო სახელოვანი და გავლენიანი პიროვნება გახდა ირანში.

ქართლში გამეფებამდე როსტომი და ირანში მყოფი მისი მომხრე ქართველები ყოველთვის ცდილობდნენ, რომ საქართველოს ვითარება ისე მოესხნებინათ შაჰისათვის, როგორც მათთვის უფრო ხელსაყრელი იქნებოდა. და აი, თეიმურაზ მეფისა და დაუდ-ხან უნდილანის აჯანყება სწორედ კარგი შემთხვევა იყო იმისათვის, რომ როსტომი ქართლში გამეფებულიყო. ამას სხვა გარემოებამაც შეუწყო ხელი: ქართლში უკმაყოფილო იყვნენ თეიმურაზის ბატონობით და მის თავიდან მოშორებას ცდილობდნენ. თავიანთი მიზნის მისაღწევად ქართლის დიდებულები გარეშე ძალის ჩაჩვენასაც არ დარიდებდნენ⁹⁰. ფარსადან გორგიჯანიძის გადმოცემით მათ ირანის შაჰისათვის საიღუმლოდ „სახვეწარი არზა“ მიურთმევიათ, რომელშიც ქართლში კახთ ბატონის ნაცვლად, ქართლის სამეფო გვარის ერთ-ერთი ბატონიშვილის მეფედ დასმას თხოულობდნენ⁹¹. რა თქმა უნდა, ეს გარემოება როსტომის მომხრეთათვის საუცხოო საბრძოლო იარაღად გამოდგებოდა. შაჰსაც, რომელსაც ხსენებული „სახვეწარი არზა“ მიართევს, მეტად ესიამოვნა, რადგან ირანის საქმეს თავისივე ხელით თვით ქართველები აკეთებდნენ⁹². შექმნილ ვითარებაში უკვე არც თეიმურაზის დასჯა და არც როსტომის ქართლში გამეფება სიძნელეს აღარ წარმოადგენდა.

როსტომმა მთელი თავისი ნიჭი და ენერჯია იქითკენ მიმართა, რომ მოეშუშებინა დარბეული მიწა-წყლის ჰრილობები. იგი ნელ-ნელა, შეფარვით აკეთებდა ირანის საქმეს, ამავე დროს ბრძოლას არ უტახდებდა ქართულ ფეოდალურ ურთიერთობას. ერთის მხრივ, როსტომი ეწეოდა საადამიანებლო სამუშაოებს, ანახლებდა ეკლესიებს, შეორეს მხრივ კი, მის დროს დამკვიდრდა ყიზილბაშური წეს-ჩვეულებები. მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ქართველი ხალხი თავის მიწაზე რჩებოდა და მას აღარ ემუქრებოდა აყრა-გადასახლება, ხოლო სამეფო ტახტზე იჯდა არა ყიზილბაში ხანი, არამედ — ბაგრატიონთა დინასტიის ჩამომავალი.

⁹⁰ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 365.

⁹¹ ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 239.

⁹² ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 366.

საქართველოს საქმეების სასურველად მოწესრიგების შემდეგ, შაჰ სეფიმ როსტომ-ხანს სააკაძეს უბრძანა ვანის მხარეს წასვლა, სადაც ოსმალებმა და ქურთებმა მისი სამფლობელოები ხელყვეს. ისქანდერ მუნშის გადმოცემით, „სპასალარმა როსტომმა და ძლევამოსილმა მკომრებმა შაჰაბობის ქამარი შემოირტყეს“ და ვანის ციხის ასაღებად გაემართნენ. შაჰიც მათ კვალდაკვალ გაემგზავრა. გზად იგი არღებილში ჩამოხდა, სადაც „დიდებულ შეიხთა წმინდა საფლავები მოიხილა“. შაჰმა თავისი ჯარის ერთი ნაწილი წინ გაუშვა ქ. მოსულის მხარეს, რადგან შეეშინდა, ვითუ ოსმალები და ქურთები ბაღდადის საზღვრებთან მოვიდნენ და ვანის ციხის ალყაშემორტყმულებს დაეხმარონო. შაჰის ლაშქარმა ქალბალი-ხან ბეგ ყაჯარ დევთღარის მეთაურობით ქ. მოსული გაიარა და ჯაზირესა და ამდიაბდე იწყო საშინელი რბევა-თარეში. ოსმალები და ქურთები დამარცხდნენ, რის შემდეგაც ყიზილბაშთა გამარჯვებული ლაშქარი ურიცხვი ნადავლით შაჰს ეახლა. ქალბალი-ხან ბეგმა, რომელმაც „მის უდიდებულესობას“ მტრის ექვსასი თავი წარუდგინა, დიდი წყალობა დაამსახურა.

ამის შემდეგ, განაგრძობს ისქანდერი, შაჰმა ბრძანება გასცა, რომ ყულარაღასი როსტომ-ხანი, „რომელიც გურჯისტანის ქართლის ნფლობელი იყო“, ქართველთა ჯარით ყარაჯა-არდაჰანზე, არეშისა და არზრუშის საზღვრებისკენ წასულიყო და იმ მხარეთა ასკერების ყურადღება თავისკენ მიექცყო. როსტომი მყისვე ათი ათასი მეომრით იქით გაემართა და პარცუა და აწიოკება დაიწყო. დამფრთხალი ოსმალები თურმე როსტომთან პირიპირ შებმას ვერ ბედავდნენ და ციხეებში იმალებოდნენ. მალე როსტომი გამარჯვებული და ნადავლით სავსე დაბრუნდა შაჰის კარზე. რადგან ვანის ციხის აღება ბრძანებით გათვალისწინებული არ ყოფილა, „მან ისეთი შედეგი წარმოადგინა, რომ შაჰი იძულებული გამხდარა ბრძანება შეეცვალა“⁹³.

ეს ამბავი ქართულ წყაროებში მოთხრობილი არაა. მხოლოდ ჯაკვრითაა აღნიშნული, რომ შაჰმა როსტომი ვანის ციხისკენ გაგზავნა. მაგრამ სამაგიეროდ ახსნილია მიზეზი, თუ რატომ გაგზავნა შაჰ სეფიმი იგი ვანის ციხეზე. ფარსადან გორგიჯანიძე ასე აგვიხსნის ამ მოვლენას: სპასალარი როსტომი თურმე მეტად დაუნდობლად იქცეოდა საქართველოში და შემთხვევას არ უშვებდა, რომ რბევა-თარეში არ აეტეხა⁹⁴. მისმა ასეთმა საქციელმა როსტომ მეფე მეტად ააღელვა და ასე შეუთვალა მას: „თავად საქართველო აოხრებული არის, რაც დარჩომილა, იმასაც თქვენ ამიოხრებთ, მაშ მე რაილა ბატონი ვიქნებიო?“

⁹³ ზეილ-ე თარიხ-ე ალამარაი-ე აბასი, გვ. 137.

⁹⁴ ამ ფაქტს ისქანდერიც შენიშნავს.

ამან სპარსეთის სარდალსა და როსტომს შორის უთანხმოება ჩამოაგ-
დო და ორივემ „ყაენს არზა მისწერეს“ ერთმანეთზე საჩივრით. ამას
კი შედეგად ის მოჰყვა, რომ როსტომ ქართლის ვალად, შაჰის ბრძანე-
ბით, როსტომ სააკაძე ვანის ციხეზე გააგზავნა. ამგვარად, იგი საქართ-
ველოდან გაყვანილ იქნა, მის ადგილას კი შაჰმა სხვა გამოგზავნა:
„შირვანის ბეგლარბეგი ყარაბაღის ლაშქრით როსტომის ქეშიკში
დადგეს“⁹⁵.

ვახუშტი ბატონიშვილი მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ როდე-
საც როსტომ მეფე ქართლში გამაგრდა, „სპასალარი როსტომ წარვი-
და წინაშე ყეენისა“⁹⁶.

მოკლედ ეხება ამ საკითხს აგრეთვე ე. წ. „პარიზის ქრონიკა“.
ნასში აღნიშნულია, რომ ყაენის ბრძანება მოვიდა, რომ სარდალი ვან-
ზე წავიდესო. მის ნაცვლად კი როსტომ მეფეს ყაენმა შირვანის ბეგ-
ლარბეგი გამოუგზავნაო⁹⁷.

შემდეგ „ზეილ-ე...“-ში მოთხრობილია როსტომ მეფისა და ლე-
ვან დადიანის დამოყვრების ამბავი⁹⁸. სპარსელი ისტორიკოსი მოგვი-
თხრობს, რომ ლევან დადიანი როსტომ მეფეს ეახლა იმ განზრახვით,
რომ თავისი და მიხეთის მიეთხოვებინა და ამ გზით „თითონ ზნეობის
მფარველის ზღაპრების მონათა რიცხვში მოხვედრილიყო“. როდესაც
ეს ამბავი იმერეთის მეფემ შეიტყო, თეიმურაზს შეუთანხმდა და ვადა-
წყვიტეს, რომ ყოველი ღონე ესმარათ ამ ქორწინების ჩასაშლელად. მა-
თი შეთანხმების შესახებ როსტომმა გაიგო და ყარაბაღისა და შირვანის
ერთგულ ამირებთან ერთად ამ შეთქმულების ჩასაშობად გაემართა.
იმერეთის საზღვარზე—ალთუნყალასთან—როსტომის ლაშქარს მეთო-
ფეთა ჭკუფი შემოხვდა, რომელიც არდაჰანის მბრძანებელს — საფარ-
ფაშას იმერეთის მეფის დასახმარებლად გამოეგზავნა. როსტომმა პირ-
ველსავე იერიშზე სძლია ისინი და თავის მოლაშქრეთა ნაწილი გური-
ელის სამფლობელოს გზით დადიანის დასახმარებლად გაგზავნა.
თვითონ კი ალთუნყალადან ერთი ფარსანგის (6—7 კმ) დაშორებით
ჩამოხდა და იქ ამბის მოტანას ელოდა. ამ დროს როსტომისკენ მო-
ძაგალა დადიანი თეიმურაზისა და იმერეთის მეფის ლაშქარს შეეფე-
თა. გაჩაღდა სისხლისმღვრელი ბრძოლა, რომელიც დადიანის ვა-
მარჯვებით დასრულდა. ამასთანავე, იმერეთის მეფე, რამდენიმე ქურთი
თავკაცი და კახელი აზნაურები ლევან დადიანმა ტყვედ ჩაიგდო. თეი-

⁹⁵ ფარსადან გორგიჯანიძე, გვ. 240.

⁹⁶ ვახუშტი ბატონიშვილი, გვ. 438.

⁹⁷ პარიზის ქრონიკა, გვ. 51.

⁹⁸ ამ ამბიდან მოყოლებული ეკუთვნის უკვე არა ისქანდერ მუნშის, არამედ მო-
კამედ იუსუფს. ეს ცნობები დორნის ხელნაწერში არ არის.

მურაზმა კი იწერეთის მეფის ვაჟთან და გადარჩენილ ლაშქრის ნაწილთან ერთად გაქცევით უშველა თავს და ქუთაისის ციხეს 'გეაფარა თავი. გამარჯვებულმა დადიანმა თავისი და, ახლობლებისა და დიდებულების თანხლებით, როსტომ-ხანის სამფლობელოში გაამგზავრა. სპარსელი ისტორიკოსი დანძენს, რომ ამ ქორწინების ნებართვა როსტომმა ჯერ შაჰისგან აიღო, რომელმაც როსტომს გადაწყვეტილება მოუწონა და ძვირფასი საქორწილო საჩუქრები გაუგზავნა⁹⁹.

როსტომისა და ლევან დადიანის დამოყვრების ამბავს მოგვითხრობენ ქართული წყაროები. როგორც ცნობილია, ქართლში გამეფებისას როსტომი 67 წლის იყო. მისი საქმიანობა გამოირჩეოდა დიდი გონიერებითა და ტაქტით. ქართლში შემოსვლისთანავე, როსტომი თავისი ძალაუფლების განმტკიცებას შეუდგა; უპირველეს ყოვლისა, ქართლის მთავარ ციხეებში ყიზილბაშები ჩააყენა, შემდეგ სამოხელეო აპარატი განამტკიცა: მან თეიმურაზის მიერ დანიშნული მოხელეები გადააყენა და თავისი ერთგულები დანიშნა. მაგრამ ქართლში ფეხის მტკიცედ მოსაკიდებლად ეს არ კმაროდა. როსტომს, რომელსაც აქ ბევრი ექიმშებოდა, მემკვიდრე არ ჰყავდა¹⁰⁰ და ეს მეტად აწუხებდა როგორც მას, ისე მის მომხრეებს. ამიტომ როსტომის ერთგულებმა დაუყოვნებლივ ზრუნვა დაიწყეს დედოფლის შესარჩევად. დიდი თათბირის შემდეგ მათ არჩევანი შეაჩერეს ლევან II დადიანს დაზე — მარიამზე, რომელიც სიმონ გურიელის ნაცოლარი იყო. ეს არჩევანი ყოველმხრივ ხელსაყრელი იყო როსტომის მომხრეთათვის: ამ ქორწინებით ლევან დადიანი როსტომის მოკავშირე ხდებოდა, რაც როსტომს თეიმურაზისა და იმერეთის მეფის წინააღმდეგ ბრძოლას გაუადვილებდა, რადგან ლევანიც მათი დაუძინებელი მტერი იყო¹⁰¹.

ჩვეულებისამებრ, როსტომმა დადიანს მოციქულები გაუგზავნა მარიამის ხელის სათხოვნელად. ლევანმა სიხარულით მიიღო ეს წინადადება, რადგანაც მისთვისაც ხელსაყრელი იყო როსტომთან დამოყვრება: როსტომი მას იმერეთის მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში დაეხმარებოდა. როდესაც როსტომს დადიანის თანხმობა მოუვიდა საშვებრედოდან, მან მაშინვე „ყაენს ჩაფარი გაუგზავნა და დადიანის

⁹⁹ ზეილ-ე თარხ-ე ალაშარაი-ე აბასი, გვ. 159.

¹⁰⁰ როსტომმა საქართველოში ჩამოსვლისთანავე ცოლად შეირთო გორჯასპი აბაშივილის ასული ქეთევანი, რომელიც მალე გარდაიცვალა. (იხ. ვ ა ხ უ შ ტ ი ბ ა ტ ო ნ ე ვ ი ლ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 439).

¹⁰¹ გ. ჯ ა მ მ უ რ ი ა, საქართველოს პოლიტიკური ვითარება XVII საუკუნის 30—90-იან წლებში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, გვ. 317.

მოყვრობა გააშინჯვინა¹⁰², რადგან ირანის შაჰის ნებართვის გარეშე იგი ასეთ მნიშვნელოვან ნაბიჯს ვერ გადადგამდა. შაჰს ეს ამბავი მეტად ეაძა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ მისი ერთგული კაცი ქართლში ამით მტკიცედ მოიკიდებდა ფეხს, და მეორეც: ირანის პოლიტიკური მიზნებისათვის მეტად ხელსაყრელი იყო დადიანთან დაკავშირება, რასაც ოსმალეთთან ომის დროს ფრიალ დიდი მნიშვნელობა ექნებოდა¹⁰³. ამიტომ, ბუნებრივია, რომ შაჰ სეფიმ თანხმობა არ დაუგვიანა როსტომს და თან საქორწილო საჩუქრებიც გამოუგზავნა.

ფარსადან გორგიჯანიძე განაგრძობს: როსტომი და დადიანი შეთანხმდნენ იმაზე, რომ დადიანი თავისი ლაშქრით იმერეთში მოვიდოდა, იმავე დროს როსტომიც მის შესახვედრად გაემართებოდა და „საჩხეიძოშიგან“ ერთმანეთს შეხვდებოდნენ. მართლაც, დათქმულ დროს ისინი ერთმანეთის შესაგებებლად გაემართნენ, მაგრამ იმერეთის მეფემ გიორგიმ ეს შეხვედრა ცოტა გააჟიანურა. საქმე ის იყო, რომ მას ამ ქორწინების ჩაშლა სურდა. მაგრამ თავისივე მხლებლების გამოცემლობის წყალობით, მოულოდნელად დადიანი თავს დაესხა გიორგი მეფეს და ტყვედ ჩაიგდო იგი. „მეფე გიორგი ორ წელიწადს დადიანს ჰყავდა“, რომელიც შემდეგ დიდი გამოსასყიდით დაიხსნა შვილმა. რადგან ბრძოლა დადიანის გამარჯვებით დასრულდა, როსტომისთვის უკვე არავითარი საფრთხე აღარ არსებობდა და სამცხიდან, სადაც გაჩერებული იყო, გაემართა თავისი საცოლის შესაგებებლად. მალე დადიანი თავისი ამალით და როსტომ მეფე ერთმანეთს შეხვდნენ და „ქარგის წესითა და ხელმწიფურის ზითვითა მარიამ დედოფალ გართლისაჲს წამოაბრძანეს“. ფარსადან გორგიჯანიძე აქვე დასძენს, რომ ამ საზეიმო დღესასწაულში აქტიურ მონაწილეობას იღებდა ირანის ხელისუფლებამ: „ორმოცდაათი ათასი მარჩილი შაჰ სეფი ყაენს გამოეგზავნა ლევან დადიანისათვის. ის მიართვეს და წელიწადში ათასი თუმანი გაეჩინა დადიანისათვის“¹⁰⁴.

როგორც ვნახეთ, როსტომ მეფისა და დადიანის დამოყვრების შესახებ თხრობისას, მცირე განსხვავებათა მიუხედავად, ფარსადან გორგიჯანიძე „ზეილ“-ს ეყრდნობა. განსხვავება კი იმაში მდგომარეობს, რომ, ფარსადანის აზრით, როსტომმა გაუგზავნა ლევანს შოციქულები მარიამის ხელის სათხოვნელად, სპარსელი ისტორიკოსის აზრით კი, პირიქით, თითქოს დადიანი ეახლა მეფეს იმ განზრახვით, რომ თავისი და მისთვის მიეთხოვებინა. ჩვენი აზრით, ეს უკა-

¹⁰² ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 241.

¹⁰³ ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ე ი ლ ი. ქართველი ერის ისტორია, გვ. 373.

¹⁰⁴ ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 242.

ხასკნელი ვერსია სიმართლეს არ შეესაბამება, რადგან საეკვოა, რომ ოდიშის მთავარს თავად შეეთავაზებინა მეფისათვის თავისი დის ცოლად შერთვა.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ამ ამბავთან დაკავშირებით, ფარსადანი არ მოიხსენიებს თეიმურაზ მეფეს. მოჰამედ იუსუფი კი, როგორც ვნახეთ, აღნიშნავს თეიმურაზის აქტიურ მონაწილეობას როსტომის ქორწინების ჩასაშლელად.

„სწავლულნი კაცნი“ ასე ხსნიან როსტომ მეფისა და დადიანის დამოყვრებას: „მაშინ დადიანი ლევან და იმერეთის მპყრობელი ერთმანეთს უხდებოდნენ და იყო შური დიდი ერთმანეთშია, ამისთვის მოინდომა დადიანმა როსტომ მეფის მოყურობა“, ხოლო როსტომმა იმ მიზნით მოისურვა დადიანთან დამოყვრება, რომ ძლიერი მოკავშირე ყოლოდა თეიმურაზის წინააღმდეგ, რომელიც იმ დროს იმერეთის მეფესთან აფარებდა თავს¹⁰⁵.

სპარსელი ისტორიკოსის მსგავსად, „სწავლულნი კაცნი“ მოგვითხრობენ, რომ დადიანმა გაუგზავნა როსტომ მეფეს შუამავალი თავისი დის მისათხოვებლად. როსტომმა სიხარულით მიიღო ეს წინადადება და დათქმულ დროს დადიანის შესაგებებლად გაემართა. ამ დროს დადიანს იმერეთის მეფე გადაუდგა გზაზე, მაგრამ დადიანთან ბრძოლაში იგი დამარცხდა და ტყვედ ჩაუვარდა მას. ამის შემდეგ როსტომი და დადიანი ერთმანეთს შეხვდნენ. როსტომმა ქალი ქართლში წაიყვანა და დიდებული ქორწილი გადაიხადა.

ამ ამბის თხრობისას, „სწავლულნი კაცნი“ არაფერს ამბობენ ქუთაისის ციხეზე, რომელიც სპარსელ ისტორიკოსთან და ფარსადან გორგიჯანიძესთანაა ნახსენები, არც თეიმურაზ მეფეს ახსენებენ ამ საკითხთან დაკავშირებით.

„სწავლულ კაცთა“ მონათხრობს ზუსტად ემთხვევა ვახუშტი ბატონიშვილის ცნობა. იგი მოგვითხრობს, რომ როსტომ მეფემ იწება ლევან დადიანთან დამოყვრება და სთხოვა მისი დის ხელი. ვახუშტი მხოლოდ იმ ცნობას უმატებს, რომ დადიანთან შეახვედრად მომავალმა როსტომმა გზა სთხოვა ახალციხის ფაშას — იუსუფს, რომელმაც სიამოვნებით შეასრულა თხოვნა. იმერეთის მეფე, როგორც ზემოთ ვნახეთ, დადიანთან ბრძოლაში დამარცხდა. როსტომმა კი მარიამი თბილისში ჩამოიყვანა და დიდებული ქორწილი გადაიხადა¹⁰⁶.

აღსანიშნავია, რომ „სწავლულნი კაცნი“ და ვახუშტი მოიხსენიებენ იუსუფ-ფაშას, როგორც როსტომ მეფის დამხმარეს, სპარსულ

¹⁰⁵ ბ ე რ ი ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი, გვ. 419.

¹⁰⁶ ვ ა ხ უ შ ტ ი ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, გვ. 441, 828.

ობხულებამი კი იუსუფ-ფაშა საერთოდ არაა ნაბნენები. იქ ლაპარაკია არდაჰანის მბრძანებელ საფარ-ფაშაზე (ანუ ბექა III ქა-ისოსროს-ძე, 1625—1635), რომელიც იმერეთის მეფეს ეხმარებოდა როსტომის ქორწინების ჩაშლაში, ხოლო ვახუშტი ბატონიშვილისა და „სწავლულ კაცთა“ ნაშრომებში მოხსენიებული იუსუფ-ფაშა იყო საფარ-ფაშას შვილი, რომელიც მამის სიკვდილის შემდეგ (1635—1647 წწ) ახალციხის ფაშა გახდა.

თითქმის ასევე, მაგრამ უფრო მოკლედ, აღწერს იგივე ამბავს ე. წ. „პარიზის ქრონიკა“¹⁰⁷.

ზემოთ მოთხრობილ ამბავთაგან დაკავშირებით, ჩვენ მიერ განხილული ქართული წყაროები, ფარსადან გორგიჯანიძის გარდა, არაფერს ამბობენ შაჰ სეფის შესახებ, ხოლო სპარსელი ისტორიკოსი და ფარსადან გორგიჯანიძე ხაზგასმით აღნიშნავენ ირანის შაჰის გადამწყვეტ როლს როსტომისა და დადიანის დამოუკრების საქმეში. ჩვენი აზრით, ეს უკანასკნელი თვალსაზრისი უფრო მისაღებია, რადგან როსტომს, როგორც ირანის ერთგულ „ყმადნაფცესა და ვასალს“, საგარეო კავშირების დამოუკიდებლად დამყარების უფლება არ ჰქონდა. ამიტომ, ბუნებრივია, რომ თავის გადაწყვეტილებას იგი ჯერ ირანის შაჰს შეუთანხმებდა. შაჰ სეფიმ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოიწონა როსტომის არჩევანი, რადგან ოდიშის მთავრისა და ქართლის მეფის დამოუკრება ირანის პოლიტიკური მიზნებისათვის ყოველმხრივ სასარგებლო იყო. როსტომმა დადიანს გადასცა შაჰის მიერ გამოგზავნილი საჩუქრები, თან ისიც აცნობა, რომ შაჰს წვლილად მიეცა „ათასი თუმანი ჯამაჯირი ვაეჩინა“ მისთვის. ამრიგად, როსტომთან დამოუკრებით დადიანიც ირანის ხელდებული ხდებოდა. როგორც სპარსელი ისტორიკოსი და ფარსადან გორგიჯანიძე აღნიშნავენ, ამ ამბავს მალე მოჰყვა ლევან დადიანის მიერ ირანში ელჩების გაგზავნა¹⁰⁸.

საყურადღებოა ჯუდიჩე მილანელის მოკლე ცნობა როსტომის ქორწინებასთან დაკავშირებით. იგი მოგვითხრობს, რომ როსტომმა გადაწყვიტა დანათესავებოდა ოდიშის მთავარს მის დაზე დაქორწინებით. „დადიანმა და როსტომმა გადაწყვიტეს ორივე მხრიდან ომი გაუმართონ იმერეთის მეფეს, რათა მერე შუაზე გაიყონ ეს მხარე იმ საბაბით, რომ იმერეთში გადმოხვეწილ თეიმურაზს იმერეთის მეფემ თავშესაფარი მისცა“¹⁰⁹.

¹⁰⁷ პარიზის ქრონიკა, გვ. 51.

¹⁰⁸ ფარსადან გორგიჯანიძე, გვ. 242.

¹⁰⁹ ჯუდიჩე მილანელი, გვ. 34.

როსტომისა და დადიანის დამოყვრების შესახებ საყურადღებოა ზუსტადა ნაიმას ცნობები. იგი მოგვითხრობს, რომ იმერეთის მეფესა და თეიმურაზს როსტომ მეფისათვის გზა არ მიუციათ დადიანის ქალის წასაყვანად და მათ შორის ბრძოლა გაიმართა. ბრძოლა დადიანის გამარჯვებით დასრულდა, მაგრამ იმერეთის მეფემ თავს უშველა, თეიმურაზი და იმერეთის ვაჟი კი „ძნელად მისასვლელ ქვიან ადგილას გამაგრებულან“¹¹⁰.

აღსანიშნავია, რომ ნაიმას ლევან დადიანის და, მარიამი, შეცდომით მის ქალიშვილად მიაჩნია. ამასთანავე, ოსმალთა ისტორიკოსი არაფერს ამბობს იმერეთის მეფის დატყვევებაზე. ხოლო ჩვენ მიერ განსილული როგორც სპარსული, ისე ქართული წყაროები ერთხმად აღნიშნავენ ამ ფაქტს, რაც სიმართლეს შეესაბამება. რაც შეეხება ნაიმას ცნობას თეიმურაზისა და იმერეთის ძის „ძნელად მისასვლელ ქვიან ადგილას“ გამაგრების შესახებ, აქ უნდა იგულისხმებოდეს ქუთაისის ციხე, რომლის შესახებაც სპარსელი ისტორიკოსი და ფარსადან გორგიჯანიძე მიუთითებენ.

ოსმალთა ისტორიკოსის ცნობებიდან ჩანს, რომ ოსმალეთის სულთანი მეტად შეაშფოთა როსტომის ქორწინებასთან დაკავშირებით საქართველოდან მოღწეულმა ამბებმა. დადიანისა და როსტომ მეფის დამოყვრებაში იგი ხედავდა ოსმალეთის წინააღმდეგ როგორც ირანის, ისე ოდიშის მთავრის მხრიდან მტრული პოლიტიკური აქტის გამოვლინებას.

დადიანთან დამოყვრებით როსტომ მეფემ კიდევ უფრო განამტკიცა თავისი მდგომარეობა საქართველოში. შექმნილ ვითარებაში თეიმურაზმა მასთან შერიგება არჩია. ქართლის ვალიმ თეიმურაზთან შერიგების ამბავი მაშინვე შაჰ სეფის შეატყობინა. ამ ამბავთან დაკავშირებით მოჰამედ იუსუფი მოგვითხრობს, რომ თეიმურაზმა „ამბოხებისა და შფოთის ბილიდან გამოიღვიძა“ და დანაშაულის გამოსასყიდად „შაჰის კარზე თავისი ქალიშვილი გაგზავნა. სამაგიეროდ კი დიდო წყალობა მიიღო: ირანის მბრძანებელმა მას კვლავ დაუბრუნა კახეთი. სწორედ ამ დროს, დასძინს სპარსელი ისტორიკოსი, შაჰს ამბავი მოსვლია იმერეთის მეფის, გიორგის გარდაცვალების შესახებ“¹¹¹.

აქ მოჰამედ იუსუფი ურევს მოვლენათა თანადროულობას როგორც ცხობილია, შაჰ სეფიმ თეიმურაზს კახეთი დაუბრუნა 1634

¹¹⁰ მუსტაფა ნაიმა, ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 190.

¹¹¹ ზიელ-ე თარიხ-ე ალამარი-ე აბასი, გვ. 230.

წელს, მისი ქალიშვილის ცოლად შერთვის შემდეგ. იმერეთის მეფე გიორგი კი გარდაიცვალა გაცილებით გვიან — 1639 წელს.

თეიმურაზის ქალიშვილის ირანის შაჰის კარზე გაგზავნის შესახებ ქართული წყაროებიდან ფარსადან გორგიჯანიძეს აქვს ცნობები. მისი გადმოცემით, თეიმურაზმა, რომელმაც როსტომთან შერიგება გადაწყვიტა, მოციქულები გაუგზავნა, მას და თან შეუთვალა: ჩემს თინათინს, თქვენის ბრძანებით, შაჰ სეფი ყაენს ვაახლებო¹¹². როსტომმა ეს ამბავი მაშინვე ირანის მბრძანებელს შეატყობინა. ვინაიდან იმ პერიოდში ოსმალეთის ლაშქარი თვით სულთან მურად IV-ის სარდლობით ირანზე შეტევისათვის ემზადებოდა, ცხადია, ირანს საქართველოს საქმეები ნაკლებად აღელვებდა. ამიტომ შაჰ სეფიმ სიხარულით მიიღო თეიმურაზის წინადადება და როსტომს უბრძანა, რომ თინათინი ირანში გამოესტუმრებინათ. როსტომმაც დაყოვნების გარეშე თეიმურაზის ქალიშვილი კახელი თავადების თანხლებით ირანში გაგზავნა.

თინათინის შაჰთან გაგზავნის ამბავს მოკლედ ეხებიან რუსი ელჩები — ე. მიშეცკი და ი. კლუჩჩოვი. მათი გადმოცემით, შაჰ სეფიმ ცოლად შეირთო თეიმურაზის ქალიშვილი, რომელიც შემდეგ შაჰ აბას II-ს დაუხრჩვია¹¹³. თინათინი შაჰ სეფიმ მართლაც შეირთო ცოლად, ხოლო რაც შეეხება ცნობას მისი დახრჩობის შესახებ, თინათინი დაახლოვებით არა შაჰ აბას II-მ, არამედ თვით შაჰ სეფიმ სიმთვრალეში¹¹⁴.

თინათინის ცოლად შერთვის შემდეგ, შაჰ სეფიმ თეიმურაზს დიდძალი საჩუქრები და „საიმედო რაყამი“ გამოუგზავნა, რომლითაც ყველა ცოდვა შეუნდო. ამრიგად, ირანის მბრძანებელმა კვლავ ოფიციალურად სცნო თეიმურაზი კახეთის მეფედ. გარდა ზემოთ განხილული ამბებისა, სპარსული თხზულების ბოლოს ჩამოთვლილია განხილულ პერიოდში ირანში მოღვაწე ქართველები, რომელთაც ჩვენ ზემოთ გავეცანით. ესენია: იშამყული-ხანი, დაუდ-ხანი, იშამყული-ხანის-ვაჟი — სეფიყული-ხანი, როსტომი, იქვე მოცემულია მათი დახასიათება და მოკლე ბიოგრაფიული ცნობები¹¹⁵.

განხილული წყაროების ანალიზიდან და ურთიერთშედარებიდან ნათლად ჩანს, რომ XVII საუკუნის I ნახევარში მრავალი

¹¹² ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 244.

¹¹³ Посольство князя Мышецкого и дьяка Ключарева в Кахетию, указ. труд, с. 176.

¹¹⁴ Н. Н а к а ш и д з е, Грузино-русские политические отношения, с. 242; გ. ჭ ა მ ბ ლ რ ი ა, საქართველოს პოლიტიკური ვითარება..., დასახ. ნაშრ., გვ. 319.

¹¹⁵ ზეილ-ე თარბიხ-ე ალამარაი-ე აბასი, გვ. 285, 293, 295.

ქართველი იყო ირანის პოლიტიკურ სარბიელზე დაწინაურებული, რომელთაც ირანის ბედ-იღბალში არაერთხელ უთამაშნიათ გადამწყვეტი როლი. ირანის გაბატონებულ კლასში კავკასიური ელემენტის შეჭრა და განმტკიცებამ კი გარკვეული გავლენა იქონია ირან-საქართველოს შორის ურთიერთობის ახალი ფორმის ჩამოყალიბებაზე, კერძოდ, შაჰ აბას I-ისა და შაჰ სეფი I-ის ეგრეთ წოდებული „კომპრომისული პოლიტიკის“ შემუშავებაზე.

•

„ზემილ-ე თარის-ე ალამარაი-ე აბასი“

(ქართული თარგმანი).

„თარის-ე ალამარას“¹ ხელნაწერში სათანადო აღვილას მოთხ- 34
რობილი იყო ქართველი მოურავის² მოკვლის შესახებ, რომელსაც
მისი უდიდებულესობის ქვეყნის დამპყრობლის³ სამსახურში მალა-
ლი წოდება და პატივი [ჰქონდა]. [მოთხრობილი იყო აგრეთვე] მისი
აჯანყებისა და შფოთვის გამომქლავების, მისი უსაქციელობისა სა-
ქართველოში და ოსმალეთში წასვლის შესახებ. ოსმალთა ბანაკიდან 35
წოსულ პირთაგან მოსმენილ იქნა ამბავი იმის თაობაზე, რომ რუმის
ტონტქარმა⁴ იგი თან აახლა სარდალ ხოსრო-ფაშას⁵, რადგან [მოუ-
რავი] ყიზილბაშთა⁶ ავ-კარგის მცოდნე იყო და მის რჩევა-დარიგებას
გამოიყენებდა. სხვადასხვა შემთხვევის გამო დასმენებმა მასსა და
ხოსრო-ფაშას შორის მტრობა ჩამოაგდეს და [მათ] ერთმანეთზე ცუ-
დი აზრი შეექმნათ. ზემოხსენებულმა მოურავმა აკაზმულობის ნაწი-
ლი, ფუფუნების საგნები, იარაღი, ხელთოფები და მრავალი აღკუთ-
ვილობა, რაც ხელთ იგდო, აქლემებს აჰკიდა და საქართველოს ცა-
ხისკენ აღთუნყალასკენ⁷ გაგზავნა. არზრუმის⁸ სანახებში ოსმალემა
შეიტყვეს, შეაპყრეს იგი და სარდალთან გაგზავნეს. რადგან სარდა-
ლმა ამ საქციელში გაქცევის განზრახვა დაინახა. გაიციხა იგი და მისი
აყოფნა თავისი საქმის სასარგებლოდ მიიჩნია. [მოურავი] მის ერთ-
გულად შვილთან⁹ ერთად, რომელიც მამას თან ახლდა, კიდევ ერთი-
ორი მეამბოხე ქართველი. დახოცა, მისი ქონება კი მიითვისა.

სხვა ამბებიდან აღსანიშნავია თეიმურაზ-ხან¹⁰ ქართველის ელ-
ჩების მოსვლა ხაყანის ცის სფეროსებრ ზღურბლთან. მისი ამბები,
მისი უდიდებულესობის ქვეყნის დაპყრობის დროს, დაწერილებო-
თაა მოთხრობილი „თარის-ე ალამარას“ ხელნაწერში. ყველაფერი აღ-
წერილია, რომ გამოუტდელობითა და უვეცობით, რამდენიმე ურწმუნ-
ო ქართველის წაქეზებით [თეიმურაზმა] ამ სახელმწიფოს მორჩილე-
ბიდან თავი განზე გაზიდა და გაყოყორჩებულმა უხეში დანაშაული ჩა-
იდინა. იმ დანაშაულებათა შედეგად ძლიერი ბედისწერის რისხვა
გამოვლინდა: მისი სახელმწიფო ააოხრეს, თითონ კი, დაუძლურებუ-

36 ლი და უქონელი, უბედური ქვეყნის მოხეტიალე გახდა და რამდენიმე წელი უსახლკაროდ ცხოვრობდა. ბოლოს ბედის მეგზურობით უმცირების ძილიდან გამოაფხიზლდა. [მან] ხსნა პატიებასა და ცოდვის შენდობაში დაინახა და სირცხვილითა და მონანიების სურვილით გაინსკვალა. მისი უდიდებულესობის ქვეყნის დამპყრობლის ზღურბლზე მცდარი ნაბიჯისა და ცოდვის, რაც მას უფრო მეტად ბედისწერამ მოახვია თავზე, შეწყალების თხოვნა გამოჩნდა. თანახმად იმისა, რომ შემწყალებელი უცოდველის თანასწორია, კეთილგანწყობილებისა და შეწყალების ბრძანება გაიცა, მაგრამ მაინც, ისე როგორც წესი იყო, მისი უდიდებულობის მხრიდან [თეიმურაზი] შეწყალების ხალათითა და წყალობის ტანსაცმლით არ შემოსილა. ამიტომ მისი მღელვარება მთლად ჩამქრალი არ იყო. როდესაც ქვეყნის დამამშვენებელი გარდაიცვალა და სამეფოს ბედნიერმა მბრძანებელმა¹¹ ტახტზე ასვლისთანავე სწორედ ის კეთილგანწყობილებსა და პატიების ბრძანება როგორც ღირსეულთ შეეფერებოდა, დიდებული ხალათით, პატივისცემით [მას] გაუგზავნა, იგი წყალობითა და კეთილგანწყობილებით დაამშვიდა. ამ დროს გამოცდილი ელჩები ქრისტიანი პატივცემული მღვდლებისა და ლეთისმსახურთა თანამოაზრეთაგან შემდგარი. [თეიმურაზმა] ცის კამარის შემხების სასახლეში გაგზავნა და მოახსენა, რომ: „იმ ზღურბლის მონობის რგოლი კვლავ ყურში მაქვს გაყრილი, ერთგული სამსახური მორჩილებით — მხარზე მაქვს გადებული და იმ საგვარეულოს [დინასტიის] მტკიცე მეგობრობით მკლავი მაქვს გამაგრებული“. ასე რომ, როცა ოსმალთ მტრები საქართველოს მესხეთის ციხესთან-ახსაყესთან¹² მოვიდნენ, [თეიმურაზი] მათ გასადევნად იმ საზღვრის ამირებსა და მეომრებს დაუყავ-შირდა და თავისი ერთგულება გამოამჟღავნა.

სამეფოს ბედნიერმა მბრძანებელმა მისი წარგზავნილები კეთილგანწყობილების თვალთ, მოკითხვის მზერითა და მოფერებით დააიშვინა და გამოარჩია. მისი აღერსითა და კეთილგანწყობილებით მათ დაბრუნების უფლება მოიპოვეს*.

70 სხვა ამბებიდან აღსანიშნავია ბაგრატი-ხანის¹³ ძის — საქართველოს ქართლის ვალის¹⁴ სიმონ-ხანის¹⁵, რომელიც ამ სასახლის ნათესავთაგან იყო და საქართველოს სხვა დიდი ვალიებისაგან განსხვავებით, ამ მალალ დინასტიასთან განსაკუთრებული სიახლოვე და ურთიერთობა ჰქონდა, ზურაბ ქართველის¹⁶ მიერ ღალატის ხმლით მოვლა და მისი დასჯა ორგულობის გამო. ამ ამბის არსის არის, რომ ხსენებული ზურაბი ქართლის დიდებულ აზნაურთაგანი და არაგვის

* ასევეა დორნის ხელნაწერში, გვ. 18.

ამირას [ერისთავის] შვილი იყო. მისი უდიდებულესობის ქვეყნის დამპყრობლის დროს იგი სასახლის ღოღამთა რიგებში ჩაირიცხა და შაჰის სამსახურში პატივისცემა და თანამდებობა ჰქონდა. როდესაც ორგულმა ქართველმა მოურავმა ამ სახელმწიფოსგან პირი იბრუნა, როგორც ეს „თარხ-ე ალამარაი-ე აბასის“ ხელნაწერში იყო მოთხრობილი, ზემოხსენებული ზურაბიც უღირსად მოიქცა, როდესაც მისი მოკავშირე გახდა და სპასალარ ყარჩილა-ხანისა¹⁷ და შირვანის ბეგლარბეგის იუსუფ-ხანის¹⁸ მოკვლაში მიიღო მონაწილეობა. მათ სხვადასხვა უსაქციელობა გამოამჟღავნეს და საქართველოს კახეთის მეფის ალექსანდრეს¹⁹ შვილიშვილი — თეიმურაზი თავისთან მოიყვანეს, რომელიც იმ დროს მის უდიდებულესობას ქვეყნის დამპყრობელს ეურჩებოდა და შიშით ოსმალთა ქვეშევრდომ საქართველოში გალატაკებული და დაუძღვრებული ცხოვრობდა. [ისინი] შეებრძოლნენ ცლევაშოსილ მეომრებს, რომლებიც მისმა უდიდებულესობამ ქვეყნის დამპყრობელმა მათი ამბოხების ჩასახშობად გამოგზავნა ყორჩიბაში ისა-ხანის²⁰ წინამძღოლობით და დამარცხდნენ.

ბოლოს მოურავსა და თეიმურაზს შორის მტრობა ჩამოვარდა. წყევლს მოურავს საქართველოში აღარ ედგომებოდა. ამიტომ მან ოსმალეთს მიამურა და იქ, როგორც ზემოთ ითქვა, თავისი მისაგებელი და ორგულბის საზღაური მიიღო. საქართველოში ძალაუფლების მფლობელი ზურაბი გახდა. [მან] იქაურ მეფეს — სიმონ-ხანს მტრობა და ურჩობა დაუწყო. წელს კი მან მორჩილება აღუთქვა, შიშით მასთან სამსახურად წავიდა და წარსული ცოდვები მოინანია. [ზურაბი] სიმონ-ხანის ვეჟილი²¹ და მნიშვნელოვან საქმეთა მომწესრიგებელი გახდა. ღირსეული, კარგი სამსახურისა და კეთილგანწყობილების გამო მემკვიდრეობით, მან რამდენიმე დღეში სიმონ მეფის ნდობა მოიპოვა. რადგან სიმონ-ხანი ახალგაზრდობისა და გამოუცდელობის გამო პირფერობით მოტყუვდა, [ზურაბის მიმართ] სრული ერთსულოვნება გამოიჩინა და იგი თავის ვეჟილად და საჩქრად²², აგრეთვე სახელმწიფოს მნიშვნელოვან საქმეთა მომწესრიგებლად დანიშნა. ზურაბმა სიმონ-ხანს ცბიერებითა და მოტყუებით თავის ადგილსამყოფელში შესთავაზა წასვლა, რომელიც ყარაყალხანში²³ მდებარეობდა. უთხრა, მინდა ჩვენი წესისამებრ საჩუქარი მოგართვათო. რამდენიც არ დაუშალეს მას კეთილისმსურველებმა, რომ არ წასულნიყო ზურაბთან, არ შეისმინა და მცირერიცხოვან მეომართა თანხლებით მის სამფლობელოში გაემგზავრა. ზურაბმა კი უღალატა მას — მისი ძველი მფარველის შვილს და თავის სახლში მოწამებრივი სიკვდილით მოკლა. [ამის შემდეგ] მან ქართლის მბრძანებლობაზე კუთვნილების რაყამის²⁴ მიღება მოისურვა და ამ მიზნით თეიმურაზ-ხანთან ახლო მეგობ-

72 რობისა და კავშირის დამყარებას შეუდგა, რათა იგი მოტყუებითა და ეშმაკობით თავის თანაშემწედ და თანამზრახად გაეხადა. [ამიტომ] წინასწარი პირობის გარეშე მის სამსახურად წავიდა. რადგან თეიმურაზ-ხანს თავისი წარსული საქმეები მონანიებული ქონდა, მის უდიდებულესობასთან გულწრფელი მეგობრობის გზა გაიკვლია. როგორც კი ერთგულების გამოჩენის ხელსაყრელი შემთხვევა მიეცა, ზურაბის მოსაკლავად აჩქარდა და ორგულობის საზღაური მიაგო. [ამის შემდეგ თეიმურაზმა] უმაღლეს ზღურბლზე სინამდვილე მოახსენა. მან ქვეყნის მფარველის კარზე ღანღო პირები გაგზავნა და კვლავ თავისი ერთგულება და კეთილგანწყობილება გამოამჟღავნა. მისმა უდიდებულესობამ მას ეს სამსახური მოუწონა. პატრივისციემის სამაგიეროდ, როგორც მბრძანებლებს ახასიათებთ მოწონების გამოსახატავად, ამ სამსახურის ჯილდოდ, [შაჰმა] საქართველოს ქართლის ბატონობა, თბილისის გარდა, მის ვაჟს გურგენ-ხანს²⁵ უწყალობა, რომელსაც დედის მხრიდან მემკვიდრეობის უფლება ქონდა და გურგენ-ხანმა ნაირ-ნაირი წყალობით განსაკუთრებული დიდება მოიპოვა*.

109 თხრობა ალავერდი-ხანის²⁶ ვაჟის დაუდ-ხანის²⁷ აჯანყებისა და თეიმურაზთან მისი შეთანხმების შესახებ

ზემოთ, „თარხ-ე ალამარას“ ხელნაწერში მოთხრობილი იყო, რომ ორგული ქართველი მოურავის მიერ მოწყობილ აჯანყებასთან დაკავშირებით, იმ დანაშაულის გამო, რომელიც ყარაბაღის ბეგლარ-ბეგმა მოჰამედ ყული-ხან ზიიად ოღლი ყაჯარმა²⁸ მაშინ ჩაიდინა, მისი უდიდებულესობის ქვეყნის დამპყრობლის ბედნიერმა გონებამ მასზე აზრი შეიცვალა და იგი ძალადი თანამდებობიდან გადააყენა. შაჰმა ყარაბაღის ოლქის მფლობელობა ალავერდი-ხანის უმცროს ვაჟს დაუდ-ხანს დაუმტკიცა და იგი ამ თანამდებობით განაღვიდა. ყაჯართა ტომი, ლაშქარი და ჯარი მის სამსახურად გაიგზავნა და დაუდ-ხანი იმ ვულაუთის სრულუფლებიანი და დამოუკიდებელი ამირთ-ამირა გახდა. ალექსანდრე-ხანის შვილიშვილმა თეიმურაზ ქართველმა, რომელიც ნისი უდიდებულესობის ქვეყნის დამპყრობლის მიერ იყო აღზრდილი და თანამდებობაზე დანიშნული, უღირსი საქმეების ჩადენით, მორჩილებისა და ზრდილობის საზღვარს გადააბიჯა. ამიტომ შაჰი განურჩისხდა მას. თეიმურაზ ქართველის სამფლობელოები და ოლქები აჯანყებისა და შფოთის გამო განადგურდა და დაქუცმაცდა. თეიმურ-

* დორნის ხელნაწერში ვვ. 35—36.

რამა დიდი უზრდელობა ჩაიდინა და ორგულ მოურავს დაუკავშირდა. ძლევაძოსილ ყიზილბაშთა ლაშქართან ბრძოლისა და დამარცხების, აგრეთვე მოურავის საქმეების არევე-დარევის შემდეგ, რის გამოც ეს უკანასკნელი ოსმალეთში წავიდა და ბოლოს თავისი ორგულობისა და შფოთის საზღაურს მიიღო, ზემოხსენებული თეიმურაზი რამდენიმე ხანს ერთ-ერთი ქართველი მმართველის კარზე აფარებდა თავს. ეს მმართველები მეზობლობის გამო მას შეძლებისდაგვარად თანაუგრძნობდნენ. იგი ერთხანს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სილატაკეში ცხოვრობდა და დრო მწუხარებაში გაჰყავდა, სანამ თანდათან უმეცრებისა და უზრუნველობის ძილიდან გამოფხიზლდებოდა. წარსული საქმეებით დარცხვენილმა [თეიმურაზმა] დაუდ-ხანი გაიცნო და დაუმეგობრდა. თეიმურაზი მასთან დაახლოებას ცდილობდა, რათა მისი შუამდგომლობით განრისხებული შაჰისაგან შეწყალება და პატიება მიეღო. დაუდ-ხანმა მისი უძლურება, უბედურება, უმეცრება და სინანული იმ მარადიული სამეფოს წინაშე ურჩობის გამო, მის უდიდებულესობას ქვეყნის დამპყრობელს შეატყობინა და მისი დანაშაულის პატიება ითხოვა. ცნობილი გახდა, რომ [თეიმურაზი] ქრისტიანული სარწმუნოებისა და რჯულის მტკიცეზე უმტკიცეს ფიცს იძლეოდა, რომ თუ იმ ცოდვილ მონას დანაშაულს შეუნდობდნენ, იმ აოხრებულ სამეფვიდრეო ოლქებს მას დაუბრუნებდნენ, სადაც მისი შფოთისა და უმეცრების გამო იმ სამეფოს კვალიც აღარ იყო დარჩენილი, იქ დასახლდებოდა და ორ-სამ წელიწადში ისეთ ერთგულებასა და სამსახურს გამოამჟღავნებდა, რომ შაჰის უმაღლესი ზღურბლის ღირსი გახდებოდა და ტახტის ზღურბლზე, რომელიც უმაღლეს მბრძანებელთა ადგილსამყოფელია, კვლავ თავის ერთგულებას დაამტკიცებდა. დაუდ-ხანის თხოვნის თანახმად, მისმა უდიდებულესობამ თეიმურაზის სახელზე პატიების ფირმანი²⁹ გამოსცა. ამ ბედნიერ კანონში, რომელიც მისი სულის დაცვისა და ბედნიერების თილისმა შეიძლება ყოფილიყო, ჩაწერილი იყო, რომ მას წარსული საქმეები შეუნდეს და შეწყალების ხალათი უბოძეს. როგორც „თარხი-ე ალამარა“-ში დაწვრილებითაა მოთბრობილი, დაუდ-ხანი მცირერიცხოვანი რაზმითა და ცერემონიის გარეშე საქართველოში გაემგზავრა, თეიმურაზს შეხვდა, ოსმალური ტანსაცმელი გახადა და ყიზილბაშური ჩააცვა. თეიმურაზს დიდებული მეფური ხალათი ჩააცვეს და მის მღელვარებას [შაჰის] კეთილგანწყობილების დაპირებით რწმენა ჩაუნერგეს. იგი უკან დაბრუნდა და დამშვიდებული იმ ვილაეთში დასახლდა. იმ მხარის მოხეტიალეთა ერთ ჯგუფს, რომლებიც ძლევაძოსილი ისლამის ჯარის მხრიდან დარბევის შიშით კუთხე-კუთხულებში იყვნენ მიმალულნი, თეიმურაზი თითო-თი-

თოდ აბრუნებდა. ასე გადიოდა დღეები. დაუდ-ხანის მეგობრობისა და მონდომების წყალობით, მან დახმარება მიიღო და განსაკუთრებული ახლო მეგობრობითა და ურთიერთობით, დაცული და გზაგაკაფული იყო. მისი უდიდებულესობის ქვეყნის დამპყრობლის არწივად გახდომის შემდეგ, როდესაც ძლევამოსილი ტახტი მისი აუთავუსტოვისობის ბედნიერის მონაცვლის მეფობით დამშვენდა, როგორც ადრე ითქვა, გამოიცა მისი უკეთილშობილების მხრიდან კეთილგანწყობილებისა და წყალობის ბრძანებანი თეიმურაზის სახელზე და იგი დიდად ამალდა დიდებული ხალათით, საჩუქრებითა და შაჰის კეთილგანწყობილებით. გადაწყდა, რომ თავისი ქალიშვილი პატივცემული მამაკაცებისა და ქალების თანხლებით ციური ადგილსამყოფელის მხარეს გაეგზავნა, რათა იგი სამეფო პარემში მოხვედრილიყო. მართალია, თეიმურაზმა უკიდურესი პირმოთენობა და ცუდი ხასიათი, რაც ბოროტების არსის ბუნებაა, გამოიცვალა, მაგრამ მაინც სხვადასხვა საბაბით პირობის შესრულებას აგვიანებდა. მიუხედავად ამისა, თითონ გარეგნულად მორჩილებისა და ერთგულების სამოსში გამოეწყო და საიმედო პირთა თანხლებით სატურნის მსგავს სასახლეში ღირსეული ერთგულების წერილი გაგზავნა. მან თავისი ერთგულებისა და მორჩილების გამოსაჩენად შაჰს მოახსენა, რომ ზურაბ ქართველმა, როგორც ზემოთ ითქვა, გასულ წლებში სიმონ-ხანს — ქართლის მეფეს უღალატა და მოკლა. [შემდეგ] თეიმურაზთან მივიდა, რათა იგი ქართლის მბრძანებლობით მოეხიზლა. რადგან თეიმურაზს ბევრჯერ სმენოდა მისი ღალატისა და ცუდი ზნის შესახებ, ამიტომ არ ენდო. [მან] შესაფერისი დრო შეარჩია მის მოსაკლავად, ხოლო ტატიის ზღურბლს სინამდვილე არასწორად მოახსენა; ვითომდა, რადგან ზურაბმა სახელმწიფოს უღალატა მისი მწყალობელს შვილის — სიმონ-ხანის მოკვლით, ამიტომ თქვენდამი კეთილგანწყობილების საფუძველზე მე იგი დავსაჯო. მისმა უდიდებულესობამ ეს სიტყვა დაიჯერა და საქციელი მოუწონა. ამ სამსახურის ჯამაგიეროდ ქართლი, თბილისის ციხის გარდა, მის ვაჟს — გურგენ-მირზას უბოძა, რომელსაც დედის მხრიდან მემკვიდრეობის უფლება ჰქონდა. კეთილშობილი ბრძანების თანახმად, ქართველთა ნაწილი და ქართლელი თანამზრახველები მის გამეფებას მოწონებით შეხვდნენ და სრული მორჩილება აღუთქვეს. ერთი სიტყვით, ამ მაღალი დინასტიის კეთილგანწყობილებითა და მეფური წყალობით თეიმურაზის სამეფოს ბალ-მინდჯრები გამშვენიერდნენ და [ქართველები] სიმდიდრითა და ძლიერებით ბედნიერები იყვნენ. მასსა და დაუდ-ხანს შორის ისეთი განსაკუთრებული ურთიერთობა და მეგობრობა დამყარდა, რომ რამდენჯერაც ერთმანეთს შეხვდებოდნენ, რამდენიმე დღეს ყაბრისა და ყანყინ³⁰

ნაპირას საუბრობდნენ, ყარაბაღისა და საქართველოს სანახებში ნადრობდნენ და ერთმანეთს მეგობრულად შორდებოდნენ, სანამ გველის წელს³¹ ოსმალთა სარდალი ხოსრო-ფაშა ლაშქარს ირანის სახელმწიფოსკენ დაძრავდა და ბაღდადისკენ წავიდოდა. მისი უავგუსტოესობის ამაღაც მის კვალდაკვალ გაემართა. რადგან დაუდ-ხანი მისი უკეთილშობილესობის ფეხთა მთხვევის ღირსი ვერ გახდა, ამიტომ ვხახუ დაეწია, ამაღაცში ყოფნის ბედნიერება მოიპოვა და დიდებულ უხანგს ბაღდადში თან ახლდა. ყაჯართა ტომის დიდგვაროვანთა ერთი ნაწილი დაუდ-ხანის უსამართლობითა და უხასიათობით შეშფოთებული იყო. ამიტომ მის უმალღესობასთან ხშირად უჩიოდნენ მას. რანაც მის მიმართ უწმინდესის დამოკიდებულების შეცვლა, საყვედური და გაკიცხვა გამოიწვია. დაუდ-ხანმა უკიდურესი უმეცრობისა და დიდი სიამაყის გამო იმ საზოგადოების კეთილგანწყობილება და თანაგრძნობა ვერ მოიპოვა. ისე რომ ერთ ღამეს სამოთხისებურ მეჯლისზე მისმა უდიდებულესობამ, როგორც კეთილად განწყობილმა მურშიდმა³², დაუდ-ხანს უსაყვედურა. უხეშობისა და შელაპარაკების გამო იგი ჰეშმარიტი მეჯლისიდან გააძევეს, მაგრამ მისი ძმის იჰამეული-ხანის³³ პატივისცემისა და მამის — ალავერდი-ხანის ერთგული სამსახურის საზღაურად, მაშინ ყაჯარ დიდებულთა ჩივილმა და ბრალდებამ მოხანა ვერ მიაღწია. როდესაც იმამეული-ხანმა ერაყის თუნისერგანიდან³⁴ ფარსში წასვლის ნებართვა მიიღო, ცნობილი გახდა, რომ დაუდ-ხანი უნებართვოდ ყარაბაღისკენ გაემართა. მისმა უდიდებულესობამ ეს წასვლა მის უზრდელობასა და პატივმოყვარეობას დააბრალა და მეფური ყურადღების ღრსად არ ჩათვალა. და აი, ამ წელს, როდესაც პაიღარ სულთან ყავილე ჰესარლუს, ჩარალ-ხანისა და იუსუფ-ალას³⁵ მოკვლის ამბებმა დაუდ-ხანის ყურამდე მიაღწიეს, იგი შიშმა და მღიღვარებამ მოიცვა. ახალგაზრდული სიამაყისა და უმეცრების გამო, რომელსაც უგონო და უზნო სიმთვრალისაგან ღამის ღვინო დღისით უფრო მოეკიდა, მან აჯანყება გადაწყვიტა. იგი დაფიქრდა და მიხვდა, რომ მისი უდიდებულესობის მხრიდან დასჯა და რისხვა მოელოდა. იმ დიდი მეგობრობისა და ნდობის საფუძველზე, რომელიც თეიმურაზის მიმართ ჰქონდა, მან შველის თანამებს მოჰკიდა ხელი, რადგან უბედურების შემთხვევაში მისგან მიელო დახმარება. მისი მფარველობით დაუდ-ხანი უშიშრად იქნებოდა ყაჯართა ზიანისა და მტრობისგან, რომელნიც მისგან დაზარალებულები, შეურაცხყოფილები და მასზე გადამტერებულები იყვნენ, [ამასთანავე] იმ ტომის თავკაცთა ერთ ნაწილს, რომელნიც ძალაუფლების ბატონ-პატრონი შეიძლებოდა გამხდარიყვნენ, თეიმურაზის დახმარებით დახოცავდა. თავდაპირველად იგი თეიმურაზს შე-

ლათინური და მასთან ერთად გადაწყვიტა ყაჯარ დიდებულთა დახოცვა ვანსაზღვრული წესითა და რიგით, თეიმურაზთან შეხვედრის განზრახვითა და ყაბრის ნაპირზე ნადირობის საბაბით, ისინი იარაღით, საჭურველთა და ცხენებით იმ მხარეს წავიდნენ. დაუდ-ხანმა ყაჯართა ტომის ყველა დიდებული და თავკაცი კეთილგანწყობილებითა და მოფერებით თან წაიყვანა სანადიროდ. რადგან იმ გულუბრყვილო საზოგადოებამ დაუდ-ხანის ალერსი და გულწრფელობა ცოდვების მონანიებად ჩათვალა, ამიტომ მას თან გაჰყვა. როდესაც დაბანაკდნენ, თეიმურაზი უკვე მათკენ მოდიოდა. დაუდ-ხანმა მთელი თავისი ამაღლა თეიმურაზის შესაგებებლად გაგზავნა, რათა თითონაც მათ კვალდაკვალ შესახვედრად გაჰყოლოდა. თეიმურაზმა, თავის მხრივ, ამ საჭმისათვის შეარჩია დაახლოებით ასი კაცი, უმეტესად ქართველი აზნაურები და თავისზე წინ გაგზავნა. როცა მათ დახიებთან³⁶ მიაღწიეს, ისე როგორც გათვალისწინებული იყო, შეებნენ მათ. ყოველი ორისამი ქართველი ერთის პირისპირ მოდიოდა. ქართველები ბასრი მახვილით უსწორდებოდნენ იმ უბედურებს და მყისვე მთელ ღაზიებს მოწამებრივი სიკვდილის შარბათი აგემეს. იმ ხალხის ქონება და აღჭურვილობა ქართველებს ჩაუვარდათ ხელში.

ბოლოს დაუდ-ხანი და თეიმურაზი ერთმანეთს შეხვდნენ. მზაკვრობითა და შენიღბული ლაპარაკის წყალობით, დაუდ-ხანმა თეიმურაზს მისი უდიდებულესობის მორჩილებასა და მონობაზე ხელი აღდებინა, იგი განჯის ურიცხვი სიმდიდრის ხელში ჩაგდებად მოხიბლა და აიძულა, რომ მასთან ერთად განჯაზე გაელაშქრა. მისი ოჯახი, ვაჟიშვილები, ქონება და აღჭურვილობა მან საქართველოში გაგზავნა, რადგან თუ შეძლებდნენ, შემდეგ ყარაბაღის ოლქი უნდა დაეპყროთ. თეიმურაზმა ქართველი მეომრებით განჯისაკენ გააწვია. როდესაც ამ ამბებმა განჯას მიაღწია, დახოცილ ყაჯართა ბავშვებისა და ქალების გოდებამ და ტირილმა მეშვიდე ცას მიაღწია. იმ მხარის ხალხმა, რომელიც ლაშქარში და სპაში აირდაირია, სიმაგრეებს მიაშურა. დაუდ-ხანის რამდენიმე მხლებელმა, რომელნიც ჰარემის სათავეში იდგნენ, მისი საგვარეულოს საპატო ქალები ვაჟიშვილებით არდებილს³⁷ წაიყვანეს. ქართველებმა განჯაში რამდენიმე დღე დაჰყვეს. მართალია იმ მხარის ხალხს დიდი დანაჯლისი და ზიანი მიაყენეს, მაგრამ საწადელს წამრატებით ვერ მიაღწიეს. რადგან თეიმურაზს ბევრი ხალხი არ ახლდა თან, მას ყარაბაღში გაჩერებისა შეეშინდა. ისინი უკან დაბრუნდნენ მეომრებისა და ლაშქრის შესაგროვებლად. განჯაში მეორედ დაბრუნდნენ კარგად მომზადებულნი, რომ ყარაბაღიც დაეპყროთ. როცა ეს ამბები დაწვრილებით მოახსენეს დიდებულ ზღურბლს სამეფო ქალაქ ისფაჰანში³⁸ და გაიგეს, რომ თეიმურაზის შეთანხმება

დაუდ-ხანთან და ქართველთა მიერ ყარაბაღის ხელყოფა ნამდვილად მოხდა, შაჰმა ყარაბაღი ბრძანებით მოჰამედ ყული-ხან ზიიად-ოღლი ყაჯარს გადასცა. ხოლო საქართველოს ქართლი და კახეთი — ბაგრატიანის ძმას, ხოსრო-მირზამ³⁹ ქართველს უბოძა, რომელიც განსვენებული ლუარსაბ-ხანის⁴⁰ შვილიშვილია. მისი უდიდებულესობის დროს ხოსრო-მირზას როსტომ-ხანი ეწოდა და სასახლის ღოღამთა ყულარა-ლასი⁴¹ გახდა. საქართველოს დიდებულთა სახელზე კეთილგანწყობილების ბრძანებები გამოვიდა, რომელთა თანახმად, ისინი უშიშრად უნდა გამოცხადებულიყვნენ სახელმწიფოს მემკვიდრე როსტომ-ხანთან და მორჩილება და კეთილგანწყობილება აღეთქვათ. ძლევაშილი მეომრები დიდებითა და ძლიერებით გაემართნენ საქართველოსკენ. ნაბრძანები იყო მისი უავგუსტოესობის ამალის წინ, სპასალარ როსტომ-ბეგის⁴² ვაგზავნა საქართველოში ამირების, სახელმწიფო დიდებულების, ყორჩიების⁴³, ღოღამებისა და სხვა ძლევაშილი მეომართა თანხლებით. ისინი გაემართნენ, რათა აჯანყებულ და ამბოხებულ დიდებულთა ზოროტების უყუგდებით საქართველოში როსტომ-ხანის მრძანებლობა და ბატონობა განემტკიცებინათ.

რადგან თეიმურაზმა და წყეულმა დაუდმა მიზანს ვერ მიაღწიეს, საქართველოში დაბრუნდნენ. იქ მათ ლაშქარი და ბევრი ხალხი შეკრიბეს და კვლავ ყარაბაღს მიადგნენ. ხმა გავრცელდა, რომ წყეულმა დაუდმა გონებაამახვილური ეშმაკობით, ცბიერებითა და მოტყუებით თეიმურაზი გზას ააცდინა და შთააგონა, რომ შაჰის კეთილგანწყობილება მის მიმართ გულწრფელი კი არ არის, არამედ სურთ, რომ იგი მხოლოდ დააიმედონ და როგორც კი ხელსაყრელი შემთხვევა მიეცემათ, მას თავიდან მოიშორებენ. [დაუდ-ხანმა თეიმურაზს უთხრა]: „ესეც იცოდე, რომ უფლისწული, ქვეყნის დამპყრობელი შაჰის შთამომავლობიდან, ჩემს ძმასთან — იმამყული-ხანთან არის ფარსში, რომელმაც მას სახელი შეუცვალა, თავისი ვაჟის სახელი დაარქვა და [იგი] მის შვილად ითვლება. ჩემმა ძმამ მთელი ფარსის მხარე, ბაჰრეინი, ლარი, ჰორმუზი, ხუზისტანი, არაბისტანი⁴⁴ დაიმორჩილა, ამასთანავე იმ ვილაეთში ოცდაათ ათას კაცზე მბრძანებლობს. სულ მალე იმ მხარეში ხუტბა⁴⁵ და სიქა⁴⁶ მისი სახელით და ლაყაზი⁴⁷ იმ უფლისწულის სახელით იქნება დამშვენებული, ხოლო მე, როგორც ძმის კეთილის მსურველი, ამ საქმეებში ვეხმარები“. თეიმურაზი თოხხედავად გამჭრიახობისა, განათლებისა და სალი აზროვნებისა, რაც მეფობისა და წინამძღოლობის საკითხებში გააჩნდა, მოტყუვდა და ამ სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოვიდა; მრავალრიცხოვანი ჯარით იგი ყარაბაღს მიადგა და შირვანის⁴⁸, ჩუხურსაადისა და ახალციხის ამირებს წერილები მისწერა, რომლებშიც მორჩილებისაკენ

მოუწოდებდა მათ. ამირებმა ზემოხსენებული წერილები მისი უმაღ-
ლესობის კარზე გაგზავნეს და ბევრ მხარეში გახდა ცნობილი წყეული
დაუდ-ხანის მიერ წაქეზებული თეიმურაზის ურჩობის ამბავი.

ქვეყნის დამპყრობელმა ბრძანება გასცა იმამყული-ხანის გამო-
ძახების თაობაზე. იგი სასწრაფოდ უნდა გამოცხადებულიყო უმაღ-
ლეს ზღურბლთან, რათა შაჰი მოთათბირებოდა ამ უბედურების თა-
ვიდან ასაცილებლად და როგორც მიზანშეწონილი იქნებოდა, ისე
გადაეწყვიტათ. იმამყული-ხანი ამ ამბებმა დააბნეის. თავდაპირველად
მან გამოცხადებაზე უარი თქვა იმ მიზეზით, რომ პორტუგალიელები
პორმუზში მოსვლას აპირებენო. გამოძახების გამეორების შემდეგ
მას მისვლის გარდა, სხვა გზა აღარ ჰქონდა; ჭერ თავისი ვაჟი საფარ-
ყული-ხანი გაგზავნა, შემდეგ თითონაც მივიდა. იმ დროს, როდესაც
ძლევაშოსილი მეომრები თეიმურაზის ამბოხების ჩასაქრობად და სა-
ქართველოს საქმეების მოსაწესრიგებლად მარადიულ სასულთნოდან
დაიძრნენ, [იმამყული-ხანი] ისფა-ჰანში ჩამოხდა და ზღურბლზე
მთხევვის ბედნიერებით ამაღლდა*.

136

ამავთი ძლევაშოსილი მეომრების დედაქალაქ ისფაჰანიდან
გამოსვლისა საპართიველოს მთავრობითა დასასჯელად

როდესაც წყეული დაუდის ურჩობა, შტოთი და უმეცარი თეი-
მურაზის შეთანხმება იმ უვიც და უგუნურთან დადასტურდა, მათმა
მეორედ მოსვლამ ყარაბაღში მისი უდიდებულესობის ყურამდე მი-
აღწია. სპასილარი ძლევაშოსილი მეომრებით, როსტომ-ხან ყულარა-
ლასისა და მოჰამედ ყული-ხან ზიად ოღლიზე წინ გაიგზავნა. ძლევა-
შოსილი ჭარა ჯომადი ულ-ავვალის თვის თერამეტში⁴⁸ დედაქალაქ
ისფაჰანიდან გამოვიდა. რამდენიმე დღე ქალაქის კართან შეჩერება
იყო ნაბრძანები. იქიდან სვენებ-სვენებით სამეფო ქალაქ ყაზვინს⁴⁹
მიადწიეს და დიდებულ სასახლეში ჩამოხდნენ. სიცივე და წვიმები
გაძლიერდა, ჰაერი ვერცხისწყალივით გახდა და რადგანაც რამდენიმე
დღე განუწყვეტლივ თოვდა, მისი უავგუსტოესობის ამაღა ყაზვინში
დარჩა. ამასობაში ის წერილები, რომლებიც უმეცარმა თეიმურაზმა
და წყეულმა დაუდმა ჩუხურსაადის, შირვანის, ახალციხისა და იმ
საზღვრის ამირებს მისწერეს, გამომქდაგნდა: [წერილებში ეწერა:]
„ჩვენი ასეთი საქციელი ამ საგვარეულოს ერთგულებისა და მეფე-
ლის, რომელიც ფარსში იმყოფება, ბედნიერების საქმეების მოწესრი-
გებას ემსახურება და მალე მისი ძლიერების დროშა აღიმართება ჩვე-

* დორნის ხელნაწერში გვ. 54—57.

ნი, იმამყული-ხანისა და ფარსის მეომართა მცდელობით“. როდესაც
ამ საშინელმა წერილებმა მისი უავგუსტოესობის სმენამდე მაღლივის
და იმამყული-ხანის მიხვედრილობის სხივმა ეს აზრი გააშუქა, მის
უდიდებულესობასა და იმამყული-ხანს ერთმანეთზე ცული აზრი შე-
ექმნათ. ჭვეყნის დამამშვენებლის გონება ამ ამბოხების, იმამყული-
ხანისა და მისი ვაჟების თავიდან მოსაშორებლად ამოქმედდა, რომე-
ლთაგან ერთი ზემოსხენებული მითქმა-მოთქმით უფლისწულად იყო
ცნობილი. ამ მითქმა-მოთქმამ უბრალო ხალხიდან დიდგვაროვნებში
შეაღწია და წერილის შინაარსის გამო დიდებული გონების რისხვამ
ინატა. მიუხედავად იმისა, რომ იგი სიმატლეს არ შეესაბამება, გე-
ფური სიფრთხილით, წინდახედულობითა და შორსმჭკრეტელობით
[მან]საჭიროდ მიიჩნია, რომ უბრწყინვალესი გონება ამ მღელვარე-
ბისაგან მოესვენებინა. შორსმჭკრეტელი მბრძანებლის განკარგუ-
ლებითა და შექმნილი აუცილებლობის გამო [იმამყული-ხანის] უფ-
როსი ვაჟი — სეფი ყული-ხანი ორ დანარჩენ ეყთან ფათალი-ბეგ-
თან და ალიყული-ბეგთან⁵¹ ერთად მოკლეს იმ დროს, როდესაც ისინი
მისი უკეთილშობილების სამსახურში შუშუენების კაშკაშს უყურებ-
დნენ და ღვინით სიმთვრალისა და სიამაყისაგან გაღვნილები იყვნენ.
ეშიყადასი ქალბალი-ბეგი, დაუდ-ბეგ გურჯი და სპასალარის ძმა ალი-
ყული-ბეგი, რომელთაგან ორნი იმამყული-ხანის სიძეები იყვნენ, მის
მოსაკლავად გაგზავნეს. ისინი იმ დროს მივიდნენ შათან სახლში,
როდესაც [იმამყული-ხანი] გახდილი იყო და დასაბინებლად ემზადე-
ბოდა. იმ საბაბით, რომ ბედნიერის მონაცვლე მას უხმობდა, [იგი]
გარეთ გამოიყვანეს და მოკლეს, ხოლო ავლადიდება, რაც კი გააჩ-
ნდა, ხელთ იგდეს. იმ დღესვე ფარსში წასასვლელად და სანეთოს და-
საცავად ეშიყადასიბაში ოღურლუ-ხანი დანიშნეს და გაგზავნეს.

117

ერთი სიტყვით, უმეცარი, წყვეული დაუდის უკადრისი საქციე-
ლის გამო ალავერდი-ხანის საგვარეულო, რომელიც უკეთური აღზრ-
დის გამო უმაღლეს წერტილამდე ამაღლდა და ისფაჰანიდან ომანის
სანაპირომდე ერთი თვის სავალი გზა მისი მბრძანებლობისა და ბა-
ტონობის ქვეშ იყო, საგვარეულო, რომელიც ფუფუნებაში, სიმდიდ-
რეში და ბედნიერებაში ცხოვრობდა, არარობის ქარს მიეცა; მამა-
კაცები და ქალები — ყველა დახოცეს. როდესაც ამ ამბავმა წყვეულ
დაუდთან და უმეცარ თეიმურაზთან მიაღწია, ისინი უიმედობამ და
დარდმა მოიცვა. რაჰმათ-ხან⁵² ყულარადასის წამოსვლის ამბავმა, რო-
მელიც საქართველოს ქართლის მემკვიდრეა და სპასალარის მოახ-
ლოებამ ყიზილბაშთა ურაცხვი ლაშქრით, ისინი შეაშფოთა და მათი
სიმტკიცე შეარყია. [ისინი] ყარაბალიდან აიყარნენ და საქართვე-
ლოსკენ წავიდნენ. მოჰამედ ყული-ხანი განჯაში ჩავიდა და მბრძანებ-

ლობის ტახტზე გამაგრდა. როდესაც როსტომ-ხანი თბილისს მიუახლოვდა, ქართლის თავაყცები, აზნაურები და დიდებულები, შაჰის ბრძანების თანახმად, როსტომ-ხანს მიემხრნენ, ჭგუფ-ჭგუფად მის შესახვედრად გამართნენ და მორჩილება და ერთგულება აღუთქვეს. იგი მეფური ძლიერებით თბილისის ციხეში შევიდა და გამეფდა. ქართლები სამსახურად ეახლნენ მას და მორჩილება და ერთგულება აღუთქვეს. როდესაც სპასალარი ძლევა მოსილი მეომრებით საქართველოში შევიდა, თეიმურაზი მიხვდა, რომ იმ ურიცხვ ლაშქართან წინააღმდეგობის გაწევა და ბრძოლა მის ძალ-ღონეს აღემატებოდა და კახელების მცირერიცხოვანი ჭგუფით ბაშიაჩუკის⁵⁴ მხარეს მიაშურა. სპასალარმა, ბრძანების თანახმად, ორი ციხე დაიკავა: ერთი კახეთში — ალავერდის ეკლესია და მეორე ქართლში — გორის ციხე, სადაც მისმა უდიდებულესობამ ქვეყნის დამპყრობელმა თავის დროზე ორ ციხეს ჩაუყარა საფუძველი. ხოლო [მან] შეაკეთა, დაასრულა და შიგ მცველი და დარაჯები ჩააყენა. მოწინააღმდეგე ქართველებმა ყველგან სიყნაყი⁵⁴ და დაჭგუფებები შექმნეს. [როსტომ-ხანმა] ლაშქარი გაგზავნა და სასტიკად გაუსწორდა მათ. იმერეთის მეფემ და სხვა ქართველმა მეფეებმა, განსაკუთრებით დადიანმა და გურაელმა⁵⁵ ქვეყნის წინასწარმეტყველთა რისხვისა და სპასალარის შორს გავარდნილი სახელის შიშით, რომელიც ბრძოლის ველიდან ყოველთვის გამარჯვებული ბრუნდებოდა, მოითათბირეს; [მათ] ხალხი გაგზავნეს სპასალართან და შაჰის მიმართ ერთგულება და მონობა გამოაცხადეს. [მათ შეჰტიცეს] რომ არავითარ შემთხვევაში არ დაუკავშირდებოდნენ თეიმურაზს და სასტიკად გაიციხეს იგი ამ ამბოხების გამო. ამჟამად ის უბედური სინანულითა და დარცხვენით, გაღატაკებული და დაუძღურებული იმერეთში ცხოვრობს. ხოლო წყეული დაუღო, რომელიც მის გზას ვაჟყვა, უბედურად შცხოვრები მაწანწალაა.

ერთი სიტყვით, საქართველოს საქმეები, ძლიერი მეგობრების გულითაღობის წყალობით, დღითიდღე უმჯობესდებოდა. სპასალარმა მრავალი გმირობით, დიდი გამოცდილებითა და სწორი გადაწყვეტილებებით ისეთი წესრიგი დაამყარა, როგორსაც ბრძენთა გონებაში არ გაუვლია და არც წარსულში ყოფილა. [ამის შემდეგ] იგი გამარჯვებული, მხიარული და ბედნიერი უკან დაბრუნდა. როდესაც ვანის მხარის⁵⁶ ოსმალებმა და იმ მხარის ქურთებმა ნახჭევანისა და ჩუხურსაადის საზღვრებს ხელი მიუწვდინეს, ქვეყნის დამამშვენებელმა ძლევა მოსილი მეომრები და ლაშქარი იმ ჭგუფის დასასჯელად, განაჩენის გამოსატანად და ვანის ციხის დასაპყრობად გაგზავნა*.

* დორნის ხელნაწერში გვ. 58—59.

ამის წინ სრულად იყო აღწერილი, რომ როცა სპასალარმა და ძღვევამოსილმა მეომრებმა საქართველოს საქმეები სასურველად მოაწესრიგეს, გორის ციხე და ალავერდი ააგეს, მეომრებსა და მეთოფეცებს ციხის შესანარჩუნებლად საჭირო იარაღი და მარაგი, საჭიროებისა და შეძლებისდაგვარად მისცეს. ხოლო როსტომ-ხანმა ქართლში დამოუკიდებლობა მოიპოვა და თბილისში გამაგრდა. თეიმურაზს ვაჟარჩვეული ლაშქრის შიშით კახეთის სამკვიდრო მამულში ფარულად ერთი დღის გაჩერების შესაძლებლობაც არ ქონდა და უბედური ქვიცნის მოხეტიალე გახდა. უმაღლესი ზღურბლის ბრძანებით სხენებული ღალეთი და ვილაიეთი სელიმ-ხან შამსედდინლუს⁵⁷ გადაეცა. იგი მეომრებისა და ამირების ნაწილითა და საგვარეულოთი, განსაკუთრებით შაჰსევანების⁵⁸ და სეფარის ტომის, შამლუსა და ავშართა⁵⁹ ჩგუფებით, რომლებსაც საცხოვრებელი და ადგილსამყოფელი აზერბაიჯანში ჰქონდათ, იმ ვილაიეთში გაგზავნეს. საქართველოს საქმეების მოწესრიგების შემდეგ, [როსტომ-ხანს] დაბრუნების ნება მისცეს და როდესაც ვანის მხარის ოსმალებმა და ქურთებმა მისი უავგუსტოესობის სამფლობელოები ხელყუეს ნახჭევანის, შარურისა და იმ მხარის საზღვრებთან ხელმეორედ მოსვლით, [მათ] ზრდილობის საზღვარს გადააცილეს. ძღვევამოსილი მეომრები მათ დასასჯელად გაემართნენ და ვანის ვილაეთის დაპყრობაც მისი უმაღლესობის წინადადება იყო. სპასალარი, დიდებული ამირები და შურისმაძიებელი მეომრები იმ მხარეს გაემართნენ.

ერთი სიტყვით, როდესაც ძღვევამოსილმა და გამარჯვებულმა მეომრებმა ვანს მიაღწიეს, სპასალარმა და უძლეველმა მეომრებმა ციხის დასამორჩილებლად მამაცობის ქამარი შემოირტყეს. [მათ] სხვადასხვა მხრიდან შემოუარეს, ალყა შემოარტყეს და კოშკები დაინაწილეს. ლაშქრის თითოეული ჩგუფი თავთავის კოშკთან ჩამოხდა და სამზადისი დაიწყო სიბის⁶⁰ მისატანად და ციხის ასაღებად. რადგან ალყაშემორტყმულებმა წინააღმდეგობის გაწევა დაიწყეს, ორივე მხრიდან ისრისა და ტყეის ელჩები მიმოდირდნენ. როდესაც ვანის ციხის ალყაშემორტყმის ამბავმა მის უწმინდესობამდე მიაღწია, ძღვევამოსილი მეომრებიც აზერბაიჯანის მხარეს გაემართნენ. მათ ქვეყნის დამაპყრობლის დროშა იმ მხარეს ააფრიალეს და ბედნიერ საათს მისი უავგუსტოესობის ამაღლა სამეფო ქალაქ ყაზვინიდან გამოვიდა. მისი უავგუსტოესობის ამაღლა იმ მხარეს გაემართა და ქვეყნის დამაპყრობელმა გადაწყვიტა, რომ გამარჯვებითა და დიდებით სამეფო ქა-

ლაქ თავრიზში⁶¹ შეჩერებულიყვნენ, რომელიც ირანის მბრძანებლობის გავლენის სამეფო სატახტო ქალაქი და მისი უმაღლესობის მამაპაპათა ადგილსამყოფელია. იმისათვის, რომ დახმარებოდნენ იმ ძლევამოსილ ლაშქარს, რომელსაც ალყა ჰქონდა შემორტყმული ვანის ციხისათვის და ეს საქმე კეთილად დაეგვირგვინებინათ, ლაშქარი თავრიზიდან დაუყოვნებლივ გაემართა ვანისაკენ. ისინი მხოლოდ მანზელებში ისვენებდნენ და მერე ისევ აგრძელებდნენ გზას.

136 გადაწყდა, რომ ყულარალასი როსტომ-ხანიც, რომელსაც საქართველოს ქართლის მფლობელობა ჰქონდა მიღებული, ქართველთა გარით ყარაჯაარდაჰანის⁶², არეშისა⁶³ და არზრუმის საზღვრებისკენ წასულიყო და იმ ვილაიეთის მემორებს შებრძოლებოდა. ზემოხსენებულიც ქართველთა ჯარითა და ახალციხის ლაშქრით ათი ათასი კაცის ოდენობით იმ მხარეს გაემართა და წუთიც არ გაუცდენია ძარცვისა და აწიოკებისაგან. იმ საზღვრის ოსმალებმა ციხეებში შეაფარეს თავი, რადგან იმ მრავალრიცხოვან ლაშქართან პირისპირ შეებმას ვერ ბედავდნენ. როსტომ-ხანმა იმ მხარეში დიდი სახელი მოიხვეჭა და უვნებელი და ნადავლით სავსე დაბრუნდა უკან. [მან] სინამდვილე მოახსენა [შაჰს] და რადგან ვანის ციხის დაპყრობა ამ ლაშქრობის დროს ბრძანებით გათვალისწინებული არ იყო, ისეთი სურათი წარმოადგინა, რომელიც ზემოხსენებული ბრძანების შეცვლის მიზეზი გახდა*.

58 ამბავი საკართველოს კმეანისა, რომელმაც იპაჰრი ვალის — როსტომ-ხანის მოხსენებით მის უფინფანსოგასთან მიიღწია

პირველად ის მოხდა, რომ დადიანის ვილაიეთის მეფე — ლევან-ხანი⁶⁴ წინასწარ ერთგულებითა და გულწრფელობით როსტომ-ხანთან გამოცხადდა იმ განზრახვით, რომ თავისი და, დედოფალი⁶⁵ მტკიცე კავშირით მასთან დაეკავშირებინა და ამ გზით თვითონ ქვეყნის მფარველის მონათა რიცხვში მოხვედრილიყო. ამ სწორი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, ბაშიაჩუკის მბრძანებელი⁶⁶ გზააბნეულ თეიმურაზს დაუკავშირდა და [ისინი] გზებს სინჯავდნენ, რათა დადიანის მოახლოებისას, შეეპყროთ იგი და ქორწინება ჩაეშალათ, როდესაც როსტომ-ხანმა ეს ამბავი გაიგო, ყარაბაღისა და შირვანის ამირებთან და ქართლელ ერთგულებთან ერთად მათი შეთქმულების ჩასაშლელად გაემართა. ბაშიაჩუკის გზის თავში, რომელიც ალთუნყა-

ლ.ასთანაა, [ისინი] მეთოფეთა იმ რაზმს მიუახლოვდნენ, რომელიც არუდაპანის მბრძანებელმა საფარ-ფაშამ ბაშიაჩუკის მეფის დასახმარებლად გამოგზავნა. ზედნიერების ძლევამოსილი ხელის ძალითა და ქვეყნის მფარველის ძლიერების თანხლებით, [როსტომმა] პირველივე იერიშზე იმ რაზმის კავშირი გაფანტა და თავის მოლაშქრეთა ნაწილი გურიელის სამფლობელოს გზით დადიანის დასახმარებლად გაგზავნა. თითონაც ალთუნყალადან ერთი ფარსანგის⁶⁸ დაშორებით, უმეცარი თეიმურაზისა და ბაშიაჩუკის მბრძანებლის ადგილსამყოფელთან ჩამოხდა. [როსტომ-ხანი] დადიანისა და მოწინააღმდეგეთა შფოთისა და უბედურების ცეცხლის აგრძელებების ამბის მოლოდინში იყო, როდესაც იმ დადიანის ახლობლები ძლევამოსილ მეომრებთან ერთად მოწინააღმდეგეთა პირისპირ მწყობრ რიგად გასწორდნენ. ბრძოლა გაჩაღდა და მაღალი მეფური ზედნიერების მარადისობის წყალობით მოწინააღმდეგეები სწრაფად დაამარცხეს. ბაშიაჩუკის მეფე რამდენიმე იქაურ თავაკთან და კახელ აზნაურებთან ერთად შეპყრობილ იქნა გამარჯვებული ლაშქრისა და დადიანის ძლიერა ქამანდით. დაახლოებით ორ-სამ ათასზე მეტი მოწინააღმდეგე დაიღუპა. უმეცარმა თეიმურაზმა ბაშიაჩუკის ვალის მემკვიდრესთან⁶⁹ და თავის გაქცეულ და შეშინებულ ლაშქრის ნაწილთან ერთად ქუთაისის (کوتایس) ციხეს შეაფარა თავი. ამ აშკარა გამარჯვების შემდეგ დადიანმა თავისი და თავის ახლობლებთან და საპატიო მხლებლებთან ერთად საქართველოს ვალის, როსტომ-ხანის სამფლობელოში გააქვზავრა. როდესაც ამის შესახებ [როსტომს] მოახსენეს, ზემოხსენებულმა დადიანთან შეხვედრის ნებართვა ითხოვა. მონათა მფარველმა ხაყანმა ნება დართო და როსტომის წარგზავნილი კეთილსურნელოვანი წყალობის რაყანითა და ძვირფასი ხალათით, უზანგით და ოქროს ლაგამით ზემოხსენებულთან დაბრუნდა.

სამეფო ქალაქ თავრიზში ზემოხსენებული როსტომის მეორე მოხსენებიდან ნათელი გახდა, რომ მისი დადიანთან შეხვედრა მოხდა და მეგობრობისა და კავშირის საფუძვლის განმტკიცების შემდეგ იგი ქართლში დაბრუნდა.

როდესაც თეიმურაზ-ხანი ამბოხების მიმე ძილიდან და წინააღმდეგობისა და ურჩობის სიმთვრალიდან გამოფხიზლდა, [მან] თავისი ქალიშვილი ციური ზღურბლის ადგილსამყოფელისაკენ შორჩილებით გაგზავნა. [შაჰმა] მას უსაზღვრო წყალობა, კეთილგანწყობილება და კახეთის მხარე უბოძა.

სწორედ ამ დროს ბაშიაჩუკის მეფის — გურგენ-ხანის სიკვდილის ცნობამ მაღალი ხელმწიფის დიდებულ სმენამდე მიაღწია.

იმამყული-ხანი — ალავერდი-ხანის ვაჟი, ფარსის ამირთა ამი-

რა და ქუპილუეს ბეგლარბეგი, ლარის, ჯერუნის, ზაპრეინის, პორ-მუზის, გოლფაიეგანის და თუისერგანის მბრძანებელი იყო და უმად-ლეს ამირათა რიგებში ირიცხებოდა. სამოთხეში განსვენებული ბელ-მწიფის მზრუნველობა და კეთილგანწყობილება ამ მამისა და შვილის მიმართ იმგვარი არ იყო, როგორც ხელქვეითებს ზრდიან, [ამიტომ] მხატვარი ვერ შესძლებდა მათი ტოლი და სწორი აზროვნების აბრე-შუმის ნაჭერზე გამოესახა. როდესაც მისმა უდიდებულესობამ დღი-ურის დანართიდან ალავერდი-ხანის თავგადასავალი შეიტყო, იმამ-ყული-ხანის მალალ თანამდებობაზე დანიშნა და განდიდება მასზე შეეძლო დაეფუძნებინა.

ერთი სიტყვით, ერთი ლოლაშის წყალობით, ფარსის ვილაიეთის ზღურბლი მრავალი წლის განმავლობაში დიდებულ ხაყანთა და მათი ცის კამარას სამეფოს შურის საგანი იყო. მის [იმამყული-ხანის] ქვე-შევრდომთა უმეტეს ნაწილს პატივცემულ ამირებზე უფრო მეტი შე-მოსავალი ჰქონდათ. მისი გულმოდგინებით, იმ მხარის ქვეშევრდომე-ნი თანდათან ძლიერდებოდნენ. მისი მონდომებითა და მცდელობით ზაპრეინი, ლარის მხარე, კუნძული პორმუზი დაიპყრეს და სამეფოს მბრძანებლებზე გავლენის წყალობით [იგი] მარადისობას მიუახ-ლოვდა. მაგრამ ბოლოს, როგორც მოთხრობილი იყო, მოშურნეები-სა და მტრების მცდელობით, ხელმწიფის რისხვის ძლიერი მახვილით [იმამყული-ხანმა] იმქვეყნად ჰპოვა ადგილი.

289 დაუდ-ხანი — იმამყული-ხანის ძმა. მისი უავგუსტოესობის ტახ-ტზე ასვლისას მოჰამედ ყული-ხან ზიიად-ოღლი მოსაპებ ყაჯარის ად-გილზე — ყარაბაღის ვილაიეთის ამირთა ამირა იყო. და ამგვარად ბედ-ნიერ შემთრევკათა განმავლობაში დღეგრძელად იყო. მას შემდეგ, რაც თეიმურაზის ერთგული და თანამზრახნი გახდა და იმ ვილაიეთის ზღურ-ბლიდან თავი გასწია, ყარაბაღის ვილაიეთის მხარე ძველ მფლობელს მუჰამედ ყული-ხანს გადაეცა. ის უმადური [დაუდ-ხანი] კი მიტო-ვებულ და წყეულ იქნა.

როსტომ-ხანი — საქართველოს ვილაიეთის მფლობელების შთამო-მავალი და ბაგრატ-ხანის ძმა იყო. მარადიული სასულთნოს ყვავი-ლოვან გაზაფხულზე ხოსრო-მირზად იწოდა და ისფაჰანის ტარულა²⁰ გახდა. როდესაც მისმა უდიდებულესობამ მეფობისა და სასიგლმწი-ფოს მართვის გვირგვინი და ტახტზე ასვლით ციური მალალი მდგო-მარეობა მოიპოვა, თავისი სამსახურით შაჰის კეთილგანწყობილება, წყალობა, როსტომ-ხანის სახელი და ყულარაღასის მალალი თანამდე-ბობა დაიმსახურა. [იგი] უმადლეს ხარისხამდე ამაღლდა. ამგვარად გრძელდებოდა, მანამ საქართველოს ქართლის სამეფოსკენ გადად-

გამდა ფეხს და მისი უდიდებულესობის მეფობის ბოლომდე იმ ვი-
ლაეთის ვალი და ძმობის¹ მალალი ტიტულის მატარებელი იყო..

სეფი ყული-ხანი — იმამყული-ხანის ვაჟი, იბრაჰიმ-ხანის შემდეგ 293
ლარის ვილაეთის ვალი და იმ მხარის მბრძანებელი იყო. [იგი] მა-
ლალ ამირთა რიგებში ირიცხებოდა, როდესაც იმამყული-ხანის ძლი-
ერება და ძალა სასჯელის მახვილის ელვარებით ქარმა გაანადგურა,
ნაპერწყლები ამ კვამლიდან მთელ მის საგვარეულოზე წამოვიდა. სე-
ფი ყული-ხანმაც, რომელიც მისი უფროსი მემკვიდრე იყო, მამის ბე-
დი გაიზიარა.

სასულთნოს გაზაფხულის დასაწყისში, როგორც აღნიშნული იყო, 295
ის სასურველი სამეფო და სხვა რაიონები იმამყული-ხანს ემორჩილე-
ბოდა. როდესაც იგი მოკლეს, მისი ძალაუფლება დაამხო ძლიერმა მა-
ხვილმა იმ მხარის დაპყრობით. ფარსი და ლარის მხარე ხელმწიფის
სახასოდ გადაიქცა.

შენიშვნები

1. თარიღ-ე აღმარაი-ე აბახი — (تاریخ عالم آرای عباسی) აბასის ქვეყნის დამაშვენებელი ისტორია. ისქანდერ მუნშის ცნობილი ნაშრომი, რომელიც ძირითადად ეძღვნება შაჰ აბას I-ის ზეობის ხანას (ამ ნაშრომის შესახებ იხ. ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, თარგმანი და შესავალი ვ. ფუთურიძის, თბილისი, 1969, გვ. 8—10; Ч. А. Стори, Персидская литература, Библиографический обзор, перевёл с английского, переработан и дополнил Ю. Э. Брегель, часть II, Москва, 1972, с. 874).

2. მოურავი — სახელოვანი ქართველი სარდალი გიორგი სააკაძე. იგი გამოირჩეოდა დიდი ნიჭითა და სამხედრო საქმის შესანიშნავი ცოდნით, კარგად ფლობდა თურქულ და სპარსულ ენებს. 1612 წელს გიორგი სააკაძე იძულებული გახდა ირანში გადახვეწილიყო. სამშობლოში დაბრუნების შესაფერისი შემთხვევა მას მხოლოდ 1625 წელს მიეცა, როდესაც შაჰ აბას I-მა გიორგი სააკაძისა და ყარაჩილა-ხანის სარდლობით ყიზილბაშთა მრავალრიცხოვანი ლაშქარი საქართველოში გამოგზავნა. გადამწყვეტი ბრძოლა სააკაძის მომხრეებსა და ყიზილბაშებს შორის მოხდა 1625 წლის 25 მარტს მარტყოფის ველზე, სადაც ქართველებმა შაჰის ლაშქარი გაანადგურეს. ამიერიდან მოურავმა კვლავ აღიდგინა თავისი სახელი და გავლენა საქართველოში, რაც თეიმურაზ მეფის უკმაყოფილებას იწვევდა. ამ გარემოებით მოხერხებულად ისარგებლეს გიორგი სააკაძის მოწინააღმდეგე თავადებმა და მასსა და მეფეს შორის განხეთქილება ჩამოაგდეს. ამას შედეგად მოჰყვა ბრძოლა ბაზალეთის ტბასთან 1626 წლის შემოდგომაზე. გიორგი სააკაძეს მხარს უჭერდნენ იმერეთის მეფე გიორგი და სამცხე-საათაბაგოს მბრძანებელი საფარ-ფაშა, თეიმურაზ მეფეს კი — ზურაბ ერისთავი. ბრძოლა ამ უკანასკნელთა გამარჯვებით დასრულდა. გიორგი სააკაძე იძულებული გახდა კვლავ გადახვეწილიყო სამშობლოდან, ამჯერად ოსმალეთში, სადაც 1629 წელს ხოსრო-ფაშას ბრძანებით იგი სიკვდილით დასაჯეს (იხ. გ. ჯამბურია, გ. სააკაძე. თბილისი, 1964, გვ. 120—122; მისივე, ქართლ-კახეთის აჯანყება და მბრძანის ბრძოლა, ბაზალეთის ტრაგედია, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, თბილისი, 1973, გვ. 291).

3. ქვეყნის დამაპრობელი — ივულისხმება სეფიანთა ირანის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მბრძანებელი შაჰ აბას I (1587—1629). ისქანდერ მუნში, ისევე როგორც სხვა სეფიანი ისტორიკოსები, არ იშურებს სხვადასხვა ეპითეტებს ირანის შაჰების სახელთა შესამკობად. მაგალითად, შაჰ სულეიმანს იგი ასე მოიხსენიებს: „სულეიმანის მსგავსი“ (ბიბლიური მეფე სოლომონი), შაჰ თამაზ I — „სამოთხეში განსვენებული შაჰი“, შაჰ მოჰამედ ხოდაბანდე — „ისქანდერის (ალექსანდრე მაკედონელი) შესადარი“, შაჰ აბას I — „ალაჰის ჩრდილი“ და სხვა. (იხ. И. П. Петрушевский, Очерки по истории феодальных отношений в Азербайджане и Армении

4. რუმის ხონთქარი — იგულისხმება ოსმალეთის სულთანი მურად IV (1623—1640), რომლის დროსაც ოსმალთა იმპერიამ თავისი ძლიერების ზენიტს მიაღწია; კერძოდ, ოსმალეთმა 1638 წელს დაიბრუნა ერევანი, თავრიზი და ბაღდადი, აგრეთვე ვენეციასთან დაიდო ოსმალეთისათვის ხელსაყრელი ზავი. მურად IV გარდაიცვალა 1640 წლის 18 თებერვალს, ირანის ლაშქრობიდან დაბრუნების შემდეგ (უფრო ვრცლად იხილე ველია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურიძემ, ნაკვ. II, 1973, გვ. 72).

5. ხოსრო ფაშა — წარმოშობით იგი ბოსნიელია. სულთნის სასახლეში დაწინაურებით ხოსრო ფაშა ჯერ სამეფო ჩოხადარი¹, ხოლო შემდეგ სილაპდარი² გახდა. 1033 წელს (1623/24) მან იანიჩართა აღას (იანიჩართა კორპუსის მეთაური და მთავარსარდალი) თანამდებობა მიიღო, 1036 წელს (1626/1627) კი იგი დიარბექირის ვალის თანამდებობაზე დანიშნეს. 1037 წლის შაბანის თვეში (1628. 6. IV—4. V) სულთანმა მურადმა ხოსრო ფაშა იზმირში გაგზავნა სადრაზამის (დიდევზირის) თანამდებობაზე. მაგრამ 1630 წელს, ბაღდადში ლაშქრობის შემდეგ იგი ამ თანამდებობიდან გადააყენეს (იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, ს. ჯიქიას გამოცემა, თბილისი, 1964, გვ. 111). 1632 წელს ხოსრო ფაშამ აჯანყება მოაწყო ოსმალეთის ხელისუფლების წინააღმდეგ და თავისი მომხრეებით ქ. თოყათში გამაგრა. სულთანმა მურადმა აჯანყების ჩასახშობად დიდი ლაშქარი გაგზავნა. ხოსრო ფაშა ბრძოლაში დამარცხდა და 1632 წლის 11 მარტს სულთნის ბრძანებით იგი სიკვდილით დასაჯეს (იხ. Аракеп Даврижцен, Книга истории, Перевод с армянского, предисловие и комментарий Л. А. Ханлярян. М., 1973, с. 568; Закарний Канакерци, Хроника. Перевод с армянского, предисловие и комментарий М. О. Дарбинян-Меликян, М., 1969, с. 85).

6. ყიზილბაში — თურქული კომპოზიტია და ნიშნავს წითელთავიანს. ყიზილბაშთა ანუ სეფიანთა სახელმწიფოს წარმოქმნა დაკავშირებულია ყიზილბაშურ-შიიტურ მოძრაობასთან, რომლის სათავეში იდგნენ არღებილელი (სამხრეთ აზერბაიჯანი) შეიხები და ყიზილბაშთა ზედაფენა. ამ შეიხთა წინაპარი იყო სეფი ელ-დინ ის-

¹ ჩოხადარი—I—სასახლის წარჩინებული, რომელსაც სულთნის ქურქები, მოსახამები და სხვა ტანსაცმელი ებარა. ლაშქრობის დროს იგი ცხენზე ამხედრებული უკან მიჰყვებოდა სულთანს. საზეიმო მსვლელობის დროს მუდამ თან ახლდა სულთანს და მისი სახელით ხალხში ფულს აბნევედა. ჩოხადარი სილაპდარს ცვლიდა ხოლმე და თუ დააწინაურებდნენ, სილაპდარი გახდებოდა. 2—ჩოხადარები ყაედათ დიდევზირს, ვეზირებსა და დიდკაცებსაც. 3—იანიჩართა კორპუსის წევრი, რომელსაც დაეაღებული ქონდა რაიმე სახელმწიფო საქმე.

ველია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“ ნაკვ. II, გვ. 170; Mehmet Zeki Pakalin Osmanlı Tarih Deyimleri ve Terimleri Sözlüğü, I, İstanbul, 1948, გვ. 385.

² სილაპდარი—სულთნის სასახლის დიდმოხელის თანამდებობა, საქართველომტკიცრთელი. სულთნის საცხოვრებელი პალატის მსახურთა უფროსის—პასოდა-ბაშის შემდეგ იგი პირველი მოხელე იყო სასახლეში. საზეიმო აღლუმებზე სილაპდარი სულთანს მარჯვენა მხრიდან მისდევდა და მარჯვენა მხარზე სულთნის ხმალი ჰქონდა გადადებული, მასვე ებარა ყოველგვარი იარაღი. სილაპდარი მუდამ თან ახლდა სულთანს და მის უერთგულეს პიროვნებად ითვლებოდა.

პაყი, რომლის სახელიდანაც ნაწარმოებია ამ დინასტიის აღმნიშვნელი სახელწოდება — სეფიანები. იგი ცხოვრობდა XIII საუკუნეში ქ. არღებულში. მის შემკვიდრებებს სეფიანთა შეიხები ეწოდათ. მალე სეფიანთა ორდენი გადაიქცა რელიგიურ-რაინდულ ორდენად. ამ გარემოებას ხელი შეუწყო თურქმენული ანუ ყიზილბაშური ტომების (უსთაჯლუ, რუმლუ, თექელუ, ზულყადარი, შამლუ, ყაჯარი, ავშარი) გამოჩენამ, რომლებიც თავს სეფიანთა შეიხების მიურილებად (მიმდევრებად, მოწაფეებად) აცხადებდნენ. ამ ყიზილბაშურ ტომთა მეომრები XVI საუკუნის წყაროებში უმეტესად სუფიებად და მიურილებად იწოდებიან (მათ შესახებ დაწვრილებით იხ. И. П. Петрушевский, Очерки по истории феодалных отношений в Азербайджане и Армении, с. 93). XV საუკუნეში არღებულში შეიხთა მიმდევრებისათვის ახალი ფორმა შემოიღეს: თეთრი დოლბანდი თორმეტი წითელი ნაჯეკით, თორმეტი შიიტური იმამის პარტიესაცემად. სწორედ აქედან წარმოადგება ამ თურქმენული ტომების სახელწოდებაც — ყიზილბაშები. ყიზილბაშთა ანუ სეფიანთა სახელმწიფო შეიქმნა 1501 წელს და არსებობდა 1722 წლის ოქტომბრამდე (სეფიანთა სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ უფრო ვრცლად იხ. ვ. გაბაშვილი, სეფიანთა სახელმწიფო, ნაკვეთები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბილისი, 1957, გვ. 235; О. А. Эфендиев, Образовани азербайджанского государства Сефевидов в начале XVI в. Баку, 1961).

7. აღთუნყალა — თურქული კომპოზიტია და ნიშნავს ოქროს ციხეს. ასე ეწოდებოდა იმ ციხეს, რომელიც აღიგენის რაიონში სოფელ შოყას ზემოთ მდებარეობდა. აღსანიშნავია, რომ მისი კედლები დღესაც დაცულია (ოქროს ციხის შესახებ დაწვრილებით იხ. ს. ჭიქია, XVIII საუკუნის თურქული დოკუმენტი ოქროს ციხის შესახებ. თსუ შრომები, ტ. 91, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, II, თბილისი, 1960, გვ. 172; Е. С. Такайшили, Зарэмский монастырь, его реставрация Окросских. СМОМПК: 35, Тбилиси, 1905, с. 109—110).

8. არზრუმი (ერზრუმი) — ქალაქი თურქეთის ტერიტორიაზე, აღმოსავლეთ ანატოლიაში. ქალაქის სახელის წარმოშობის ისტორია მოკლედ ასეთია: ტრაპეზუნდისკენ მიმავალ გზაზე, ქ. თეოდოსიოპოლის (ყარინი) ახლოს იყო ქ. არწნი, რომელიც მნიშვნელოვან საეპრო ცენტრს წარმოადგენდა. 1048 წელს თურქებმა, რომელნიც ვასპურაკანის მხრიდან შემოიჭრნენ, გაანადგურეს ქ. არწნი. შემდგომ ხანაში ქალაქი აღდგა. გადარჩენილი მცხოვრებლები დასახლდნენ ქ. თეოდოსიოპოლში, რომელსაც მათ უწოდეს რუმის არწნი (არზნი) — ახლანდელი ერზრუმი (იხ. Я. А. Манандян, О торговле и городах Армении в связи с мировой торговлей древних времен, Ереван, 1954, с. 215, 269).

9. მოურავის ვაჟი — გიორგი სააკაძის შვილი ავთანდილი, რომელიც მას ოსმალეთში თან ახლდა. როგორც ჩვენ მიერ განხილულ წყაროებშია აღნიშნული, 1629 წელს იგი მოკლეს მამასთან ერთად სარდალ ხოსრო ფაშას ბრძანებით.

10. თეიმურაზ-ხანი — მეფე თეიმურაზ I, დავით I-ს ვაჟი, ცნობილი პოეტი და პოლიტიკური მოღვაწე. თეიმურაზი ირანში იზრდებოდა, ხოლო როდესაც 16 წელი შეუსრულდა (1606 წ.), შაჰ აბასმა მას კახეთი უბოძა და სამშობლოში გამოისტუმრა. მიუხედავად ამისა, ქვეყნის ფაქტიური გამგებელი თეიმურაზის დედა — ქეთევანი იყო, ახალგაზრდა მეფე კი უღარდელ ცხოვრებას ეწეოდა. მაგრამ მალე თეიმურაზის ცხოვრების მძიმე ხანა დაიწყო: 1614 წელს შაჰ აბასმა სასტიკად ააოხრა ქართლ-კახეთი, თან მრავალი ტყვე, აგრეთვე თეიმურაზის ორი ვაჟი და დედა ირანში წაიყვანა. მოგვიანებით შაჰმა ქეთევან დედოფალი მუსლიმობის მიუღებლობისთვის სასტიკი წაშებით მოაკვლევინა (დაწვრილებით ამის შესახებ იხ. წამება ქეთევან დედოფლისა, თეიმურაზ I, აღ. ბარამიძისა და გ. ჭაკობიას რედაქ-

ციით, თბილისი, 1934, გვ. 129—130), თეიმურაზის შვილები კი დაასაქურისა. თვითონ თეიმურაზი იძულებული გახდა იმერეთში შეეფარებინა თავი. 1625 წელს იგი კვლავ დაეპატრონა ქართლ-კახეთის სამეფო ტახტს, მაგრამ 1632 წლიდან მას საშინო მებრძოლი გაუჩნდა როსტომის სახით. თეიმურაზი იძულებული გახდა კვლავ იმერეთში გადასულიყო (დ. გვრიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, III, თბილისი, 1968, გვ. 11—12). 1649—1656 წლებში იგი იმერეთში ცხოვრობდა და უმთავრესად ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწეოდა, თუმცა არც პოლიტიკას ანებებდა თავს. თეიმურაზს იმ პერიოდში განსაკუთრებით აქტუალურად მიიჩნდა რუსეთთან ურთიერთობის საკითხი. 1658 წელს იგი პირადად ეწვია მოსკოვში მეფე ალექსი მიხეილის ძის, მაგრამ მალე იქიდან იმედგაცრუებული დაბრუნდა. უიმედოდ დარჩენილი თეიმურაზი იძულებული გახდა ირანის შაჰს ხლებოდა. შაჰ აბას II-მ (1642—1666) მას გამაჰმადიანება მოსთხოვა, რაზეც უარი მიიღო. განრისხებულმა შაჰმა იგი ასტრბადში გაგზავნა, სადაც თეიმურაზი გარდაიცვალა 1663 წელს. იგი საქართველოში ჩამოასვენეს და ალავერდის მეფეთა საძვალეში დაკრძალეს.

11. ხაშეფოს ბედნიერი მმართველი — ივლისხმება სეფიანთა ირანის შაჰი სეფი I (1629—1642). ისევე როგორც შაჰ აბასი, შაჰ სეფის სახელიც სხვადასხვა ეპითეტებითაა შემკული სპარსულ ტექსტში. როგორც ცნობილია, შაჰ სეფი სამეფო ტახტზე ავიდა ქართველთა დაჯგუფების დახმარებით, რომელთაც სათავეში ედგა ქართლის მიმავალი ვალი როსტომი. საისტორიო ლიტერატურაში შაჰ სეფი დახასიათებულია, როგორც სუსტი ნებისყოფის, ჰირვეული, უნიჟო და ამავე დროს მეტად სასტიკი ბუნების პიროვნება. ევროპელი ავტორების გადმოცემით, ირანში არ ყოფილა უფრო სისხლიანი მეფობა, ვიდრე შაჰ სეფისა (ამის შესახებ იხ. ფ. ნატროშვილი, მამრიყით მღრიბამდე, თბილისი, 1974, გვ. 138).

12. ახსაყე (اخشاق) — თურქულ და სპარსულ წყაროებში ასე ეწოდება ახალციხეს. اخصاق და اخساق ქართული „ახალციხე“ სიტყვის ფონეტიკური კანონზომიერებით გადათურქვებული ფორმებია. (იხ. ს. ჯიქია, გურჯისტანის ეილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი III, თბილისი, 1958, გვ. 42—50).

13. მაგრატ-ხანი — ქართლის მეფე ბაგრატ VII (1616—1619) დაუღ-ხანის ძე. მისი მეფობა განსაკუთრებით არაფრით ყოფილა აღსანიშნავი. ბაგრატს არც ავტორიტეტი ჰქონდა და არც უნარი სახელმწიფო მოღვაწეობისა. მართალია, ქართული წყაროები (ფარსადან გორგოჯანიძის „ისტორია“, ს. კაკაბაძის გამოცემა, საისტორიო მოამბე, II, თბილისი, 1925, გვ. 230; ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, ქართლის ცხოვრება, II, თბილისი, 1959, გვ. 400; ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, თბილისი, 1973, გვ. 428) მას მეფეს უწოდებდნენ, მაგრამ სინამდვილეში ბაგრატი ირანის მოხელე — ხანი იყო, რომელიც მთლიანად შაჰ აბასზე იყო დამოკიდებული. ბაგრატი უმეტესად ბოლნისში ცხოვრობდა, სადაც 1619 წელს გარდაიცვალა.

14. ვალი — არაბული ტერმინია და ნიშნავს შაჰის ყმას, მოადგილეს, მოხელეს. ვალის სეფიანთა სახელმწიფოს პროვინციულ გამგებლობაში განსაკუთრებული ადგილი ეკავა. XVII საუკუნის ირანში სულ ოთხი ვალი იყო (არაბისტანის, ლურისტანის, გურჯისტანისა და ქურთისტანის), რომელნიც ადგილობრივ მემკვიდრეობით დინასტიას ეკუთვნოდნენ და ბეგლარბეგებთან, ხანებთან და ირანის სხვა მოხელეებთან შედარებით მეტი დამოუკიდებლობით სარგებლობდნენ. ამის ერთ-ერთი დამადასტურებელია თუნდაც ის ფაქტი, რომ ვალის შემოსავალი არ იყო შეტანილი ირანის სახელმწიფო ბიუჯეტში, აგრეთვე ქართლის მიწები ირანის დივანის (სახელმწიფოს) მიწებად არ ითვლებოდნენ. შაჰის წინაშე სამხედრო მოვალეო-

ბის გარდა, ვალი ვალდებული იყო: მონაწილეობა მიეღო ხელმწიფის ხელდასმავი, ეტარებინა თავი და მურასა ხმალი, გამოეყვანა ლაშქარი ხელმწიფის სამსახურში, ჰქონოდა ნალარა-ხანა, მოეგროვებინა ხელმწიფის ხარჯი, გაემზადებინა ბარხანა — მისართმეველი, რომელიც ქარავნის სახით იგზავნებოდა შაჰთან (ვალის შესახებ ვეცლად იხ. ვ. გამაშვილი, სპარსული დასტურლამალი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XXX, 1949, გვ. 218; კ. კუცია, „თახჩირათ აღ-მულუქის“ ცნობები საქართველოს შესახებ, ქართული წყაროთმცოდნეობა, III, თბილისი, 1971, გვ. 64; تذكرة العلوك، بكوشش محمد داير سياقى، تهران، ۱۳۳۲ خورشیدی، 4-5 გვ.)

15. სიმონ-ხანი — ქართლის მეფე სიმონ II (1619—1631) ბაგრატიის ძე. სიმონი ჯერ კიდევ მცირეწლოვანი იყო, როდესაც შაჰ აბასმა იგი გაამეფა. ამიტომ მის მეურვედ და ქართლის ფაქტიურ გამგებლად გიორგი სააკაძე დაინიშნა. ბაზალეთის ბრძოლის (1626) შემდეგ სიმონი და თეიმურაზ მეფე მოსისხლე მტრებად იქცნენ, რადგან ამ უკანასკნელმა შიდა ქართლი დაიკავა, სიმონს კი თბილისი და ქვემო ქართლი დარჩა. ამ შუღლით მოხერხებულად სარგებლობდა ზურაბ ერისთავი, რომელსაც სურდა, რომ ქართლ-კახეთის ფაქტიური გამგებელი თითონ გამხდარიყო. ამ მიზნით 1631 წელს ზურაბმა ვერაგულად მოკლა სიმონ მეფე. (იხ. ივ. ჭავჭავაძე, ქართველი ერის ისტორია, IV, თბილისი, 1967, გვ. 352—354; ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VI, თბილისი, 1973, გვ. 250).

16. ზურაბ ქართველი — ზურაბ არაგვის ერისთავი, ნუგზარ ერისთავის ვაჟი. იგი უძლიერესი ფეოდალი იყო თეიმურაზის სამეფოში. 1618 წელს ზურაბს მთიულეთი და ხევი აუჩანყდა. მან დიდი სისასტიკით ჩაახშო აჩანყება და მთელი ეს მხარე დაისაკუთრა. 1620 წელს ზურაბმა ფშავ-ხევსურეთის დამორჩილებაც სცადა, მაგრამ უშედეგოდ. ბაზალეთის ბრძოლის შემდეგ ზურაბმა მთელი სამუხრანის ვერ მიიღო, რის გამოც თავის სიმამრს — თეიმურაზს განუდგა და სიმონ მეფეს მიეზხრო (ფარსადან გორგიჯანიძის „ისტორია“, გვ. 236—238; ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 413—415; ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 417). 1630 წელს ამ უკანასკნელმა ზურაბის დახმარებით თეიმურაზი ქართლიდან განდევნა, რისთვისაც ზურაბმა მუხრანი მიიღო. ამის შემდეგ ზურაბი კვლავ თეიმურაზს მიუდგა, ხოლო სიმონი მოღალატურად მოკლა. მაგრამ თეიმურაზი მას უკვე აღარ ენდობოდა და 1631 წლის ზამთარში მისი ბრძანებით ზურაბი მოკლეს.

17. ყარჩილა-ხანი — შაჰ აბასის ერთ-ერთი გამოჩენილი მხედართმთავარი, წარმოშობით სომეხი. ბავშვობაში იგი თათართა ტყვეობაში მოხვედრილა, მოგვიანებით კი შაჰ აბასის ღოლამთა რიგებში ჩაირიცხა. თავისი ნიჭისა და ქუცის წყალობით, ყარჩილა-ხანმა თავიდანვე მიიპყრო შაჰის ყურადღება, რომელმაც იგი თოფანჯიუბის (მეთოფეთა) სარდლად და თოფხანეს (არტილერიის) ამირად დაინიშნა. აღსანიშნავია, რომ ყარჩილა-ხანი სარდლობდა ყიზილბაშთა იმ ლაშქარს, რომელსაც ნაბრძანები ჰქონდა ქართლ-კახეთის აოხრება და იქიდან ხალხის აყრა-გადასახლება. მაგრამ ეს ლაშქრობა ყარჩილა-ხანისათვის საბედისწერო აღმოჩნდა: ქართველ ღიღებულთა ნაწილი გიორგი სააკაძის მეთაურობით გაერთიანდა და ყარჩილა-ხანი თავისივე კარაეთთან იქნა მოკლული 1625 წლის 25 მარტს, მარტყოფის ველზე (ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 135; არაქელ დავრიყევის ცნობები საქართველოს შესახებ, თარგმანი, შესავალი და კომენტარები კარლო კუციასი, თბილისი, 1974, გვ. 55). მისი მოკვლით განრისხებულმა შაჰ აბას-

შა ახალი ლაშქარი გამოგზავნა საქართველოსკენ. ხორასნის მბრძანებლად კი მან ყარჩილა-ხანის ვაჟი მანუჩარი დანიშნა.

18. იუსუფ-ხანი — შაჰ აბასის ერთ-ერთი სახელოვანი სარდალი, წარმოშობით სომეხი. თავდაპირველად მას ბაზიერთუხუცესის თანამდებობა ეკავა, ხოლო მოგვიანებით შაჰ აბასმა იგი შირვანის ბეგლარბეგად დანიშნა. იუსუფ-ხანი საქართველოში თან ახლდა ყარჩილა-ხანს და მასთან ერთად იქნა მოკლული 1625 წელს.

19. ალექსანდრე — კახეთის მეფე ალექსანდრე II (1574—1605) ლეანის ძე. ირანისა და ოსმალეთის მიმართ იგი ლოიალური პოლიტიკის გამტარებელი იყო და მთელ თავის ენერჯიას საშინაო საქმეებს ახმარდა. ამასთანავე, ალექსანდრე ცდილობდა მეგობრული დამოკიდებულება ჰქონოდა მეზობლებთან და მოხერხებული პოლიტიკით კიდევ უფრო გაეძლიერებინა თავისი სამეფო. ამ მიზნით მას ნათესაური ურთიერთობით კავშირი ჰქონდა შერეული ყაზარღოსთან, სამეგრელოსთან, ქართლის მმართველ დაუდ-ხანთან. აღსანიშნავია ალექსანდრე მეფის აქტიური პოლიტიკა რუსეთთან დაახლოების საკითხში: 1587 წელს მან რუსეთის მეფის ხელდებულობის ფიცი მიიღო (იხ. ნ. ბერძენიშვილი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVII საუკუნეთა მიჯნაზე, საქართველოს ისტორიის საკითხები, IV, თბილისი, 1967, გვ. 131—138; П. П. Бушев, История посольств и дипломатических отношений Русского и Иранского государств в 1586—1612 гг., Москва, 1976, с. 407—410). ალექსანდრე მეფეს ხუთი ვაჟი ყავდა, რომელთა შორის დაუცხრომელი ბრძოლა იყო სამეფო ტახტისათვის. შაჰ აბასმა, რომელსაც კახეთის მეფე სძულდა, მისი თავიდან მოცილება არჩია. ამ მიზნით მან 1605 წელს კახეთში გაგზავნა ალექსანდრეს გამამადიანებული ვაჟი კონსტანტინე, რომელმაც მამა მორალატურად მოკლა, მისი თავი კი შაჰს გაუგზავნა ირანში (იხ. ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 94; იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 44; არაქელ დავრიყევის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 14—15).

20. ისა-ხანი — სეფიანთა სახელოვანი სარდალი, შაჰ აბას I-ის სიძე (მას ცოლად ჰყავდა შაჰის ქალიშვილი ზაბიდე ბეგუმი). ისა-ხანი თავდაპირველად იუზბაშა (ასისტავი) იყო, შემდეგ შაჰ აბასმა მას ყორჩიბაშობა და ვეჟილობა უბოძა. ისა-ხანი შეთაურობდა ყოზილბაშთა ლაშქარს, რომელიც შაჰ აბასმა გიორგი სააკაძის აჯანყების ჩასახშობად გამოგზავნა საქართველოში (1625 წელს). გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა მარაბდის ველზე, რომელიც ქართველებს დამარცხებით დამთავრდა. შაჰ აბასის გარდცვალების შემდეგ ისა-ხანის ბედი უკუღმა აღტრიალდა: შაჰ სეფიმ მას ისევ, როგორც შაჰ აბასის კარზე დაწინაურებულ სხვა დიდებულებს, გამეფებისთანავე დევნა დაუწყო. ჯერ მის ვაჟებს მოკვთა თავები, თითონ ისა-ხანი თანამდებობიდან გადააყენა და ქონება ჩამოართვა (ნასროლა ფალსაფი, შაჰ აბას I-ის ცხოვრება, II, გვ. 200). მაგრამ არც ამას დასჯერდა დაუნდობელი შაჰი და მალე ისა-ხანი თავის ერთგულ მცველებს მოაკლევინა, მისი ნეშთი კი ქერბელაში გაგზავნა (ზეილ-ე თარიხ-ე აღამარაი-ე აბასი, გვ. 89—93).

21. ვეჟილი — რწმუნებული, ზედამხედველი, მფარველი, დამცველი (გ. წერეთელი, არაბულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1951, გვ. 292). ვეჟილი იყო ირანის შაჰის განსაკუთრებული მოხელე XVII საუკუნის პირველ ოცეულში საქართველოს ქართველი მამადიანი ხანების კარზე. მავალითად: მეთვალყურე მოხელეები მიუყენა შაჰ აბას I-მა ისა-ხანს, ზაგარატ-ხანს, სიმონ-ხანს (სიმონ-ხანის ვეჟილი იყო გიორგი სააკაძე). ვეჟილი იყო შაჰის რწმუნებული, რომელიც შუამავლის როლს ასრულებდა შაჰსა და იმ ხელისუფალს შორის, რომლის კარზეც ის საგანგუ-

ბო დავალებით იყო გაგზავნილი. (იხ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობი-
ლება XVI—XVII საუკუნეებში, თბილისი, 1958, გვ. 391—393).

22. ხარქარი — ხელმწიფის კარის სამეურნეო დაწესებულებათა სამმართველო,
უწყება (სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში, წიგნი
I, ნაკვ. I, გამოსცა ვ. ფუთურძემ, თბილისი, 1961, გვ. 91).

23. ყარაყალხანი — არაგვის ხეობა. თურქული კომპოზიცია და სიტყვა-სიტ-
ყვით ნიშნავს „შავფარიანებს“. შავი ფერის ფარებს ატარებდნენ არაგვის ხეობის
მცხოვრებნი: თუშები, ფშავეები, ხევსურები და მოხვევები (იხ. ს. ჭიქია, XVIII საუ-
კუნის ორი თურქული დოკუმენტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები,
ტ. 99, თბილისი, 1962, გვ. 161; დ. კაციტაძე, საქართველო XIV—XV საუკუნეთა მიჯ-
ნაზე, თბილისი, 1975, გვ. 181).

24. რაყამი — (არაბ.) შაჰის ბრძანებულება, ხელმწიფის სიგელი, ბეჭედდასმუ-
ლი საბუთი.

25. გურგენ-ხანი — ივლისხმება დათუნა ბატონიშვილი, თეიმურაზ I-ის ვაჟი.
რომელსაც დედის მხრიდან მემკვიდრეობის უფლება ჰქონდა ქართლის სამეფო
ტახტზე. დათუნას პაპა იყო ქართლის მეფე გიორგი X. ალბათ მის პატრივსაცემალ
უწოდეს მას ირანში გურგენ ანუ გიორგი (თ. ნატროშვილი, მაშრიფით მალრიბამ-
დე, გვ. 129). დათუნა ბატონიშვილი განთქმული იყო ბრძოლებში თავისი სიმამრ-
ცითა და გამბედაობით. იგი დაიღუპა ყიზილბაშებთან ბრძოლის დროს ქიზიყში
1648 წელს (იხ. გ. ჯამბურია, საქართველოს პოლიტიკური ვითარება XVII საუკუ-
ნის 30—90-იან წლებში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, გვ. 323).

26. ალავერდი-ხანი — შაჰ აბას I-ის სახელოვანი სარდალი. საქართველოდან
ტყვედ წაყვანილ ალავერდი-ხანს მრავალი უბედურების გადატანა მოუხდა, მანამ
ირანის სამეფო კარზე მოხვედებოდა. ნიჭიერი ახალგაზრდა მალე დაწინაურდა ჭერ
შაჰ თამაზის, შემდეგ კი შაჰ აბას I-ის კარზე. თავდაპირველად ალავერდი-ხანი ზარ-
გარბაშის (ოქრომედლების უხუცესი) თანამდებობაზე დაინიშნა, მოგვიანებით
ირანის პირველი ყულაბაღისი (ყულის ჭარის უფროსი) და ფარსის ბეგლარბეგი
გახდა. შაჰ აბასი ალავერდიხანს გამოარჩეულად ენდობოდა და პატივს სცემდა. სწო-
რედ მისი აქტიური მონაწილეობითა და დახმარებით განახორციელა შაჰ აბასმა სამ-
ხედრო რეფორმები. გარდა ამისა, ცნობილია ალავერდი-ხანის საამშენებლო მოღ-
ვაწეობა ირანში (მის მიერ აგებული ხიდი ქ. ისფაჰანში დღესაც მის სახელს ატა-
რებს). ალავერდი-ხანი გარდაიცვალა 1613 წელს და შაჰ აბასმა მთელი თავისი ამა-
რით დიდი პატივით გააცლია მიცვალებული. გარდა ამისა, მან თავისი ხაზინიდან
ლიბძალი თანხა გაიღო თავისი ერთგული სარდლის დაკრძალვისათვის. ალავერდი-
ხანი დაასაფლავეს ქ. მეშქედში, სადაც მას თავისთვის სიკოცხლეშვიე ჰქონდა აგე-
ბული სასაფლაო. (ალავერდი-ხანის საგვარეულოს ირანში მოღვაწეობის შესახებ
უფრო ვრცლად იხ. ვ. გაბაშვილი, უნდილიანთ ფეოდალური სახლი XVI—XVII სა-
უკუნეების ირანში, მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, II, თბილი-
სი, 1972, გვ. 64, 72; კ. კუცია, კავკასიური ელემენტი სეფიანთა პოლიტიკურ სარ-
ბილეზე, მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, თბილისი, 1963, გვ. 67).

27. დაუდ-ხანი — ალავერდი-ხანის უმცროსი ვაჟი დაუდ-ხან უნდილაძე, გან-
ჯა-ყარაბაღის ბეგლარბეგი. მას არანაკლები დამსახურება და სახელი ჰქონდა ირან-
ში, ვიდრე შამასა და უფროს ძმას. ჭერ კიდევ 1614 წელს დაუდ-ხანის სარდლობით
სეფიანთა ლაშქარმა პორტუგალიელები დაამარცხა და ირანს ახალი ტერიტორია
შესძინა — გომბრუნი თავისი სანაპირო ზოლით (შაჰ აბასმა გომბრუნს შემდეგ
ბენდერბაბის — აბასის ნაესადგური უწოდა). 1618 წელს, როდესაც ოსმალთა ლა-
შქარი ქ. არდებილს მიუახლოვდა, შირაზის ხანის ჭარს დაუდ-ხანი ჩაუდგა სათა-

ვეში და მტერთან ბრძოლაში დიდი წარმატებაც მოიპოვა (თ. ნატროშვილი, მკვ. რიყით შალრიბამდე, გვ. 141). გარდა ამისა, დაუღ-ხანს დიდი დამსახურება მიუძღვის თეიმურაზ I-ის შაჰთან შერიგებაში. თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო შაჰ აბასისთვის თეიმურაზის შერიგება იქიდანაც ვლინდება, რომ გაწეული სამსახურითა თვის დაუღ-ხანს განჯის ბეგლარბეგობა ებოძა. მაგრამ 1632 წლის შეთქმულების გამო, შაჰ სეფიმ დაუღ-ხანი ამ თანამდებობიდან გადააყენა და იგი ძველებული გახდა ოსმალეთში გადახვეწილიყო. დაუღ-ხანის სახელი, ისევე როგორც მისი შამისა და ძმისა, დიდხანს არ წაშლილა ირანში: მაგალითად, 1674 წელს ფრანგი მოგზაური შარდენი მოახსენებს დაუღ-ხანის ბაზარსა და ქარავსლას, აგრეთვე დაუღ-ხანის მიერ აგებულ ციხე-სიმაგრის მსგავს ნაგებობას, რომელიც მდებარეობდა სოფელ ამნაბადთან (ისფაჰანიდან ბემდერბაზსში მიმავალ გზაზე), სადაც ძირითადად შაჰმადიანი ქართველები ცხოვრობდნენ. აქ იყო თვით დაუღ-ხანის რეზიდენციაც. ჩვენამდე მოაღწია დაუღ-ხანის პორტრეტმა, რომელიც შესრულებულია საქართველოში მყოფი იტალიელი მისიონერის კასტელის მიერ დაახლოებით 1633 წელს (იხ. დონ ჭუზეპე ჭუდინე მილანელის წერილები საქართველოზე, XVII საუკუნე, თარგმანი და გამოკვლევა ბ. გიორგაძის, თბილისი, 1954, გვ. 81—82).

26. მოჰამედ ყული-ხან ზიად-ოდლი ყაჩარი — განჯა-ყარაბაღის ბეგლარბეგი. ეს თანამდებობა ზიად-ოდლის საგვარეულოს მემკვიდრეობით საკუთრებას წარმოადგენდა XVI საუკუნის I ნახევრიდან 1804 წლამდე (ხანმოკლე ინტერვალებით). გიორგი სააკაძის აქანების გამოვლენაში მოჰამედ ყული-ხანს გულგრილობა გამოუჩენია, რის გამოც შაჰ აბასმა იგი თანამდებობიდან გადააყენა (1625 წ.) და მისი ადგილი დაუღ-ხან უნდილაძეს უბოძა. შაჰ აბასის ეს აქტი მიმართული იყო არა პირადად მოჰამედ ყული-ხანის, არამედ მთელი ყიზილბაშური ზედაფენის წინააღმდეგ. ამ ღონისძიებით შაჰ აბასი მიზნად ისახავდა ყაჩართა ტომის ზედაფენის დასუსტებას და მის დამორჩილებას უშუალოდ შაჰის ცენტრალური ხელისუფლებისადმი. მაგრამ შაჰ აბასის სიკვდილიდან რამდენიმე წლის შემდეგ, დაუღ-ხანის აქანების გამო, შაჰ სეფიმ განჯა-ყარაბაღი კვლავ მის ძველ მფლობელს მოჰამედ ყული-ხანს დაუბრუნა (H. П. Петрушевский, Очерк..., с. 122—123).

28. ფირმანი — შაჰის ბრძანებათა და გადაწყვეტილებათა შემცველი წერილობითი საბუთი.

30. ყაბრი და ყანეყი — თურქულად ქაბრი (ყაფური) და ყანის (ყანიკი). ასე ეწოდებოდა იორსა და ალაზანს თურქულ და სპარსულ წყაროებში (დაწერილებით იხ. იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 122—124).

31. გველის წელი — იგულისხმება 1629 წელი, როდესაც ოსმალეთის სულთანმა მურად IV დიდებური ხოსრო ფაშა ბაღდადის დასაყრობად გაგზავნა. როგორც ისტანბულ მუნიციპალიტეტის აღნიშნავს ამ ლაშქრობაში ხოსრო ფაშას თან ახლდა გორგი სააკაძეც. (იხ. „ზეილე“ თარიხ-ე ალამაჩა-ე ბასი“. გვ. 35).

32. მურშიდი (مرشد) — არაბული წარმოშობისა და ნიშნავს სწორი გზის მაჩვენებელს. სეფიანთა ირანში მურშიდი იყო სასულიერო ხელმძღვანელი, მოსწავლე-მურთიდების (მიმდევრების) მოძღვარი, დამრიგებელი. (H. П. Петрушевский, Очерк... с. 93).

33. იმამყული-ხანი — ალავერდი-ხანის, უფროსი ვაჟი, ფარსის ბეგლარბეგი. შაჰ აბას I-ის ზეობის პერიოდში იმამყული-ხანი უდიდესი გავლენითა და ავტორიტეტით საკრებლობდა ირანში, ფაქტიურად იგი გიორგი კაცი იყო სახელმწიფოში შაჰის შემდეგ. იმამყული-ხანმა განსაკუთრებით გაითქვა სახელი შაჰის შემდეგ, რაც 1623 წელს მისი პარტობით ირანის ლაშქარმა პორტუგალიელებს წაართვა და დაიპყრო კუნძული პორმუზი (ამიერიდან ირანს შეეძლო საზღვაო გზით გაეტანა

დასაუღებელ ევროპაში თავისი აბრეშუმის და საბაჟო შემოსავალი მოესპო ოსმალეთსათვის). რაც შეეხება იმამყული-ხანის დამოკიდებულებას საქართველოსა და ქართველების მიმართ ეს ნათლად ვლინდება იქიდან, რომ უნდოდათა ფეოდალური სახლი ნათესაური ურთიერთობით იყო დაკავშირებული ქართველ მეფე-ფეოდალებთან: თეიმურაზ I-ის და ელენე ცოლად ყავდა დაუდ-ხანს, იმამყული-ხანის ერთი ქალიშვილი — ანდუყაფარ ამილახვარს, მეორე ქალიშვილი გათხოვილი იყო დაუდ-ბეგ სააკაძეზე — ირანის ამირსპასალარისა და თავრიზის ბეგლარბეგის ძმაზე (ვ. გაბაშვილი, უნდოლანთი ფეოდალური სახლი XVI—XVII საუკუნეების ირანში, გვ. 68—69). იმამყული-ხანის ბეგლარბეგობის დროს აწამეს შირაზში ქეთევან დედოფალი. თეიმურაზ I არაერთგზის აღნიშნავდა თავის პოემაში იმამყული-ხანის მცდელობას ტყვე დედოფლის გადასარჩენად (წამება ქეთევან დედოფლისა, თეიმურაზ I, გვ. 129—130). მაგრამ ამაღ ჩაიარა იმამყული-ხანის მცდელობამ: როგორც ცნობილია, ქეთევან დედოფალი საშინელი წამებით მოკვდა. იმამყული-ხანი იმხვერბლა მისი ძმის — დაუდ-ხანის აჯანყებამ: 1633 წელს შაჰ სეფის ბრძანებით, იმამყული-ხანი და მისი შვილები დახოცეს.

84. თუისერგანი — ირანის ჩრდილო-დასავლეთ ოსთანში, ჰამადანში შემავალი ქალაქი.

85. ჰაილარ სულთან ყავილე ჰესარლუ, ჩერად-ხანი, იუსუფ-ალა — ეს დიდებულები შაჰ აბას I-ის კარზე დაწინაურებულნი და აღზევებულნი იყვნენ. მაგრამ შაჰ სეფიმ, როგორც ცნობილია, გამეფებისთანავე რეპრესიებს მიჰყო ხელი და საშინელი წამებით ხოცავდა შაჰ აბასის დროს დაწინაურებულ დიდებულებსა და კარის მოხელეებს. ასეთივე ბედი ეწია ამ სამ სარდალს.

86. ღაზი (غازی) — მუსლიმური სარწმუნოებისათვის მებრძოლი, მოლაშქრე, საღვთო ომის — ღაზავათის მონაწილე.

87. არღებილი — ირანის აზერბაიჯანის ქალაქი, რომელიც თავრიზიდან აღმოსავლეთით 210 კმ-ზე მდებარეობს. არღებილი წარმოადგენს შიიტების ერთ-ერთ წმინდა ადგილს.

88. ისფაჰანი — 1598 წელს შაჰ აბასმა ისფაჰანი სეფიანთა სახელმწიფოს სატახტო ქალაქად აქცია, სადაც მან მრავალი ოთასი კაცი გადმოსახლა როგორც ირანის სხვადასხვა პროვინციებიდან, ისე ამიერკავკასიის ქვეყნებიდან.

89. ხოსრო-მირზა — ქართლის ვალი როსტომი (1632—1658), დაუდ-ხანის უკანონო შვილი (მისი დედა წაყვისელი გლეხის ქალი იყო). როსტომი დაიბადა დაახლოებით 1565 წელს ქ. ისფაჰანში (მამამისის ირანში ყოფნისას), ირანში აღიზარდა და თავიდანვე მუსლიმი იყო. მისი დაწინაურება ირანის სამეფო კარზე დაკავშირებულია გიორგი სააკაძის სახელთან, რომლის წყალობითაც როსტომმა შაჰ აბასის ყურადღება მიიპყრო. თავდაპირველად როსტომი ისფაჰანის ტარულად დაინიშნა. მან შესანიშნავად გაართვა თავი ესოდენ რთულ მოვალეობას და მოგვიანებით შაჰმა მას ყულარაღასობა უბოძა. ხოსრო-მირზას ავტორიტეტი ირანში კიდევ უფრო ამაღლდა შაჰ სეფის ტახტზე ასვლის შემდეგ, რაშიც მას უდიდესი წვლილი მიუძღოდა. ირანის ახალი მმართველი ერთბაშად მისი გავლენის ქვეშ მოექცა. ვახუშტის სიტყვით, იგი როსტომს მამას უხმობდა (ვახუშტი ბატონიშვილი, გვ. 441). ფარსადან გორგიჯანიძე მეტსაც ამბობს: „ერანის საქმე როსტომ მეფეს ეკითხობა“ (ფარსადან გორგიჯანიძის „ისტორია“, გვ. 238). 1632 წელს შაჰ სეფიმ როსტომი საქართველოში გაგზავნა თეიმურაზის აჯანყების ჩასახშობად და ქართლში გასამეფებლად. აქ მას ხანგრძლივი ბრძოლების გადატანა მოუხდა, განსაკუთრებით თეიმურაზ მეფესთან, რომელსაც იგი თავისი ძმისწულის სიმონის

მკვლელობას აბრალებდა. ეს გახდა მათ შორის ომის მიზეზი. ხანგრძლივ პოლიტიკურ ბრძოლაში როსტომმა თეიმურაზი დაამარცხა).

საქართველოში როსტომი კომპრომისული პოლიტიკის გამტარებელი იყო. მართალია, მის დროს საქართველოში სპარსული წეს-ჩვეულებები ვაერცელდა, ვახუშტი ბატონიშვილის თქმით: „სმაჰამა ყიზილბაშური, სიძეა, როსტომი, ტყუილი“, მაგრამ ამასთან ერთად არც ქართული წესები აუკრძალა როსტომს: „დაადგინა ორნივე და მიანიჭებდა ქართველთა ბოძსა შიკრისა და იერთგულებდა მათ“ (იხ. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 439). როსტომი ვარდაიკვლა 1658 წელს. იგი ირანში წასვენეს და ქ. ყუმში დაკრძალეს (ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 435).

40. ლუარსაბ-ხანი — ქართლის მეფე ლუარსაბ I (1527—1556), იგი გამოირჩეოდა დიდი ნიჭითა და სიმამაცით. ფარსიდან გორგიჯანიძემ მოგვცა მისი შესანიშნავი დახასიათება: „ლუარსაბ მეფე მამაცობაზედ ნაქვბია, ყოველს საქართველოს მეფეთა და თავადთა ზედან ძველით ახლებამდისინ, თავად კარგი სარდარი იყო და მერმე გულოვანი, უხვი და უშურველი, სამართლიანი, ყმა-მორჩილი, ომში კობტა და უშიშარი“. (ფარსიდან გორგიჯანიძის „ისტორია“, გვ. 216). ლუარსაბი მთელი თავისი მეფობის მანძილზე შეუპოვრად იბრძოდა ირანელი და ოსმალი დამპყრობლების წინააღმდეგ. ირანის შაჰი ყოველგვარ ხერხს მიმართავდა მისი დასამორჩილებლად, მაგრამ ქედი ვერ მოახრევიდა. ლუარსაბი 1556 წელს დაიღუპა ყიზილბაშებთან ბრძოლის დროს (იხ. ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 23; ვ. გუჩუა, საქართველო XVI საუკუნის 50—70-იან წლებში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, გვ. 114—116).

41. ყულარადასი — შაჰის ღოღამთა ანუ ყულის ჭარის სარდალი. შაჰ აბას I-მა ყულის ჭარი ჩამოაყალიბა ყიზილბაშურ ტომთა დასუსტების მიზნით. იგი ძირითადად დაკომპლექტებული იყო კავკასიელებისაგან, კერძოდ ქართველების, ჩერქეზებისა და სომხებისაგან. ყულარადასის თანამდებობა ყორჩაბაშის (ყიზილბაშური ფეოდალური ლაშქრის სარდალი) შემდეგ უმნიშვნელოვანესი და უმაღლესი თანამდებობა იყო ირანში. აღსანიშნავია, რომ პირველი ყულარადასი იყო ალავერდი-ხანი (უნდილაძე) (იხ. ვ. გაბაშვილი, უნდილანთ ფეოდალური სახლი, დასახ. ნაშრ., გვ. 69, 72; კ. კუციანი, კავკასიური ელემენტი სეფიანთა პოლიტიკურ სარბიელზე, გვ. 67; ნასროლა ფალსაფი, შაჰ აბას I-ის ცხოვრება (სპარსულ ენაზე), II, გვ. 402).

42. როსტომ-ბეგი — როსტომ სააკაძე, გამოჩენილი სარდალი შაჰ აბას I-ის და შაჰ სეფის კარზე. მისი მამა — ბეჟან-ბეგი 1590 წლიდან ყიზილბაშთა სამსახურში იყო და სსახლის ქეშკის (მცველის) თანამდებობა ეკავა. როსტომი თავისი ნიჭისა და მამაცობის წყალობით მალე დაწინაურდა სეფიანთა სამეფო კარზე. თვრამეტი წლის ასაკში ის უკვე სომხთ-ისაული (შაჰის ბრძანებითა და განკარგულებათა აღმასრულებელი ირანის სიყვით კარზე) იყო, ცოტა მოგვიანებით თოფანგჩილასი (შაჰის მეთოფეთა რაზმის უფროსი), ბოლოს კი (1634/1635 წწ.) შაჰმა როსტომს ირანის პასალარობა და აზერბაიჯანის ბეგლარბეგობა უბოძა. 1642 წელს კი შაჰის ბრძანებით როსტომი სიკვდილით დასაჯეს ქ. მეშქედში. მისი ბიოგრაფის, ვინწე ბეჟანის, გადმოცემით როსტომის დაღუპვის მიზეზი ყოფილა შაჰ აბას II-ის ვეზირი მირზა თაყი, რომელსაც პირადი მტრობის გამო მისთვის სახელმწიფოს დალატე დაუბრალებია. რაც შეეხება როსტომ სააკაძის კავშირს საქართველოსა და ქართველებთან, იმაში გამოიხატებოდა, რომ იგი დიდ დახმარებას უწყვედა თავის პათესავეებს საქართველოში, უზაჯნიდა მათ ოქრო-ვერცხლს. მიუხედავად ამისა, როსტომი მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ერთგულად ემსახურებოდა ირანის სა-

ხელმწიფოს (როსტომ სააკაძესთან დაკავშირებით იხ. ვ. ფუთურძის ირანის სპასალარი როსტომ-ხან სააკაძე, კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბილისი, 1966, გვ. 289—293).

43. ყორჩის ჭარი — ცხენოსან მოისართა ლაშქარი, რომელიც დაკომპლექტებული იყო ყიზილბაშური ტომებისაგან. ყორჩის ჭარის სათავეში იღვა ყორჩიბაში, რომელსაც ყიზილბაშური ტომის ზედაფენიდან ირჩევდნენ. მისი კანდიდატურის შერჩევა უშუალოდ შაჰის უფლება-მოვალეობაში შედიოდა. ყორჩიბაში განავებდა ყორჩიების ყველა საქმეებს. მისი ჯამაგირი ათასიდან ათას ას ორმოცდაათ თუმანამდე აღწევდა ყოველწლიურად. შაჰ აბას I-ის დროს ყორჩის ჭარის რაოდენობა 12 ათასი იყო, მაგრამ შემდეგ თანდათანობით შემცირდა ყიზილბაშურ ტომთა დასუსტებასთან დაკავშირებით (Н. В. Пугулевская, А. Ю. Якубовский, И. П. Петрушевский, А. В. Строева, А. М. Беленицкий, История Ирана с древнейших времён до конца VIII века, Ленинград, 1958, с. 293, 402).

44. ბაბრეინი — ექნული სპარსეთის ყურეში.

ლარი — ქალაქი სამხრეთ ირანში, ფარსის ოსთანში (ოლქში).

პორმუზი — უმნიშვნელოვანესი ნავსადგური სამხრეთ ირანში (სპარსეთის ყურეში). თავისი ადგილმდებარეობით პორმუზი მნიშვნელოვანი სტრატეგიული და სავაჭრო პუნქტია საზღვაო ვაჭრობაში ევროპასა და ინდოეთის შორის. XVI საუკუნის დასაწყისიდან პორმუზი პორტუგალიელთა ხელში იყო, მაგრამ 1623 წელს შაჰ აბასის ლაშქარმა იმამყული-ხანის სარდლობით პორტუგალიელები განდევნა ექნულთან (იხ. Аракед Даврижеци, с. 491; В. Бартольд, Историко-географический обзор Ирана, С. — Петербург, 1903, ст. 98—99).

ხუზისტანი — ირანის სამხრეთ-დასავლეთი რაიონის ოსთანი. ხუზისტანის მთავარი ეკონომიური და სავაჭრო-ადმინისტრაციული ცენტრია ქ. აპჯანი.

არაბისტანი — სეფიანთა ირანის ერთ-ერთი პროვინცია (ლურისტანის, ქურთისტანის და გურჯისტანის პროვინციებთან ერთად), რომელსაც განაგებდა ვალი. არაბისტანი მდებარეობდა ირანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. ამჟამად ეს პროვინცია ამ სახელწოდებით არ არსებობს (ტერიტორიულად მოიცავს ხუზისტანის ნაწილს).

45. ხუტბა (خطبة) — ლოცვა, ხობბა, რომელიც მუსლიმურ სახელმწიფოებში საპარასკევო და სადღესასწაულო ლოცვის დროს წარმოითქმის ხატების მიერ. ხუტბა შეიცავდა ალაჰის დიდებას, მისი მოციქულის — მოჰამედის დალოცვას, აგრეთვე მუსლიმთა მოწოდებას — არ მიეტოვებინათ სარწმუნოება და ბოლოს დალოცვით სრულდებოდა. წესად იყო, რომ ხუტბაში ხშირად უნდა მოხსენებულყო ქვეყნის მბრძანებლის სახელი (იხ. ვ. ფუთურძე, ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, ნაყ. II, გვ. 174).

46. სიქა (سك) — მონეტის წარწერა, რომელზეც მისი მომკრეული ხელმწიფის სახელი იხსენიება.

47. ლაყაბი (لقب) — ტიტული, წოდება, საპატიო სახელი.

48. შირვანი — ჩრდილო აზერბაიჯანის ფეოდალური სახელმწიფო (ეკავა ტერიტორია კასპიის ზღვის სანაპიროდან მდინარე აყსუმდე), რომელიც არსებობდა I ათასწლეულის შუახნიდან მე-16 საუკუნის შუა ხანებამდე. მისი დედაქალაქი იყო შემახა და მოკლდ ხნის განმავლობაში ბაქო. მე-16 საუკუნეში შირვანი სეფიანთა სახელმწიფოს ვასალურ დამოკიდებულებაში მოექცა, შემდეგ მისი პროვინციაც გახდა. მე-16 საუკუნის ბოლოს შირვანის ტერიტორია თურქეთს შეუერთდა, მაგრამ 1612 წელს და შემდეგ 1639 წლის ზავით შირვანი მთელი აზერბაიჯანით ირანს

გადაეცა. მე-18 საუკუნის შუახანებში, აზერბაიჯანის ირანისაგან განთავისუფლების შემდეგ, შირვანის ადგილობრივმა ფეოდალებმა შექმნეს სახანო, რომელიც 1805 წელს რუსეთს შეუერთდა. 1920 წელს შირვანში ხანის მმართველობა გაუქმდა (იხ. И. Петрушевский, Очерки..., ст. 103; В. Ф. Минорский, История Ширвана и Дербенда X—XI веков, Москва, 1960, ст. 119).

49. ჩომალი უღ-ავეჯლის თვის თვარამეტი — მუსლიმანური მთვარის წლის მე-ხუთე თვის თვარამეტი რიცხვი, რომელიც შეესაბამება ქრისტიანული წელთაღრიცხვის 1632 წლის 1 დეკემბერს.

50. ყაზვინი — ირანის ერთ-ერთი მსხვილი სავაჭრო-სახელოსნო ცენტრი. 1598 წლამდე ყაზვინი სეფიანთა სახელმწიფოს სატახტო ქალაქი იყო.

51. ხეფი ყული-ხანი, ფათალი-ბეგი, ალაყული-ბეგი — იმამყული-ხანის შვილები, რომლებიც მამასთან ერთად დახოცეს.

52. რამზათ-ხანი (رحمتخان) — როგორც ჩანს „როსტომ-ხან“-ის დამახინჯებული ფორმაა. სპარსული ტექსტის კონტექსტის მიხედვით ეს უნდა იყოს ქართლის ეალი როსტომი.

53. ბაშიარუჯი — ასე იწოდება იმერეთი აღმოსავლურ (სპარსულ, თურქულ) წყაროებში (იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოს შესახებ, ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ და სხვა).

54. ხიყნაყი — გამაგრებული ადვილი, სიმაგრე, თავშესაფარი.

55. გურთეფი — სპარსულ ტექსტში ნახმარია „გურმალი“. იგულისხმება გურიის მთავარი გურიელი.

56. ვანის მხარე — იგულისხმება ოსმალეთის ადმინისტრაციული ერთეული — ვანის ვილაიეთი, რომლის ცენტრია ქ. ვანი. ვანი მდებარეობს თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე, ვანის ტბის მახლობლად.

57. ხელიმ-ხან შამხედდინლუ — შაჰ აბას I-ის დროს ის იყო ახალციხის მმართველი. თეიმურაზ მეფის აჯანყების შემდეგ, 1632 წელს შაჰ სეფიმ ხელიმ-ხანი ახალციხის გამგებლად დანიშნა (მის შესახებ უფრო ვრცელად იხ. ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 137—138).

58. შაჰსევანები — სიტყვასიტყვით ნიშნავს შაჰის მოყვარულს, მეგობარს. შაჰ აბას I-მა თავისი სამხედრო რეფორმის გატარებისას ყიზილბაშური ტომების ლაშქრის გვერდით შექმნა ახალი — შაჰსევანთა სამხედრო ორგანიზაცია, რომელიც შაჰის გვარდის როლს ასრულებდა. მასში შესვლა ყველა მსურველს შეეძლო. შაჰსევანთა მეთაურად თვით შაჰი ითვლებოდა. თავდაპირველად შაჰსევანი ეწოდებოდა ყველას, ვინც კი ნებაყოფლობით ჩაირიცხებოდა ამ ორგანიზაციაში. მხოლოდ მოგვიანებით, XVII საუკუნის II ნახევარში შაჰსევანები ეწოდა პრივილეგირებულ კორპორაციას, რომელიც იგივე ყიზილბაშური ტომების ნაწილებისაგან შეიქმნა (დაწვრილებით იხ. Н. Пигулевская и др., История Ирана с древнейших времён до конца XVIII века, ст. 273).

59. ხეფარი, შამლუ, ავშარი — ყიზილბაშური ტომები (დაწვრილებით იხ. И. П. Петрушевский, указ. труд., с. 90—93).

60. სიბა — მოძრავი საფარი, რომელიც ერთის მხრივ იცავდა მებრძოლებს ციხიდან ნატყორცი ისრების, ქვებისა და ტყვიისაგან, ხოლო მეორე მხრივ სიბაზე ასული მეომრები იარაღს უშენდნენ ციხის დამცველებს. სიბა ნიშნავდა აგრეთვე თავდაცვით მიწაყრილს (იხ. სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთაბაძეებში, წიგნი I, ნაკვ. I, გვ. 92).

61. თავრიზი — ირანის აზერბაიჯანის ცენტრალური ქალაქი, 1548 წლამდე იგი სეფიანთა სახელმწიფოს სატახტო ქალაქი იყო. თავისი გეოგრაფიული მდებარე-

რეობის წყალობით თავრიზი XVI—XVII საუკუნეების განმავლობაში ირანის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სავაქრო-სახელოსნო ცენტრს წარმოადგენდა.

62. ყარაჯაარდამანი — თურქულად ყარაარტაანი. ოსმალთა ისტორიკოსი ევლია ჩელები გაარჩევს არტაანსა და ყარაარტაანს. ახალციხეში მიმავალი ჩელები თურმე ოთხ საათში აღწევდა ქინვას ციხეს, რომელიც არტაანის საზღვარზე მდებარეობდა. შემდეგ იგი მიადგა ყარაარტაანის ციხეს. შეიძლება ეს ყარაარტაანი იყო მეორე სახელი, ან თურქების მიერ შერქმეული სახელი, ანდა კიდევ ქართულიდან ნათარგმნი სახელი (შვეი არტაანი) არტაანის პროვინციის მთავარი ნაწილისა — დიდი არტაანისა (ასევე ფიქრობს ჰამერიცი). შესაძლებელია ამ სახელთან კავშირში იყოს ის გარემოება, რომ არტაანის მიდამოებში მდინარე მტკვარს კარანეჭრა (Куря) ჰქვია (დაწერილებით იხ. ს. ჩიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, III, გვ. 504).

63. არეში (არიშა) — ქალაქი შაქში, ისტორიულ ჰერეთში. XVI საუკუნეში ერთ-ერთი დაწინაურებული ქალაქი იყო, მასზე გადიოდა მნიშვნელოვანი სავაქრო-საქარავნო გზა შემახა-არეშ-განჯა-თბილისი (ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, ნაე. I, თბილისი, 1971, გვ. 268—269; И. П. Петрушевский, Очерки..., с. 139).

64. ლევან-ხანი — ლევან II დადიანი (1611—1657), ოდიშის მთავრის მანუჩარ დადიანისა და ნესტანდარეჯანის ვაჟი. ლევანი გამოირჩეოდა ხასიათის სიმტკიცითა და დიდი ენერჯიულობით. ძალაუფლების ხელში აღებისთანავე მან თავისი კვანდა დაჩნია სამთავროს პოლიტიკურ მდგომარეობას. უპირველეს ყოვლისა, ძლიერების განმტკიცების მიზნით; ლევანი დაუკავშირდა მეზობელ მთავრებს: მან ცოლად შეირთო აფხაზეთის მთავრის ასული, ხოლო თავისი და ჯერ მამია გურიელის ძეს სიმონს მიათხოვა, შემდეგ კი ქართლის ვალის — როსტომს. ლევანმა გამუდმებული ბრძოლები ჰქონდა აფხაზეთთან, იმერეთთან, რომელთა შედეგად დიდძალი ქონება დააგროვა. ამ ქონებით მან ოდიშში მრავალი სასახლე და ეკლესია ააგო. რომელთაც უმარავი ოქრო-ვერცხლი და ხატები შესწირა. ლევანმა ერთგვარად ეპყრობა-ხელოსნობის გამოცოცხლებასაც ხელი შეუწყო. მიუხედავად ამისა, მისმა გაუთავებელმა ომებმა მთელი დასავლეთ საქართველო გააჩანაგეს და ამასთანავე ქვეყნის პოლიტიკური დაშლილობა გააღრმავეს (გ. ჯამბურია, საქართველოს პოლიტიკური ვითარება XVII საუკუნის 30—90-იან წლებში, გვ. 317, 343). ლევან დადიანი უეცრად გარდაიცვალა 1657 წლის 17 მარტს. ფარსადან გორგიჯანიძის გადმოცემით, იგი თავის შვილს „ზედ დააკვდა დაუმარხავს“ (იხ. ფარსადან გორგიჯანიძის „ისტორია“, გვ. 262).

65. დედოფალი — იგულისხმება მარიამ დედოფალი, ლევან დადიანის და. სპარსულ ტექსტში ნახმარია ქართული სიტყვა, მხოლოდ დამახინჯებული ფორმით — თითიფალ (تیتی‌فال). აღსანიშნავია, რომ „დედოფლის“ ქართულ ფორმას ხმარობს ისქანდერ მუნში თავის ძირითად თხზულებაში (იხ. ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 57), ასევე არაქელ დავრიჯეცისა (Аракеи Даврижеци, указ. труд. с. 134—135) და იბრაჰიმ ფეჩევის (იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 116—117) თხზულებებშიც. მარიამი ჯერ სიმონ გურიელის მეუღლე იყო, შემდეგ კი როსტომ მეფეს მიათხოვეს (იხ. ფარსადან გორგიჯანიძის „ისტორია“, გვ. 241—242; ბერი ეგნატაშვილი, ახალ ქართლის ცხოვრება, გვ. 419). როსტომის გარდაცვალების შემდეგ მარიამი თბილისის ციხეში მოათავსეს შაჰ აბას II-ის ბრძანებით. მოგვახსენებთ, იმავე შაჰის ბრძანებით, უკვე ხანში შესული მარიამი ცოლად შეირთო ვახტანგ V—შაჰნავაზმა. მარიამ დედოფლის სახელთან დაკავშირებულია მთელი რიგი ღონისძიებანი ქართული

კულტურის დარგში. კერძოდ, მისი სახსრებით განახლებულ-მოხატულ იქნა ეკლესიები, გადიწერა „ქართლის ცხოვრება“, ე. წ. მარიამისეული ნუსხა და სხვა. მარიამ დედოფალმა თავისი მაღალი მდგომარეობა, ცოდნა და საკუთარი მატერიალური სახსრები ქართული კულტურის აღორძინების საქმეს მოახმარა. მარიამი გარდაიცვალა 1682 წელს (გ. ჯამბურია, საქართველოს პოლიტიკური ვითარება XVII საუკუნის 30—90-იან წლებში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, გვ. 343).

86. ბაშიაჩუკის მბრძანებელი — იმერეთის მეფე გიორგი III (1605—1639) როსტომის ძე. ჩვენ მიერ განხილულ სპარსულ თხზულებაში მოთხრობილია, თუ როგორ იბრძოდა მეფე გიორგი როსტომ მეფისა და დადიანის დამოყვრების წინააღმდეგ, ამის მიზეზი კი ის იყო, რომ მას დიდი ხნის მტრობა ჰქონდა ოდიშის მთავართან; თავდაპირველად უთანხმოება იმერეთის მეფესა და გურიელს შორის ჩამოვარდნილია: 1620 წელს გიორგი მეფის ვაჟმა ალექსანდრემ თავის ცოლს დალატი დასწამა და იგი გურიელს დაუბრუნა (ვახუშტი ბატონიშვილი, გვ. 826). იმერეთის მეფესა და გურიელს შორის ჩამოვარდნილი ამ უთანხმოებით მოხერხებულად ისარგებლა ლევან დადიანმა და კავშირი შეკრა გურიელთან; 1621 წელს მან თავისი და სიმონ გურიელს მიათხოვა, იმავე წელს მან ცოლად ითხოვა შერვაშიძის ასული. დადიან-გურიელ-შერვაშიძის კავშირი მოსვენებას არ აძლევდა გიორგი მეფეს. აქედან მოყოლებული გაუთავებელი ომები დაიწყო მასსა და ლევან დადიანს შორის. უკანასკნელი ბრძოლა მათ შორის როსტომის ქორწინების წინ მოხდა, როდესაც გიორგი მეფე დამარცხდა და ტყვედ ჩაუვარდა თავის მოსისხლე მტერს. მისმა ვაჟმა ალექსანდრემ ორი წლის შემდეგ დიდი გამოსასყიდით იგი ტყვეობიდან დაიხსნა, მაგრამ უკვე დაუძლეურებული გიორგი მეფე 1639 წელს გარდაიცვალა (იხ. ფარსადან გორგჯანისის „ისტორია“, გვ. 242; ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 419).

87. არღამანი — არტაანი სამხრეთ საქართველოს ისტორიული პუნქტია. ამჟამად თურქეთის საზღვრებშია (იხ. ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 155).

88. ფარსანგი — სივრცის საზომი ერთეული, რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა მანძილს აღნიშნავდა და საშუალოდ 6 კილომეტრს უდრის. ზოგიერთი წყაროს მიხედვით, ფარსანგი ოთხი საათის საველი მანძილია, ე. ი. დაახლოებით 5000 მეტრი. მაგალითად, ევლია ჩელები ასე განმარტავენ: თითო ფარსანგი 12 ათასი ნაბიჯიაო (იხ. ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, ნაკვ. I, გვ. 254).

89. ბაშიაჩუკის ვალის შემკვიდრე — გიორგი III-ის ძე ალექსანდრე III (1639—1660), თეიმურაზ მეფის სიძე (მას ცოლად ჰყავდა თეიმურაზის ასული დარეჯანი). მამის სიკვდილის შემდეგ (1639 წ.) ალექსანდრე იმერეთის მეფედ ეკურთხა ქუთაისში. მთელი თავისი ზეობის პერიოდში იგი განაგრძობდა მამის მიერ დაწყებულ ბრძოლას ლევან დადიანთან. მხოლოდ 1657 წელს (ლევანის სიკვდილის შემდეგ) ალექსანდრემ შეძლო ოდიშის დარბევა. მან სასტიკად ააოხრა ეს მხარე, თან უამრავი სიმდიდრე წამოიღო, ოდიშის ტახტზე კი მამია დადიანის ძე — ვამიყი აიყვანა, გურიელად კი — ღემეტრე სიმონის ძე დასვა. ამით განმტკიცდა დასავლეთ საქართველოში იმერეთის მეფის ბატონობა. მაგრამ ასეთი მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. 1660 წლის მარტში ალექსანდრე მეფე გარდაიცვალა და დასავლეთ საქართველოში შინაფეოდალური ომები კვლავ განახლდა (გ. ჯამბურია, საქართველოს პოლიტიკური ვითარება XVII საუკუნის 30—90-იან წლებში, გვ. 334, 337).

90. ტარულა — პოლიციის უფროსი სეფიანთა ირანში, რომლის მთავარი მოვა-

ლეობა იყო წესრიგის დაცვა როგორც ქალაქში, ისე მის სანახებში. გარდა ამისა, ტარულა მონაწილეობდა გადასახადების აკრეფაში. მას ევალებოდა ზომები მიეღო ბოროტმოქმედების აღსაკვეთად, ყურადღება მიექცია წესრიგისათვის ბაზრებში, აგრეთვე ბაზრებში მდებარე სახელოსნოებისა და სავაჭროებისათვის (ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება, გვ. 373). ისფაჰანის ტარულა ყოველ დამით ერთ საათს ბაზარში ჩერდებოდა. შემდეგ იგი თავის ხელკეითებთან ერთად ქალაქს ათვალეირებდა და მხოლოდ გათენებისას ბრუნდებოდა შინ. (1618 წლიდან მოყოლებული 1722 წლამდე ისფაჰანის ტარულად ქართველები ინიშნებოდნენ. ქართულ-კავკასიურ ელემენტზე დაყრდნობით სეფიანთა დინასტია ცდილობდა უზრუნველყო ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული განვითარება (ტარულას შესახებ უფრო ვრცლად იხ. კ. კუცია, სეფიანთა ირანის საქალაქო წყობილება „თაზქირათ ულ-მულუქის“ მიხედვით, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან, თბილისი, 1966, გვ. 103; მისივე, ისფაჰანის ქართველი ტარულები (1618—1722), მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, II, თბილისი, 1972, გვ. 93—95).

71. ძმობის ტიტული — ამ ტიტულით მოხსენიება იმის მაჩვენებელია, რომ ზოგჯერ გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით ირანის შაჰები ქართველ მეფეებს უყურებდნენ, როგორც თანასწორებს. მაგალითად, ასეთი ვითარება შეიქმნა XVI საუკუნის 80-იან წლებში, როდესაც ოსმალეთის წარმატებებმა ამიერკავკასიაში ირანის ხელისუფლება აიძულა გარკვეულ დამოუბრუნებლად წასულიყო საქართველოს მიმართ (იხ. ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება, გვ. 392). ეს იმით გამოიხატა, რომ 1578 წელს შაჰმა დატყვევებული სიმონ მეფე ალაშუთის ციხიდან გაათავისუფლა, „უბოძა რაყაში ძმობით“ (იხ. ფარსადან გორგიჯანიძის „ისტორია“, გვ. 219) და ქართლში გასამეფებლად გამოგზავნა. ანალოგიური ვითარება შეიქმნა XVII საუკუნის 20—30-იან წლებში: ქართველი ხალხის გმირულმა ბრძოლამ, აგრეთვე ოსმალეთთან გათულებულმა ურთიერთობამ შაჰ აბასი აიძულა, რომ საქართველოს მიმართ დადგომოდა კომპრომისის გზას (ასეთ პოლიტიკას იგი ახორციელებდა 1626 წლიდან), რომლის პირდაპირი შედეგი იყო როსტომის გამეფება ქართლში. შაჰ აბასის პოლიტიკის გამგრძელებელი იყო შაჰ სეფი. მის ოფიციალურ საბუთებში როსტომი ასეა მოხსენიებული: „ჩემი ძმა ქართლის ვალი როსტომ-ხანი“ (იხ. სპარსული ისტორიული საბუთები, წიგნი I, ნაკვ. I, გვ. 48). ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ შაჰი როსტომს თავის ტოლად და სწორად თვლიდა, განსხვავებით ბაგრატ-ხანისა და სიმონ-ხანისაგან, რომლებიც „შვილის“ ტიტულს ატარებდნენ. როგორც თვით სახელიდან ჩანს, „შვილის“ წოდების ხმარებისას, ივულისხმება დამოკიდებულება არა თანასწორთა შორის, არამედ უფროსსა და უმცროსს, „მამასა“ და „შვილს“ შორის, რომლის დროსაც „შვილი“ მთლიანად დამოკიდებულია „მამაზე“ ანუ მბრძანებელზე.

СВЕДЕНИЯ «ЗЕЙЛ-И ТАРИХ-И АЛАМАРАЙ-И АББАСИ» О ГРУЗИИ

Резюме

30-ые годы XVII века — интереснейший период в истории ирано-грузинских взаимоотношений, так как в конце 20-ых и в начале 30-ых годов XVII века отношения между Ираном и Грузией меняются в пользу последней и вступают в новую фазу развития. Непримиримая борьба грузинского народа против Ирана, а также осложненное внешнее и внутреннее положение самого Ирана (отношения с Османской Турцией, с Россией, восстания внутри страны), вынудили шаха Аббаса I (1587—1629) пойти на уступки и вступить на путь компромисса по отношению к Грузии. Продолжателем новой политики Аббаса I явился его внук и преемник шах Сефил I (1629—1642).

Компромиссная политика Сефевидов по отношению к Грузии выражалась в том, что Иран не менял социально-политического строя Грузии — страна оставалась в правлении грузинских царей, однако при условии принятия ими мусульманства и титула «вали» (наместника).

Для изучения ирано-грузинских взаимоотношений указанного периода, наряду с грузинскими источниками, важное значение имеют и персидские. Среди них особое место занимает историческое сочинение Искандера Мунши (1560/1561—1633/1634) «Зейл-и тарих-и аламарай-и Аббаси» («Продолжение мироукрашающей истории Аббаса»).

«Зейл-и тарих-и аламарай-и Аббаси» так же, как и основное сочинение Искандера Мунши («Тарих-и аламарай-и Аббаси» — «Мироукрашающая история Аббаса»), содержит интересный материал, из которого можно почерпнуть важные сведения по истории ирано-грузинских политических отношений и о деятельности грузин в Иране.

Сведения персидского сочинения подтверждаются, а также дополняются другими источниками. Из них, в первую очередь, следует отметить грузинские исторические сочинения: «История Парсадана Горгиджанидзе, труд «Ученых мужей», «История Грузии» царевича Вахушти (Багратиони), поэма царя Арчила «Спор Теймураза и Руставели» и т. н. «Парижская хроника».

Некоторые сведения, по интересующему нас периоду, сохранились в донесениях послов Русского государства: князя Ф. Ф. Волконского и дьяка А. И. Хватова, находившихся в Кахети у царя Теймураза I в 1638—1640 гг.

Немалый интерес представляют армянские исторические сочинения XVII века: «История» Аракела Даврижеци и «Хроника» Закария Канакерци, изучение которых дает возможность осветить отдельные моменты ирано-грузинских взаимоотношений.

Из восточных источников примечательны: сочинение персидского историка XVII века Хаджи Мехди-кули Каджара «Лучшая из лучших (история)» и труды османских авторов XVII века: Ибрагима Печевли, Катиба Челеби и Мустафы Найма, которые содержат интересный материал как по истории турецко-грузинских взаимоотношений, так и ирано-грузинских.

Следует отметить также сведения итальянских миссионеров XVII века — Дона Джудиче Миланского, Арканджелло Ламберти, Варфоломео Ферро, Пьетро Делла Валле, Дона Пьетро Авитабиле и других, которые в основном совпадают со сведениями «Зейл»-а.

Из интересующих нас вопросов, содержащихся в «Зейл-и тарих-и аламарай-и Аббаси», в первую очередь, следует отметить сведение о последних днях знаменитого полководца Георгия Саакадзе (великого Моурава), в частности, об его бегстве в Османскую Турцию и гибели.

Как известно, после поражения в битве при Базалети (осенью 1625 года); Георгий Саакадзе был вынужден удалиться в Турцию, где с большими почестями был принят султаном Мурадом IV. По словам Искандера Мунши, вскоре Георгия Саакадзе и военачальника Хосро-пашу султан направил в Багдад против кызылбашского войска. Оказывается между Моуравом и Хосро-пашой возник разлад. В результате, после сражения, крупную добычу добытую в этом бою, Саакадзе отправил в Грузию. Однако, турки, вовремя узнав об этом, схватили Моурава. Его поступок Хосро-паша расценил, как замысел бегства. Поэтому, по его приказу, Георгий Саакадзе, его сын и сопровождавшие его грузины, все были перебиты.

В отличие от Искандера Мунши, грузинские источники сообщают, что Георгий Саакадзе был убит вследствие зависти Хосро-паши; так как победа над кызылбашами прославила имя Моурава по всей Османской империи, якобы Хосро-паша не смог этого стерпеть и поэтому убил его.

По мнению османских авторов Катиба Челеби и Мустафы Найма, казнь Георгия Саакадзе была вызвана опасениями Хосро-паши, что тот мог бежать в Грузию.

На основе сличения и анализа вышеуказанных источников,

а также учитывая ту конкретную историческую ситуацию, которая создалась в конце 20-ых годов XVII века во взаимоотношениях между Ираном, Османской Турцией и Грузией, намерение Георгия Саакадзе вернуться в Грузию представляется вполне доступным. Однако, это не было ему суждено. Великий Моурав — Георгий Саакадзе, отдавший всю свою жизнь борьбе за независимость Грузии и свободу грузинского народа, был казнен на чужбине.

После избавления от Георгия Саакадзе, следующим препятствием на пути к единовластию царя Теймураза I во всей Восточной Грузии оставались Симон-хан (фигтивный царь Картли) и Зураб Эристави — владетель Арагвского ущелья. Теймураз ждал удобного случая, чтобы избавиться от них и этот момент настал в 1629 году, когда скончался шах Аббас I.

В «Зейл-и тарих-и аламарай-и Аббаси» содержатся интересные сведения об убийствах Симон-хана и Эристава Зураба. Сначала Иокандер Мунши рассказывает о предательском убийстве Симон-хана Зурабом. Затем Зураб решил сблизиться с Теймуразом, чтобы через него добиться господства в Картли. Однако Теймураз не пожелал связаться с ним. Напротив, чтобы доказать свою верность шаху, выбрав подходящий момент, он убил Зураба. В награду за это шах Сефи пожаловал сыну Теймураза Картли.

Более пространно повествуются об этих событиях в грузинских источниках (в «Истории» Парсадана Горгиджанидзе, в поэме царя Арчила, в трудах «Ученых мужей» и царевича Вахушти, в «Парижской хронике»), которые, в основном подтверждают сведения «Зейл»-а.

Смерть шаха Аббаса I должна была вызвать очередную смуту в Иране, однако даруга Исфагана — грузинский царевич Ростом (Хосро-Мирза), взяв власть в свои руки, скоро провозгласил шахом Сефи. Вступив на престол, новый властитель, первым делом, принялся устранять опытных и талантливых сподвижников шаха Аббаса I, среди них оказалось и семейство Ундиладзе. Поводом уничтожения этого семейства послужило совместное восстание Дауд-хана Ундиладзе (сына знаменитого Аллаверди-хана) и царя Теймураза I.

Искандер Мунши посвящает целую главу этому восстанию. По его словам, Теймураз и Дауд-хан, заранее сговорившись, истребили кадjarских главарей, а затем решили разгромить Гянджу-Карабаг. Оказывается, Дауд-хан пообещал Теймуразу, что вскоре после этого они возведут на шахский престол сына шаха Аббаса I, который находится у старшего брата Дауд-хана — Имамкули-хана. Поверив ему, Теймураз согласился напасть на Гянджу-Карабаг. Когда эти вести дошли до шаха Сефи, то он сильно разгневавшись, отобрал Карабаг у Дауд-хана

и возвратил его бывшему владельцу Мухаммад Кули-хану, а Картли пожаловал своему благодетелю Ростому.

Аналогичное сообщение о восстании Дауд-хана и Теймураза содержится в сочинении Парсадана Горгиджанидзе. По мнению же «Ученых мужей» и царевича Вахушти, причиной восстания Дауд-хана было истребление его родственников шахом Сефи. В сочинениях персидского историка и Парсадана Горгиджанидзе сказано, что именно вследствие измены Дауд-хана шах истребил род Ундиладзе, который в течение многих лет являлся одним из самых влиятельных при дворе Сефевидов. Эта версия кажется более достоверной. Впрочем известно и то, что вступив на престол, шах Сефи принялся притеснять и отстранять всех тех, кто выдвинулись при дворе шаха Аббаса, в том числе и братьев Ундиладзе. Шаху Сефи, правой рукой которого являлся Ростом, не давала покоя группировка грузин во главе с Имамкули-ханом. Однако, последний служил ему верно и шаху оставалось лишь ждать удобного случая, чтобы избавиться от братьев Ундиладзе. И вот, когда из Грузии пришла весть об измене Дауд-хана, шах Сефи исполнил свое заветное желание — уничтожил весь род Ундиладзе.

В связи с этим вопросом представляет немалый интерес мнение современного иранского историка Насролла Фальсафи, который, в основном, опирается на «Зейл». По его мнению, главной причиной истребления рода Ундиладзе было то, что шах Сефи опасался возведения на шахский престол (при помощи братьев Ундиладзе) незаконного сына шаха Аббаса I¹. Вместе с тем, Насролла Фильсафи отмечает, что шах Сефи искал лишь повод для того, чтобы избавиться от этого влиятельного рода, т. е. он вообще враждебно был настроен против Имамкули-хана и Дауд-хана.

Восстание Дауд-хана и Теймураза вызвало новую интервенцию со стороны Ирана: шах Сефи направил в Грузию многочисленное войско под предводительством Ростомом и спассалара Ростом-хана Саакадзе. Искандер Мунши описывает, как отомстил озлобленный шах Дауд-хану: вначале он умертвил трех сыновей его брата — Имамкули-хана, затем для убийства самого хана послал его же зятьев (грузин по происхождению), которые обманом вывели из дома Имамкули-хана и убили. Когда эта весть дошла до Теймураза и Дауд-хана, они покинули Карабаг и вернулись в Грузию. К этому времени Ростом-

¹ Это сообщение подтверждают итальянские миссионеры Арканджелло Ламберти (см. Т. Натрошвили, От Машрика до Магриба, Тбилиси, 1974, с. 416) и Дон Пьетро Авитабиле (см. Дон Пьетро Авитабиле, Сведения о Грузии, XVII в., введение, перевод и комментарий Б. Георгадзе, Тбилиси, 1977, с. 43).

хан вошел в Тбилиси и укрепился в крепости. Теймураз понял, что с Ростомом, которого сопровождало могучее кызылбашское войско, ему не справиться и он нашел прибежище в Имерети.

Восстание было подавлено, но это не исключало компромиссную форму в отношениях Ирана с Грузией. Шах Сефи, не обладая ни дарованиями, ни энергией своего деда — Аббаса I, вынужден был довольствоваться номинальной зависимостью Восточной Грузии.

Грузинские источники содержат аналогичную версию о прибытии Ростом в Картли и о бегстве Теймураза в Имерети; они, в основном, опираются на повествование Искандера Мунши.

Об этом событии рассказывают и русские послы Ф. Ф. Волконский и А. И. Хватов. Они передают, что шах Сефи воцарил в Картли Ростом-хана грузина.

Материал о прибытии Ростом в Картли содержат также сочинения итальянских миссионеров XVII века: дона Джузеппе Миланского и дона Пьетро Авитабиле. Они, как и упомянутые выше источники, свидетельствуют о занимаемом Ростомом высоком положении и о влиянии, которое он имел при шахском дворе, особенно после воцарения шаха Сефи. Это объяснялось тем фактом, что последний завладел сефевидским тронном благодаря стараниям Ростом. Исходя из этого, легко можно представить, каким влиянием он пользовался при дворе Сефи (и вообще в Иране) и, не удивительно, что шах именно его посадил на картлийский престол, как самого верного и надежного своего приближенного.

Вскоре после воцарения Ростом в Картли, шах Сефи приказал Ростом-хану Саакадзе отправиться к Ванской крепости, где курды и турки стали совершать набеги на шахские владения. Искандер Мунши пространно рассказывает об этом походе, а в грузинских источниках лишь мельком отмечено, что шах отправил спасалара Ростом к Ванской крепости. Однако, Парсадан Горгиджанидзе указывает причину, по которой Ростом-хан был направлен туда. Оказывается, Ростом-хан проводил жестокую политику в Грузии, беспощадно притесняя и грабя народ². Это вызвало недовольство царя Ростом и он пожаловался шаху. В результате, по приказу шаха Сефи, Ростом Саакадзе был отправлен к Ванской крепости и таким образом был выдворен из Грузии. А на его место был послан «ширванский бэглербег с карабагским войском»³.

Таким образом, царь Ростом, постепенно освободился от

² Этот факт отмечает и Искандер Мунши.

³ «История» Парсадана Горгиджанидзе, издание С. Какабадзе, Исторический вестник, II, Тбилиси, 1925, с. 237.

всех своих соперников и стал полновластным царем Картли. Несмотря на то, что ко времени воцарения в Картли ему было уже 67 лет, он правил энергично, разумно и тактично. Для укрепления своей власти, Ростом решил породниться с могучим правителем Минпрелии Леваном Даднани, взяв в жены его сестру Марнам. Данный союз был обусловлен политической целью: благодаря этому браку, Леван Даднани становился союзником Ростом в борьбе против Теймураза и имеретинского царя Георгия (так как и Леван являлся их непримиримым врагом). Со своей стороны, этот брак был выгоден и Левану Даднани: породнившись с Ростомом, он формально становился вассалом Ирана. Это было на руку ему в случае войны против Османской Турции. Вместе с тем, Ростом мог оказать ему действительную помощь в борьбе против имеретинского царя.

В «Зейл-и тарих-и аламарай-и Аббаси» имеются сведения⁴ о породнении Ростом и Даднани. По словам автора, Даднани пожелал породниться с царем Ростомом, выдав за него замуж свою сестру Марнам. Несмотря на то, что имеретинский царь и Теймураз всячески старались расстроить этот брак, все их усилия оказались тщетными: Леван Даднани одержал над ними победу, взяв при этом в плен имеретинского царя. Торжествующий Даднани отправил свою сестру во владения Ростом. В конце этой главы персидский историк отмечает, что разрешение на этот брак Ростом получил от шаха Сефи, который одобрил его решение и прислал дорогие свадебные подарки.

Ни один из грузинских авторов, кроме Парсадана Горгиджанидзе, касаясь этих событий, не упоминает иранского шаха. Историки же Мухаммад Юсуф и Парсадан Горгиджанидзе подчеркивают ту решающую роль, которую сыграл шах Сефи в породнении Ростом и Даднани. Действительно, Ростом, как верноподанный и вассал Ирана, не имел право самостоятельно решить столь важный вопрос. Поэтому, естественно свое решение он сначала согласовал с иранским шахом. Сефи одобрил решение Ростом, так как этот союз всесторонне отвечал политическим целям Сефевидского государства: открывался путь в Западную Грузию, что имело весьма важное значение в случае войны Ирана с Османской Турцией.

Из сведений турецкого историка Мустафа Наимы явствует, что султана Мурада IV сильно встревожили вести из Грузии. Породнение Даднани и Ростом он принимал за враждебный политический акт против Османской империи как со стороны Ирана, так и со стороны одишского правителя.

Породнившись с Даднани, Ростом еще больше утвердил

⁴ Последующие сведения принадлежат уже не Искандеру Мунши, а Мухаммаду Юсуфу.

все положение в Грузии. В создавшейся ситуации Теймураз решил помириться с Ростомом. Последний с удовольствием принял его предложение и сообщил об этом шаху Сефи. В «Зейл-и тарих-и аламарай-и Аббаси» говорится, что «Теймураз проснулся от глубокого сна мятежей», и чтобы искупить свои грехи перед шахом, послал к нему свою дочь. Взамен он был удостоен великой милости: шах вновь вернул ему Кахети. Как раз в это время, заканчивает свой рассказ персидский историк, шах Сефи получил известие о смерти имеретинского царя Георгия⁵.

Из грузинских авторов сведение об отправке дочери Теймураза к шаху имеется у Парсадана Горгиджанидзе. Он повествует, что Теймураз, решил помириться с Ростомом и вместе с тем послать овою дочь к шаху. Ростом с удовольствием принял предложение Теймураза и сообщил об этом в Иран. В ожидании нового наступления турецких войск, шах Сефи считал за лучшее согласиться на примирение с Теймуразом и приказал Ростому послать царевну Тинатин в Иран. Ростом снабдил Тинатин блестящей овитой и отправил ее к шаху.

О прибытии Тинатин в Иран, коротко сообщают русские послы: князь Е. Мышецкий и дьяк И. Ключарев, которые в 1641—1643 годах вели переговоры с царем Теймуразом I. По их словам «Теймуразову дочь, которая была за шах Сефием, Аббас шах велел удавить»⁶. Шах Сефи действительно взял в жены Тинатин, однако ее задушил не шах Аббас II, а сам шах Сефи в порыве пьяного гнева⁷.

После женитьбы на Тинатин, шах Сефи прислал Теймуразу богатые подарки и шахский фирман, по которому отпуская ему все грехи. Таким образом, иранский шах вновь официально признал Теймураза кахетинским царем.

Кроме вышеприведенных сведений, в конце персидского сочинения перечислены грузины, подвизавшиеся на политическом поприще Ирана, с которыми мы ознакомились выше. Таковы: Имамкули-хан, Дауд-хан, сын Имамкули-хана Сефикули-

⁵ Тут персидский историк путает последовательность событий; шах Сефи вернул Теймуразу Кахети в 1634 году, после женитьбы на его дочери, а имеретинский царь Георгий скончался намного позже — в 1639 году.

⁶ Посольство князя Мышецкого и дьяка Ключарева в Кахетию, 1640—1643 гг., документы надал и введеннем снабдил М. Полневктов, Тбилиси, 1928, с. 176.

⁷ Накашидзе Н. Т., Грузинно-русские политические отношения в первой половине XVII века, Тбилиси, 1968, с. 242; Джембурья Г. Д., Политическая обстановка Грузии в 30—90-ых годах XVII века, Очерки истории Грузии, IV, Тбилиси, 1973, с. 319.

хан, Ростом. Там же приведены их краткие биографические сведения.

Таким образом, сведения «Зейл-и тарих-и аламарай-и Аббаси» о Грузии и грузинах весьма ценны и интересны. Данный труд представляет собой интересный источник для изучения и освещения отдельных вопросов истории ирано-грузинских взаимоотношений 30-ых годов XVII века. На основе сличения и анализа сведений персидского сочинения с другими источниками, становится ясно, что в первой половине XVII века на политическом пространстве Ирана важное место занимали грузины, которые не раз сыграли значительную роль в судьбе этой страны. Усиление кавказского элемента в господствующем классе Ирана определенно повлияло на формирование нового этапа в ирано-грузинских взаимоотношениях, в частности — т. н. компромиссной политики шаха Аббаса I и шаха Сефи I.

ს ა მ ი ე ბ ლ ე ბ ი

ა. პირთა საძიებელი

ა

აბას I (სპარსულ ტექსტში მოხსენიებულია, როგორც ქვეუნის დამპყრობელი) — 9, 12—14, 22, 23, 27, 29, 31, 34—36, 38, 39, 48—54, 57, 60, 66, 68—77.
 აბას II — 14, 47, 69, 75, 76.
 ავთანდილი — 68.
 აკუმუშქინი ო. — 15.
 ალავერდი-ხანი — 17, 34, 36, 52, 55, 59, 63, 64, 72, 73, 75.
 ალასანია გ. — 21.
 ალექსანდრე მაცედონელი — 66.
 ალექსანდრე (ალექსანდრე II, კახეთის მეფე), — 51, 52, 71.
 ალექსანდრე (ალექსანდრე III, იმერეთის მეფე) — 79.
 ალექსი მიხეილის ძე — 22, 69.
 ალიყული-ბეგი — 59, 77.
 ანდუყაფარ ამილახვარი — 74.
 ანთულავა ი. — 22.
 არაქელ დავრიყეცი — 19, 70, 71, 78
 არჩილი — 16, 18, 20, 24, 25, 32, 37.
 არქანჯელო რომბერტი — 16, 35.

ბ

ბაგრატ-ხანი — 29, 50, 57, 64, 69, 71, 80.
 ბარამიძე ალ. — 68.
 ბართლომეო ფერო — 16, 26, 27, 35.
 ბარტოლდი ვ. — 13
 ბეჟან ბეგი — 75
 ბეჟანი — 75
 ბერძენიშვილი ნ. — 70, 71.

გ

გეჯა ქაიხოსროს ძე — 45.
 გაბაშვილი ვ. — 9, 10, 13, 17, 30, 35, 68, 70, 72, 74, 75, 80.
 გვრიტიშვილი დ. — 69.
 გიორგაძე ბ. — 31, 38, 73.
 გიორგი (გიორგი III, იმერეთის მეფე), — 43, 46, 47, 63, 79.
 გიორგი X (ქართლის მეფე) — 72.
 გორგიჯანიძე ფარსადანი — 16, 17, 20, 21, 24, 30—32, 35, 37, 39, 41, 43—47, 69, 70, 74, 75, 78—80.
 გორჯააპი აბაშიშვილი — 42.
 გურგენ-ხანი — 24, 52, 54, 72.
 გურიელი — 36, 41, 60, 63, 77, 79.
 გურიელი შაშია — 78.
 გურიელი სიმონ — 42, 79.
 გუჩუა ვ. — 75.

დ

დადიანი ლევან — 10, 16, 36, 38, 41—46, 60, 62, 63, 78, 79.
 დადიანი მანუჩარ — 78.
 დავით I — 68
 დათუნა ბატონიშვილი, იხ. გურგენ-ხანი.
 დარეჯანი — 79
 დაუდ-ბეგი — 59, 74.
 დაუდ-ხანი — 71, 74
 დაუდ-ხან (უნდილაძე) — 9, 15—18, 27—36, 38, 39, 47, 52—60, 64, 72—74.
 დემეტრე — 79
 დონ პიეტრო ავიტაბილე — 31, 35, 36, 38.

დონ ჭუბუბე ჭუდიჩე მილანელი — 16,
38, 45, 73.
დორნი ბ. — 14, 15, 41, 50, 52, 58, 60,
62.

ჟ

ეგნატაშვილი ბერი — 20, 25, 31, 37,
44, 69, 70, 75, 78, 79
ევლია ჩელები — 67, 76, 78, 79.
ელენე — 74.
ერისთავი ზურაბ — 15, 23, 24—27, 50—
52, 54, 66, 70.
ერისთავი ნუგზარ — 70.

ვ

ვამიყი — 79
ვახტანგ V — 78.
ვახტანგ VI — 18, 20.
ვახუშტი ბატონიშვილი — 16, 18, 20, 25,
32, 37, 41, 42, 44, 45, 69, 70, 74, 75,
79.
ვოლკონსკი თ. — 16, 38.

ზ

ზაბილე ბეგუმი — 71.
ზაქარია კანაქერცი — 19, 33.

თ

თამაზ I — 66, 72.
თბილელი იოსებ — 18.
თეიმურაზ-ხანი (თეიმურაზ I) — 9, 10,
15—18, 20, 22—39, 41, 42, 44—47,
49—64, 66, 68—70, 73, 75, 77, 79.
თინათინი — 47.
თომას ჰერბერტი — 35.

ი

იბრაჰიმ ფეჩევი — 19, 21, 67, 71, 73,
77, 78.
იბრაჰიმ-ხანი — 65.
იმამყული-ხანი — 29, 30, 31, 34—36,
47, 55, 57—59, 63—65, 73, 76, 77.
ისა-ხანი — 23, 33, 51, 71.
ისქანდერ ბეგ თორქემანი (მუნში) —
11—17, 27—30, 32, 33, 35—38, 40,
41, 66, 70, 71, 73, 75, 77—79.
იუსუფ-ფაშა — 44, 45.
იუსუფ-ხანი — 23, 51, 71.

იუსუფ-ალა — 55, 74.

კ

კაკაბაძე ს. — 20, 69.
კასტელი — 73.
კაციტაძე დ. — 13, 17, 72.
კლუჩარევი ი. — 16, 38, 47.
კონსტანტინე — 71.
კუცია კ. — 10, 70, 72, 75, 80.
